


ԹՎ



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՆԱՔ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՆԱՔ

№ 4 (47)

2020



ՑԱՆԿԱԿԱՑԼՈ - 300

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაინა

ნუნუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი

სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6

III სართული

მობ: 555 46 44 29

მწერალთა ასოციაცია

„ლიტერატურული კახეთი“

მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით

E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www.nplg.gov.ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.

შურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიცი-
პალიტეტის მერიის (მერი ბატონი შოთა ნა-
რეკლოშვილი), თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს (თავმჯდომარე არჩილ თხლაშვილი)
მხარდაჭერით.

გარეანის პირველ გვერდზე

რეზო ადამიას ნახატი

დაიბჭედა

გამომცემლობა „მერიდიანი“



გარტი, ივნისი, სულხანი, ლიტერატურული შურნალი №4, (47), 2020



გამოლის საქთევის ერთეული



„ოლეს“ ლიტერატურული შურნალი



შინაარსი

ერეკლე II – 300

2. ირაკლი ქადაგიშვილი. ერეკლე მეფის
საიუბილეოდ!

3. შოთა ნარეკლიშვილი. მეფე ერეკლე – 300

3. არჩილ თხლაშვილი. სრულიად
საქართველოსთვის მნიშვნელოვანი თარიღი
4. რობი მატრაველი. მეფე ერეკლე 300
წლისაა

11. გიორგი გოცირიძე. ერეკლე II –
მხედართმთავარი

16. ნანა რჩეულიშვილი. „საქართველოს
ცხელი გული...“

19. თიმერთიშვილი ამინამიშვილი. ერეკლე II-ის
სახე ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში

23. ფარნა რაინა. ლექსი

23. ლენა ქაშუკაშვილი. ლექსი

24. თიმერთიშვილი ამინამიშვილი. ლექსი

24. ანო მარიშვილი. ლექსი

25. პარაკლისი მეფის კარის ეკლესიაში.
ესე

26. რაზო ადამია. წიგნს ქუჩაში ნუ გააგდებ!
მხატვრული ლიტერატურა

29. ნინო ქაშუკაშვილი. ვაჟა-ფშაველას
გაკვეთილები. მოთხრობა

34. ლანა მანავალი. ლექსები

36. ლეილა გაგრატიონი (გაგალიშვილი). ლექსები

38. გიორგი შარვაშიძე. ანდრომედა.
მოთხრობა

42. თიმერთიშვილი ამინამიშვილი. ლექსები

45. მარიამ ამინამიშვილი. სანამ წვიმა მოვა...
მოთხრობა

49. მარიამ კალახალიძე. ანგელოზები
უხმოდ ტირიან. მოთხრობა

51. თამარ მაგალაძე. ლექსები

დოკუმენტური პროგრამა

54. ეთერ ფირანიშვილი. დაკარგული სახლი
ხალხური შემოქმედება

58. ფირუზ კოშლაგაზაშვილი. ლექსები
გიორგი გარემონიშვილი – 80

60. საქართველოს მთარალთა კავშირი.

მილოცვა

61. ფარნა რაინა. ორი მუზის მსახური

61. ლენა ქაშუკაშვილი. ლექსი

62. გიორგი გარემონიშვილი. ბოლო ეტიუდი.
მოთხრობა

აღმარხეთ „ხორნაპუზი“ – 5

63. ნანა რჩეულიშვილი. „მრავალი წარმატება და
იუბილე გეზეიმოთ!“

1



ოლე, №4, 2020





ერეკლე მაზის საიუპილეოდ!

2020 წელს სრულიად საქართველო ზეიმობს ყველასათვის საამაყო მეფე ერეკლე II-ის საიუპილეო 300 წლისთავს. მეფე, რომელიც ქართველებისთვის პატარა კახია, ევროპელებისთვის კი აღმოსავლეთის პრინცი. ჩემთვის ერეკლე მეფე თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და ძლიერებისთვის მებრძოლი სულის სიმბოლოა. მისი მოღვაწეობა ემთხვევა ისტორიულად და გეოპოლიტიკურად ურთულეს დროსა და ვითარებას, როცა ოსმალეთის, სპარსეთისა და რუსეთის იმპერიები გარს ეკრა ქართველთა სამეფოს. როცა ორად გაყიფილ საქართველოს ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიები დამოუკიდებლობისა და ეროვნული იდენტობის საბოლოო მოსპობით ემუქრებოდნენ. სწორედ, ასეთ მნიშვნელოვან დროსა და სივრცეში, სამხედრო ხელოვნების უბადლო მცოდნე და დიდი სტრატეგი – ერეკლე მეფე იღებს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას, ქართველთა სამეფოს ბედი დაუკავშიროს იმ დროისთვის გეოპოლიტიკურად ერთადერთ ხელმისაწვდომ, შედარებით ევროპეიზირებულ ქვეყანას, მართლმადიდებლურ რუსეთს. შეთანხმების თანახმად, ქართლ-კახეთის სამეფო ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას და რუსეთის იმპერიასთან სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეობაში შედიოდა. რაც სამწუხაროდ, მოკლე ხანში მუხანათურად იქნა დარღვეული რუსეთის იმპერიის მიერ.

ერეკლე ნაზიარები იყო ევროპულ ფასეულობებს, მისი მოღვაწეობის დროს, ვრცელდებოდა ევროპელი განმანათლებლების იდეები, მან კარგად იცოდა განათლებული ევროპის სარგებელი. ისტორიკოსების ცნობით ერეკლემ იმოგზაურა ცივილიზებულ დასავლეთში და საკუთარ სამეფოს ახალი ლირებულებები, განმანათლებლთა იდეები და სამხედრო წარმატებისათვის საჭირო ცოდნა შესძინა.

ერეკლეს მეფობის დროს, მეცნიერებამ და ხელოვნებამ აყვავება დაიწყო, ნიჭიერ ახალგაზრდებს საკუთარი სახსრებით სხვადასხვა სასწავლებლებში გზავნიდა განათლების მისაღებად. მის სახელს უკავშირდება თბილისის სტამბის რეკონსტრუქცია, თელავის სემინარიისა და ბიბლიოთეკების გახსნა, პირველი ნაბიჯები გადადგა ქართულმა თეატრმა, ითარგმნებოდა უცხოური პრესა.

დღეს, როცა ჩვენი ქვეყანა განუხრელად ადგას დასავლეთის ცივილიზაციისაკენ მიმავალ გზას, მიმაჩნია, რომ ამ საქმეში ლომის წვლილი სწორედ, ამ პროდასავლური ორიენტაციის მქონე მეფეს მიუძღვის.

ვულოცავ ქართველ ერს საყვარელი მეფის საიუპილეო 300 წლისთავს! პატარა კახი და მისი საქმენი განსაკუთრებული სიყვარულითა და რუდუნებით იცოცხლებს ქართველების გულში მრავალშამიერ!

ირაკლი ეადაგიშვილი

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“
თელავის-ახმეტის-ყვარლისა და ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი.



გევა ერეკლე – 300

წლევანდელი წელი ჩვენი ქალაქისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, ვინაიდან ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წელი შესრულდა.

ერეკლე მეფეს საქართველოს ისტორიაში დიდი ადგილი უჭირავს, მისი თავდადებისა და გმირობის შესახებ კი ყველა თაობამ იცის. განსაკუთრებით დიდი პატივისცემით იხსენიებს მეფეს ყველა თელაველი და ვამაყობთ, რომ ერეკლეს სამეფო რეზიდენცია სწორედ ჩვენს ქალაქს ამშვენებს.

თელაველებს და სრულიად საქართველოს ვულოცავ ერეკლე მეფის 300 წლის იუბილეს. ვისურვებდი, რომ თითოეული ჩვენგანი იმ შემართებით ზრუნავდეს სამშობლოზე, როგორც ამას ჩვენი ღირსული მეფე აკეთებდა.

პოთა ნარეკლიგვილი

თელავის მუნიციპალიტეტის მერი

3



სრულიად საქართველოსთვის გენეზელოვანი თარიღი


მეფე ერეკლე აღმოსავლეთის ყველაზე გამოცდილი პრინცია. მისი გამაოგნებელი გულადობა შესანიშნავად ერნეტის მისივე ბრძენაცულ სიმშვიდეს. უკიდეგანო გამოცდილება, უძლეველი ვაჟეაცობა, სანიმუშო ლირსება, კეთილშობილებით სავსე სამართლიანობა და უსაზღვრო სივრცე აზროვნებისა — მისმა ამ ლირსებებმა საკუთარი ხალხისა და ჯარისკაცების კერპად, მეზობლების ალფროთოვანების საგნად და მტრების შიშის „ზარად აქცია“, — ეს არის ამონარიდი 1755 წელს გამოცემულ გაზეთ „London magazine or Gentleman's monthly intelligencer“-დან, რომელიც ერეკლე მეორის შესახებ წერდა.

პატარა კახის წარმატებულ სამხედრო და პოლიტიკურ კარიერაზე, მის პროდასავლურ ორიენტაციასა და მსოფლიო პოლიტიკური ქართველი მონარქის ლირსეულ ავტორიტეტზე აქტიურად წერდა უცხოური პრესა. ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის მონარქის წებისმიერი წამოწყება, რეფორმა თუ მისი შედეგი სახელმწიფო პოლიტიკასა და საერთაშორისო ორიენტირებზე იყო გათვლილი, რომელმაც ქვეყანას მნიშვნელოვანი წარმატებები და აღიარება მოუტანა. მისი მოღვაწეობის შედეგია არა მხოლოდ ის, რომ სახელმწიფო ბრინჯაონის შევინარჩუნეთ, არამედ ის, რომ ქართველები ისევ ქართულად ლაპარაკობენ და მართლმადიდებლები არიან. წელს სწორედ ამ უდიდესი მეფის დაბადებიდან სამასი წლისთავი შესრულდა, რაც არა მხოლოდ თელავისთვის და კახეთისთვის, არამედ სრულიად საქართველოსთვის მნიშვნელოვანი თარიღია.

ვულოცავ სრულიად საქართველოს ამ საიუბილეო თარიღს. ვისურვებდი, რომ თითოეული ჩვენგანი მეფის მსგავსი შემართებითა და თავდადებით ემსახუროს სამშობლოს.

არჩილ თხლაჩიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



ოლქ. №4, 2020





როინ მეტრეველი

აკადემიკოსი, საქართველოს
მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის
ვიცე-პრეზიდენტი

სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის
ვიცე-პრეზიდენტი

არსებობს გადმოყენა: ფიფა თამარიშვილი მეფედ კურთხევის ფროს თავის სეცესიტუაციი ნარმოსთვევა მშიშველი მოვალეობა და ამ ქვეყნიდან შიშველი ნავალო. მეფე ერეკლეს თამარიშვილი შეძლო გაემერობინა ფიფა ნინაპრის სიცუკლი.

ერეკლე მეორემ შექმნა ფიფა ეპოქა. არ ერთ მეფე, თამარის შემფეხ, არ მიუღია ხალხის ფიფა სიყვარული, ალფაზებული ქერათა ქერა, როგორც მეფე ერეკლემ. ის ფიფა პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე იყო, ჟუშმარიცი გმირი, ზონიკოვალე რაინდი.

როინ მეცნიერებული

მეფე ერეკლე 300 წლისაა

„სმალი სჭრის ბაგრატოვნისა,
მეფისა ერეკლისაო“
ხალხური

„და საყვარელი კახეთის გმირი
იყო ნიადაგ მტერთა გამგმირი!“
ნიკოლოზ ბარათაშვილი

„...დღეს ციურთა საკვირველება მოშურნე ექმნა ქვეყნისა საკვირველსა: ცამან მისტაცა ქვეყანასა სიმდიდრე, ძლიერთა — ძალი, ბრძენთა — გონიერება, ერთა — გვირგვინი, მხედართმთავართ — სარდლობა და თვითმპრობელთა — სახელმწიფო ზრდილობა.

დღნი მფლობელნო!.. სტიროდეთ ახლად ქვეყნისა დიდებასა, სტიროდეთ სახლსა უავლუსტესა თქვენსა, შერაცხდეთ ცუდად სოფლისა დიდებასა! ისმინეთ ესე სახსოვრად სასმინარი: მოკედა დერჯულეს, უძლეველი მეფეთა და მზისა ქვეშე, და იხილეთ და ყოველი ამაო!.. ესაა ფრაგმენტი „მოთქმით ტირილისა საქართველოს მეფის ღერჯულეს ნეტარების ლირსისა“. მისი ავტორი (წარმომტებული) გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ერეკლე II-ის სამეფო კარის დაპლომატი, გამჭრიანი გონიერითა და ფართო განათლებით ცნობილი სოლომონ ლიონიდე იყო, კაცი — განთქმული ცოდნითა და მჭევრმეტყველებით. ეს სიტყვა სოლომონ ლიონიდე წარმოსთქვა 1798 წლის 22 თებერვალს მცხეთაში, სვეტიცხოვლის ამბიონიდან, მეფე ერეკლეს დაკრძალვის წინ.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ „მოთქმით ტირილი“ სამგლოვიარო ჟანრის მაღალი დონის ორატორული ქმნილებაა და ქართული სახოტბო მჭევრმეტყველების შესანიშნავი ძეგლია.

მეფე ერეკლე 1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა და ორმოცდლიანი გლოვის შემდეგ თელავიდან მცხეთაში წასვენეს და 22 თებერვალს იქ დაკრძალეს. განისვენა მეფემ, რომელიც საყოველთაოდ იყო აღიარებული და რომლის შესახებაც

პრუსის მეფემ ფრიდრიხმა ხმამაღლა განაცხადა: „ევროპაში მე ვარო და აზიაში — ღერჯულეს უძლეველი, საქართველოს გეორგიანთ მეფეო“. ქართველმა ხალხმა მოფერებით „პატარა კახი“ უნდა... პიროვნებას, რომელმაც გრძელი და ურთულესი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა გაიარა.

არაერთი ქართველი და უცხოელი ისტორიკოსი შეეხო ერეკლე II-ს და ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოითქვა ამ გამორჩეული პიროვნების შესახებ...

* * *

თეომურაზ Ⅱ-ისა და ვახტანგ VI-ის ქალის თამარის შვილი ერეკლე დაიბადა 1720 წლის 7 ნოემბერს — ზუსტად სამასი წლის წინ. ერეკლე ბატონიშვილმა ბავშვობა მკაცრ პირობებში გაატარა. მას სპარტანულად ზრდიდნენ. ქვეყანა მძიმე პოლიტიკურ ვითარების იყო. ოსმალებისა და ლევების ძალმორეობას საზღვარი არ ჰქონდა. კახეთის სამეფო ოჯახი იძულებული იყო ფშავში გახიზნულიყო. ოთხი-ხუთი წლის ერეკლეს ბევრი გაჭირვების გადატანა უხდებოდა. მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა გლეხის ბიჭებთან. პატარა უფლისწული ადრე დაეუფლა ცხენზე ჯდომას, ჰყავდა თავისი ცხენი („ბაჩა“). მშობლები მის განათლებაზეც ფიქრობდნენ. მისი მასანავლებლები იყვნენ: აბელ ანდონიკ-აშვილი (საერო სწავლება), ბოდბის ეპისკოპოსი ანონე — ღვთისმეტყველებაში, მღვდელი დიმიტრი ხელაშვილი გალობას ასწავლიდა.

ერთხელ ერეკლეს ნადირობის დროს შვლის ნუკრი დაუჭრია, ბიუნინა დაურქმევია და საკმადნებიერად ზრდიდა. თელავის სასახლეში ანცი შვლის ნუკრი ძნელი ასატანი გამხდარა და როცა ერეკლე

შინ არ ყოფილა სასახლის „დიაცთა სამსაჯავროს“ გადაწყვეტილებით დაუკლავთ. უფლისწულმა ძლიერი წყენით გამოხატა ბიუნას ასეთი დასჯა.

თხუთმეტი წლის ერეკლე მამა-მისმა ალავერდში გაგზავნა, რათა ოსმალთა და ლეკთა წინააღმდეგ აჯანყებას სათავეში ჩასდგომოდა. ერეკლე რჩეულ ვაჟეკაცთა რაზმით შეეპა ქიზიყიდან მომავალ ლეკების რაზმს და მწარედ დაამარცხა. ომან ხერხეულიძე რელიეფურად აგვინ-ერს ამ გამარჯვებას: „ძე მეფისა ირაკლი მეორედ შევიდა შინაგან ჯარსა ლეკისასა და პირველად ამან მოკლა კაცი; ამის მხილველთა კახთა ერთპირად მიმართეს ყივილ-ით და წინანარქცვეს ჯარი ლეკი-სა, აჰყარეს ტყვენი და საქონელი და მოსწყვიტეს უმრავლესნი“.

ერეკლემ ალაზნის გაღმა მხ-არეში ჩამოსახლებულ ლეკებს (ჭარ-ბელაქნელებს) კახელებთან ზავი შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო. კახელებმა მათი დამ-არცხებაც მოახერხეს. ასე მოიპო-ვა ყმაწვილმა ერეკლემ პირველი წარმატებები სახელმწიფოებრივსა და სამხედრო ასპარეზზე.

ნიშანდობლივია, რომ XVIII საუკუნის 20-იან — 30-იან წლებ-ში საქართველოს მესვეურებს მნიშვნელოვან ძალად მიაჩინდათ რუსეთი, რომელსაც თითქოს შეეძლო, რომ უცხო ტომები გაეგდო აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიიდან. ვახტანგ VI მტკიცედ დადგა რუსეთის მხარეზე, მაგრამ რუსეთი ვერ დაეხმარა საქართვე-ლოს, ქვეყნის პოლიტიკამაც მარცხი განიცადა.

პოლიტიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვა-ნესი აქტი შესრულდა. 1744 წელს სპარსეთის შაჰმა ნადირმა კახეთის მეფე თეიმურაზ II ქართლის მეფედ დანიშნა, ხოლო მისი ვაჟი ერეკლე — კახე-თის მეფედ. ამასთან აღსანიშნავია, რომ ნადირ შაჰმა უარი თქვა ქართლის გამაპმადიანებაზე. თეიმურაზი ქრისტიანული წესით იკურთხა მეფედ. 1745 წლის 1(14) ოქტომბერს, მცხეთობა დღეს, სვეტიცხოვლის ტაძარში მოხდა მისი ინტრონიზაცია საქართველო-ში ძველთაგან არსებული მეფეთა კურთხევის წესის მიხედვით. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან ას წელზე მეტი იყო გასული, რაც ქართლ-კახეთის ტახტი ქრისტიან მეფეებს არ დაეკავებინა. ქართლს დაუბრუნდა ლორე, ბორჩალო და ბაიდარი, რომელ-იც ადრე შაჰ-აბასის მიერ იყო მიტაცებული.

1747 წლისთვის მდგომარეობა გამწვავდა დიდი გადასახადების შენერის გამო. აჯანყება თითქმის მზად იყო, რომ შაჰმა განზრახვაზე ხელი აიღო.



კრწანისის ბრძოლა

ამასთან თავისთან იხმო ერეკლე II. შვილის ნაცვლად, ყოველგვარი საფრთხე რომ აეცილებინა მისთვის, თეიმურაზ II გაემგზავრა, მაგრამ ნადირ შაჰს ცოცხ-ალს ველარ ჩაუსწრო. 1747 წლის მაისში შეთქმულებ-მა მოკლეს იგი. ირანის ტახტი ალი-ყული-ხანმა (იგი ნადირის ძმისწული იყო) მიიღო და ტახტზე ადილ შაჰის (სამართლიანის) სახელით დავდა. 1748 წლის ზაფხულში ერეკლემ თბილისის ციხეები დაიკავა და იქ ქართველი მეციხოვნები დააყენა. 1949 წლისთ-ვის ქართლი და კახეთი ფაქტობრივად უცხოელები-საგან თავისუფალი იყო. მაგა—შვილი თეიმურაზ II და ერეკლე II ერთობლივად მოქმედებდნენ. სწორედ მათი მოქმედების შედეგი იყო, რომ ერევნის სახ-ანომ ხარკი იკისრა ქართლ-კახეთის სამეფოების სასარგებლოდ. ამ სამეფოთა ვასალი გახდა განჯის სახანო. ქართული სამეფოების გავლენა ნახჭევანის სახანოზეც გავრცელდა.

იმ პერიოდში ყარაბაღის ხანი განჯას ავინწროებ-და. განჯის ხანმა ქართლ-კახეთის მეფეებს მიმართა დახმარებისათვის, თანაც ხარკი იკისრა. თეიმურაზ-მა და ერეკლემ კოალიციური ლაშქარი შეკრიბეს. განჯისხანის, გიულისტანის მელიქის, განძასარის (ყარაბახელ სომხეთა) კათალიკოსის გარდა აქ შე-მოდიოდნენ „იმერნი, ოსნი, კავკაზნი, ერევნელნი, ყაზახნი, შამშადილნი, ლეკნი“. ერთანმა ლაშქარმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. განჯის ხანმა





ლაშქრობისათვის მეფეებს ფულადი გასამრჯელო გადაუხადა.

1751 წელს ერეკლეს ხელმძღვანელობით ქართული ჯარი თავრიზამდე მივიდა. მიზანი ალი-გარდან ხანთან შებრძოლება იყო, რომელიც სპარსეთის ტახტისათვის იღვწოდა და ისპაპანიც კი დაიკავა. ქართული ლაშქრის წინსვლა ავლანთა მოქმედებებმა შეაფერხა. მათ ტახტის პრეტენდენტის აზატ-ხანის მეთაურობით ნახიჩევანსა და ერევანს შეუტიეს. მეფე ერეკლე ოთხიათასიანი ლაშქრით ერევნის სახანოში გადავიდა. პირველ შეტაკებებში ქართველთა მონინავე რაზმი დამარცხდა. მაშინ ძრითად შენაერთს თვით მეფე ჩაუდგა სათავეში და ავლანთა მრავალჯერ აღმატებული ჯარი დაამარცხა. პაპუნა ორბელიანის ცნობით: „შეშინდა ყოველი ქვეყანა და მონებდნენ ქართველ პატონს ხმლის ძალით გარეშემონი ქვეყანანი“.

ხალხურ შემოქმედებაშიც აისახა აზატ-ხანთან გამარჯვება, როგორც კი გაიგო ერეკლე მეფემ აზატ-ხანის გადადგმული ნაბიჯების შესახებ „ცხენს შეჯდა, ხმალი აიღო, მსუბუქის ჯარით წავიდა, ჯაბახანა არ წაიღო ჩვენმა ჯარმა შეუტია, ლაშქრი ორად გაიყო ერეკლემ ცხენს შეუტია, ხევს გაადინა ჩქაფანი, ხევ-დელე მძორით აიგსო, ცხენს შეულება ფაფარი, წინ ვერავინ ვერ დაუდგა, მტერს სრესდა მისი ნაფარი“ („აზატ-ხანი და ერეკლე“).

ქართლ-კახეთის მეფეების სწორმა პოლიტიკამ დიდად გაზარდა მათი ავტორიტეტი. პაპუნა ორბელიანის თქმით: „შეშინდა ყოველი ქვეყანა და მონებდნენ მეფესა ქართლისასა თეიმურაზს და ძესა მისას ერეკლეს“. XVIII საუკუნის ორმოცდათ-სამოცან წლებში (გრისაუთრებით ნადირ შაპის გარდაცვალების შემდგომ) დიდად გაიზარდა ქართლ-კახეთის ავტორიტეტი მთელს რეგიონში. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ამ პოლუქეს სომეხი მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა და პოლიტიკური დაქვემდებარებაც მოჰყვა. სომეხი ისტორიუმის ცნობით, ერეკლე II-ის დროს მისმა თანამემამულებმა გარკვეული შევბა იგრძნეს. 1763 წელს საქართველოში საგანგებო მისით ჩამოვიდა სომეხი სახელმწიფო მოღვაწე იოსებ ემინი, რომლის გეგმა ითვალისწინებდა ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნას ერეკლე II-ის თავიაცობით. ქართლ-კახეთის მეფე სომხურ პოლიტიკურ ერთეულებს ისედაც აკონტროლებდა, ამიტომ ჯერ შეყოვნდა, შემდეგ კი უარი თქვა ემინის წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ ზოგიერთი სომხური პროვინცია კათოლიკოს სემიონის ხელდასხმით მას მხარს არ უჭერდა. მოგვიანებით ეს საკითხი კვლავ დადგა დღის წესრიგში სხვადასხვა კუთხის სომეხთა მოთხოვნით. სომეხმა პოლიტიკურმა მოღვაწემ შამირ შამირიანმა შესთავაზა ერეკლე II-ს ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნა (ცხადია, ერეკლე II-ის მეთაურობით). ეს გეგმა სხვადასხვა მიზეზების გამო ჩამიშალა (ერთ-ერთი მიზეზი შამირ შამირიანის გარდაცვალება იყო).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართლ-კახე-

თის სამეფოსა და ჩრდილოეთის ურთიერთობა. XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან ლეგების თავდასხმებმა მძიმე ხასიათი მიიღო — ქვეყანას განადგურებას უქადანენ დალესტნის ტომები. ისინი იჭრებოდნენ კახეთის სოფლებში, იტაცებდნენ ადამიანებს, საქონელს და უკან ბრუნდებოდნენ. ამგვარ საციიელს მხარს უჭერდა იმდროინდელი ოსმალეთი, რომელიც, თავის მხრივ, მონათა ბაზარს ნარმოადგენდა.

ქართველები ბრძოლებში ამარცხებდნენ მთიელთა რაზმებს, მაგრამ საბოლოოდ ვერ აჩერებდნენ. ჩვეულებრივი „ლეკინობიდან“ განსხვავდებოდა 1754 წელს ხენძხის ბატონის ნურსალ-ბეგის შემოსვლა კახეთში. ქართველებმა დაამარცხეს მომხდური მტერი მტადიჯვართან. ნურსალ-ბეგი 1755 წელს დიდი ჯარით კვლავ შემოიჭრა საქართველოში და ყვარლის ციხეს შემოადგა. ერეკლე მეფემ შეძლო თავი მოეყარა ოცი ათასიანი ლაშქრისთვის და მოხერხებული მოქმედებით მტრის მუხანათური გეგმები ჩაშალა. ერეკლემ ყვარლის ალყის გასარღვევად ნებაყოფლობით შემდგარი საგანგებო ორას ექს კაციანი რაზმი შეკრიბა (ექსი თავადი, ორი აზნაური, დანარჩენი ყველა გლეხი, აქედან 103 ქიზიყელი). რაზმმა ციხისკენ გზა გაიკათა, ციხეში თოფის წამლის მარაგი შეიტანეს. მტერი ყვარლის ციხეს ჩამოსცილდა. ნურსალ-ბეგმა ომი წააგო. ერეკლემ ალყის გამრღვევი გლეხები გაააზატა და ყოველი გამოსალებისა და საურავისაგან გაათავისუფლა („თქვა: დამაცადეთ, ლეკებო, მე რომ თქვენი სჯული ვიცი“). ლეკებმა შექმნეს ჩოჩელი, მოგვენია არჩილ გიუ, ზოგს მოგვკლავს, ზოგსა დაგვარჩენს თავს ვერ მოუვალთ, შეგვარცხვენს, სჯობია ახლავ გავეტცეთ, მოვერიდოთ ერთ კლდის ძირში“... („ერეკლე მეფის გამარჯვება ლეკებზე“).

საერთოდ, ერთის მხრივ, ლეკთა თარეში, სხვა მხრივ, კეონომიკური სისუსტე, მუდმივი ჯარის შექმნის შეუძლებლობა, ირანთან ურთიერთობის სირთულე მძიმე ტვირთად აწევს ქვეყნის პოლიტიკას. ამის გამო თეიმურაზ II იძულებული გახდა რუსეთში წასულიყო და ეთხოვა: ჯარი ან ფული სესხად. ასეთ შემთხვევაში ლეკთა თარეში აიღაგმებოდა, შეიჭრებოდნენ ირანში და ტახტზე რუსეთისთვის სასურველ პირს დასვამდნენ.

თეიმურაზ II ჩავიდა პეტერბურგში, მაგრამ დახმარება ვერ მიიღო — 1762 წლის 8 იანვარს ივი გარდაიცვალა (სამუხაროდ მეფის ცხედარმა საქართველომდე ვერ ჩამოალნია. ივი, ქვეყანაში გართულებული მდგომარეობის გამო, რუსეთში — ასტრახანში, ლვოისმშობლის მიინების ტაძარში დაკრძალეს იმ იმედით, რომ გარკვეული დროის შემდეგ თბილისში გადაასვენებდნენ. ეს კი დღემდევერ მოხერხდა. აქვე განისვენებს ვახტანგ VI და რამდენიმე ქართველი სამღვდელო პარი).

ერეკლე II-მ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა. ამასობაში ირანში საქმე საინტერესოდ წარიმართა. ერეკლემ შეიპყრო აზატ-ხანი და ირანის ტახტის რეალურ პრეტენდენტს ქერიმ-ხანს გაუგზა-





ვნა. ქერიმ-ხანი მთელი ირანის მმართველი გახდა. განული სამსახური შაპმა არ დაუვიწყა ერეკლეს და სცნო ქართლ-კახეთის გაერთიანება ერთ სამეფოდ; ერეკლე II კი მის მეფედ აღიარა. ქერიმ-ხანმა ქართლ-კახეთის სამეფოს უფლებები სცნო განვისა და ერევნის სახანოებზე, რითაც ხაზი გაუსვა ერეკლე II-ის უპირატესობას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში საერთაშორისო ვითარება ქართლ-კახეთისათვის სასარგებლო იყო. ირანის მმართველი ქერიმ-ხანი ერეკლე II-ს მეფებრებოდა. თურქეთი, რუსეთთან გამჩვავებული ურთიერთობისა და იმერეთში გართულებათა გამო, ქართლ-კახეთან ურთიერთობის გზას დაადგა. ქართლ-კახეთის მეფემ ოპოზიციონერი თავადების წინააღმდეგობაც გატეხა. 1865 წელს პაატა ბატონიშვილის ხელმძღვანელობით შეთქმულება მოეწყო. მიზანი ერეკლე II-ის მოკვლა და პაატა ბატონიშვილის გამეფება იყო. მონაწილეობდნენ დავით ბატონიშვილი (პადულა ბეგის ძე), სახლთუზუცესი დიმიტრი ამილახვარი, მისი შვილი ალექსანდრე, ელიზბარ თაქაქიშვილი, გლახა ციციშვილი და სხვ. იკრიბებოდნენ ვინმე მარკოზაშვილის ბინაში („მარკოზაშვილის დარბაზი“). შეთქმულები გასცა სამშვილდელმა გლეხმა — დათუნა ფეიქარმა. ერეკლეს ბრძანებით ისინი შეიძყრეს და სასტიკად დასაჯეს: პაატა და დავით ბატონიშვილებს თავები მოჰკვეთეს, ელიზბარ თაქაქიშვილი ცეცხლში დაწვეს, გლახა ციციშვილს ენა მოჰკრეს და ა.შ. ეს სისასტიკე მტკიცე ზურგის შექმნას ემსახურებოდა.

ერეკლე II-მ ყურადღება მიაქცია გლეხთა საკითხს. 1865 წელს გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც უცხოეთის ტყვეობიდან თავდალნებული გლეხი ძველი მებატონის ყოველიდან თავისუფლდებოდა. არსებობს მასალა, რომელიც აჩვენებს მეფის დიდ ყურადღებას გლეხებისადმი. არის ცნობა, რომ მეფე ქიზიყის ასისთავს ავალებდა: „გლეხს კაცს უსამართლო არა დამართო რაო“. არის ცნობები, რომ რევაზ ამილახვარსა და თავად ჯაგახიშვილებს მიუთითებს: „გლეხებს სამართლიანის საქმით მოექცით, თორემ თუ გიჩივლეს, გინენოთ“. ქართლ-კახეთის მეფე, როგორც ფეოდალთაგან, ისე ყმისაგან კატეგორიულად მოითხოვდა „ბატონების რიგის“ დაცვას.

მოუხედავად გარკვეული ნარმატებებისა ქვეყანას მაინც უჭირდა. მოსახლეობა შემცირებული იყო. საქართველოს მოსახლეობა 1254 წელს ხუთ მილიონს აღწევდა, 1770 წლის ცნობით, ქართლ-კახეთის სამეფო 67 ათას კომლამდე იყო, თანაც ყაზახ-შამშადონისა და დიდოეთის ჩათვლით (დასავლეთი საქართველო ამ პერიოდში 31 ათას კომლს მოითვლიდა). როგორც ვხედავთ, საქართველოს მოსახლეობა XIII საუკუნის შუა წლებთან შედარებით XVIII საუკუნის 70-იანი წლებისათვის ათვერ იყო შემცირებული (5 მილიონიდან დაეცა ნახევარ მილიონამდე). ქვეყნის თავდაცვა ეკონომიკური თუ ტექნიკური ჩამორჩენილობის გამო ვერ ხერხდებო-

და. საჭირო იყო ძლიერი მოკავშირის მოძებნა. ქართლ-კახეთს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, თუმცა ეს არ იყო გარანტია მომავალი წარმატებებისა. აუცილებელი იყო ირანთან კეთილი ურთიერთობის შენარჩუნება და ლეკა საკითხის გადაჭრა. არც თურქეთის შემოსევისგან იყო ქვეყანა დაცული. ცხადია, ყველა ეს ამიცანა ვერ გადაწყდებოდა საკუთარი ძალებით. ქართველი პოლიტიკოსები ითვალისწინებდნენ, რომ გარკვეული დროის შემდეგ რუსეთი შეებმებოდა ირანსა და ოსმალეთს. ეს რუსეთს სჭირდებოდა კასპიისა და შავი ზღვების აუზებისაკენ გზის გასაკაფად. ამიტომაც საქართველოს პოლიტიკური კურსი რუსეთისკენ იყო მიმართული.

მეფე ერეკლეს რთული ოჯახური ცხოვრება ჰქონდა. მეორე ცოლის ანა აპაშიძის გარდაცვალების შემდეგ, მან მესამე ცოლი შეირთო — დარეჯან დადიანი, რომელიც ზედმეტად პატივმოყვარე იყო და სასახლეში ინტრიგების ქსელი გააბა. შეფეს ჰყავდა ერთგული თანამებრძოლი კათოლიკოსი ანტონ I, რომელიც მისი მამიდაშვილი იყო. ანტონ I-მა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ქართულ ეკლესიაში. მან ერეკლეს აღადგენინა თავის დროზე ვახტანგ VI-ის დაფუძნებული სტამბა. 1756 წელს ანტონ I-ის მცდელობით ფილოსოფიური სემინარია დაარსდა. ანტონ კათოლიკოსს ეწინააღმდეგებოდა ფანატიკურად განწყობილი ქართველი სამღვდელოება ზაქარია გაბაშვილის (ბესიკის მამა) მეთაურობით. ერეკლე ვერ დაეხმარა ანტონს, რადგან თემურაზ II-ც სეფექალების წაქეზებით ებრძოდა კათოლიკოსს. საეკლესიო კრებამ ანტონ I კათოლიკოსობიდან გადააყენა. მამის სიკვდილის შემდეგ ერეკლე II-მ ანტონ საპატრიარქო ტახტზე დააბრუნა.

ნიშანდობლივია, რომ რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ ინტენსიური დიპლომატიკური ურთიერთობა დაამყარა ქართლ-კახეთის სამეფოსთან. საქართველომ საგანგებო რწმუნებული გამოაგზავნეს. ეს იყო გარუსებული ქართველი თავადი ქობულაშვილი (ხვაბულოვი). მოითხოვეს, რომ ერეკლეს და იმერეთის მეფეს სოლომონს შეთანხმებულად ემოქმედათ რუსეთის სასარგებლოდ. მეფეებმა მართლაც შეჰვიცეს, რომ საერთო საქმეს არ უღალატებდნენ. ერეკლეს მიერ რუსეთისადმი მიმხრობამ გააღიზიანა ისმალეთი — მათ საქართველოს ნეიტრალიტეტის დაცვა მოსთხოვეს. თანაც ითხოვდნენ, რომ სოლომონ მეფისათვის არ დაეჭირათ მხარი მის ანტიურქულ პოლიტიკაში.

რუსეთის ხელისუფლებას, როგორც ჩანს, მთლიად კარგად არ ჰქონდა გაცნობიერებული, რა დოზის დახმარება სჭირდებოდა ქართლ-კახეთს. ფიქრობდნენ ჯარის მცირე შემადგენლობითაც გავიდოდნენ ფონს. ძალიან ცუდად იყო შერჩეული რუსეთის კორპუსის სარდალი. გრაფი ტოტლებენი გერმანელი იყო. როგორც გადმოგვცემენ, ავანტურისტული მიდრეკილებები და ბნელი წარსული მას გამოუსადეგარს ხდიდა.





1869 წელს გენერალ ტოტლებენის სარდლობით რუსის ჯარი შემოვიდა საქართველოში. მომდევნო წელს ერეკლე და ტოტლებენი ახალციხის საფაშოზე სალშექროდ გაემართნენ. ერეკლეს ფარული მიზანი იყო ოსმალთაგან მიტაცებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის დაბრუნება. რუს-ქართველთა ჯარმა ალყა შემოარტყა ანწყურის ციხეს. ომი დაიწყო თუ არა, ტოტლებენმა გაუგონარი ნაბიჯი გადადგა — თავისი ჯარით უკან გაბრუნდა. ამან, ცხადია, ჯარში არევ-დარევა გამოიწვია. ერეკლე ॥ გულმოცემულ მტერს მედგრად დახვდა და ისევ ციხეში შერევა. მეორე დღეს მეფე ასპინძის მიმართულებით წავიდა. ასპინძასთან ქართველებს ოსმალები შემოეყარნენ. ერეკლე რჩეულ მხედართა რაზმით მედგრად ეკვეთა მტერს და დაამარცხა იგი. ახალციხის მხრიდან შემოსულ ლეკ-ოსმალთა ოთხიათასიანი ლაშქრიც გაანადგურა. მტრის სამიათასამდე მოლაშქრე მოიკლა, ბევრი მტკვარში დაიხრჩო, ან ტყვედ ჩავარდა. ქართველთა ზარალი უმნიშვნელო იყო. ასპინძის ბრძოლაში გამარჯვება 1770 წლის 20 აპრილს მოხდა („ასპინძას ერეკლე ვნახე, ხელში ეჭირა ხმალი, ხოცვა დაუწყო ლეკ-ოსმალთ, ადინა სისხლის ღვარიო“. ხალხური).

ერეკლესა და ტოტლებენს შორის ურთიერთობა ძალზე დაიძაბა. უჭყუო გენერალს მეფის ტახტიდან ჩამოგდება უნდოდა. მას ოპოზიციონერი ქართველი თავადებიც უჭერდნენ მხარს. გენერალმა ხალხის რუსი ხელმინიფის ერთგულებაზე დაფიცება დაიწყო. ერეკლემ საპასუხო ენერგიული მოქმედებით ტოტლებენი შეაშინა და განზრახვაზე ხელი ააღებინა.

რუსეთის მიერ საქართველოში გამოიგზავნილმა ლაშქრმა ქვეყნას ვერაფერი არგო. ერეკლეს მიზნები მიუღწეველი იყო. ერევნის ხანი გამდგარი იყო და ოსმალეთის უზენაესობა ალიარა, ქერიმ-ხანიც გაუორგულდა ქართლ-კახეთის მეფეს, ლეკებიც ამლილი იყვნენ. რეაქციონერი თავადებიც გააქტიურდნენ — ალექსანდრე ბატონიშვილის (ბაქარის ძე) დახმარებით აპირებდნენ ერეკლეს განდევნას ქართლიდან. არც მოკავშირე რუსეთი გამოიჩინეოდა საქართველოს გაძლიერებისათვის ბრძოლით. დადგა საგარეო პოლიტიკის გადასინჯვის საკითხი. ერეკლე ॥-მ თანამზრახველებთან თათბირის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება — ეთხოვა რუსეთის მთავრობისათვის საქართველოს შესვლა რუსეთის მფარველობის ქვეშ.

პარალელურად ერეკლე მეფე შინა საქმეებსაც აგვარებდა. 1773 წელს შეემნა „მორიგი ჯარი“. ლაშქრობის შემდლე ყველა მამაკაცი ვალდებული იყო წელინადში ერთი თვე ლაშქარში თავისი ხარჯით გასულიყო. მორიგე ლაშქარს ერეკლეს ვაჟი ლევან ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა. 1781 წელს ლევანი გარდაიცვალა და ცოტა ხანში მორიგე ლაშქარიც დაიშალა. ეს რეაქციის გამარჯვება და ერეკლე ॥-ის მარცხი იყო.

ქართლ-კახეთის ბრძენმა მეფემ სცადა გარკვეული კავშირი ევროპის ქვეყნებთან დაემყარე-

ბინა. იგი აშეკად ცდილობდა ქართველთა ევროპულად გარდაქმნას, ქვეყნის სამხედრო-ტექნიკურ და სამეურნეო-სახელმწიფოებრივ დაწინაურებას. მეფის მცდელობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან დაახლოებისა, ნარუმატებლად დამთავრდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მიმართ ურთიერთობის გააქტიურა რუსეთმა — რუსი მოხელეები, ერჩები, მოგზაურები ურჩევდნენ ერეკლეს, რომ ეთხოვნა რუსეთის მფარველობა, თან აიმედებდნენ, რომ ამ გზით საქართველოს კეთილდღეობას მიაღწევდა.

1782 წლის 21 დეკემბერს ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე ॥-მ, რუსეთის ხელისუფლების სურვილის შესაბამისად, რუსეთის მეფის მფარველობა ითხოვა. უმაღვე ეკატერინე ॥-ის ბრძანებით დარუბანდელმა ფათალი-ხანმა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ შეყრილი ჯარები დაითხოვა; ალექსანდრე ბაქარის ძე აიძულეს რუსეთში წასულიყო — ტახტის მაძიებელი ბატონიშვილი გზაშივე დააპატიმრეს.

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიის ციხე გიორგიესკაში რუსეთ-საქართველოს შორის „მეგობრობითი პირობა“ („ტრაქტატი“) გაფორმდა. დოკუმენტს ქართლ-კახეთის მეფის მხრიდან ხელი მოაწერეს იმანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ. ეკატერინე ॥-ის სახელით — გენერალმა პავლე პოტიომენმა. 1784 წლის 24 იანვარს ერეკლე ॥-მ ხელი მოაწერა და „მეგობრობითი პირობა“ („ტრაქტატი“) ძალაში შევიდა.

„ტრაქტატით“ რუსეთის იმპერატორი ქართლ-კახეთის მეფეს საუკუნო მფარველობას აღუთქამდა, ერეკლეს სამფლობელოს დაცვას ივალებდა; ერეკლე ॥-სა და მის შთამომავლობას ქართლ-კახეთის ტახტზე უთუოდ დაიცავდა, ქვეყნის მართვა-გამგეობაში ქართლ-კახეთის მეფე დამოუკიდებელი იყო — რუსეთი საქართველოს შინაურ საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო. თავის მხრივ ქართველი მეფე ვალდებული იყო თავისი სამხედრო ძალით საჭირო შემთხვევაში რუსეთის მეფის განკარგულებაში გამოსულიყო; ქართლ-კახეთის ტახტზე ახლად გამეფებული რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა; დიპლომატიური საქმიანობაც ქართლ-კახეთის მეფეს რუსეთის ხელისუფლებასთან (ან ადგილობრივ მოხელესთან) შეთანხმებით უნდა ენარმობება.

ტრაქტატით შეთანხმებული რუსთა ჯარი 1783 წლის 3 ნოემბერს ჩამოვიდა თბილისში. 1784 წლის 23 იანვარს ერეკლე ॥-მ რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულების ფიცი დადო.

დიდი გეგმები, რაც ქართლ-კახეთს და მის მეფეს გააჩნდა ტრაქტატით დაკავშირებით არ გამართლდა. ერეკლე ॥-ის გადადგომით განაწყენებულმა ოსმალეთმა თავის წამოყო. განახლდა ლევანი. 1785 წელს ხუნძახის ბატონი მარა-ხანი შემოესა კახეთის, აილო რამდენიმე ქალაქი და ციხე. ერეკლემ ლაშქრის სიმცირის გამო შებმა ვერ გაბედა. ომარ-ხანი დიდალი ტყვით უკან გაბრუნდა. ერეკლე ॥





მოურიგდა ომარ-ხანს — ყოველწლიური „ჯამაგირი“ (ხარკი) 5000 მანეთი იკისრა. თავის მხრივ ოსმალეთი მოუწოდებდა ერეკლეს შეენყვიტა რუსეთთან კავშირი და მასთან მეგობრობა დაემყარებინა. მეფის მოწინააღმდეგე რეაქციულმა ძალებმა თავის დასაყრდენად დარეჯან დედოფალი და მისი შვილები გამოიყენეს, რომლებიც ოსმალეთთან მორიგების მომხრენი იყვნენ. ამ უკანასკნელებმა მეფეს ორი უმართებულო კანონი მიაღებინეს (1792 წ.). ამიერიდან სამეფო ტახტი უფროს შვილს (პირმშობს) კი არა, არამედ გვარში უფროსს უნდა დაეკავებინა. ეს უხერხული გადაწყვეტილება (კანონი) ერეკლემ თავად მალე უარყო. თუმცა დარჩა მეორე კანონი, რომლის ძალითაც ქვეყანა დაიყო საუფლისწულოებად, თითოეულ უფლისწულს მეფემ ყმათა გარკვეული რაოდენობა მისცა. თავის საუფლისწულოებში ბატონიშვილებმა თავი დამოუკიდებელ მეფებად წარმოიდგინეს და რეალურ რეაქციულ ძალად იქცნენ.

ამ, ქვეყნისათვის საკმაოდ რთულ პერიოდში, ქართველ საზოგადოებაში გაჩნდა საქართველოს გაერთიანების იდეა. ამ იდეას მდაბიო ხალხიც მხარს უჭირდა. 1790 წელს ქართლ-კახეთის მეფეს ენვია იმერელ თავადთა დელეგაცია, რომელმაც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება შესთავაზეს. ერეკლე II-მ საგანგებო სხდომა მოიწვია აღნიშნული წინადადებების განსახილველად. კამათში აქტიურები იყვნენ მზეჭაბუჟ რებელიანი, ანტონ კათალიკოსი, დავით ორბელიანი (სარდალი), სოლომონ ლიონიძე. ესენი ქვეყნის გაერთიანებას უჭირდნენ მხარს. თანაც მეფეს გადასცეს იმერელთა აზრი: ერეკლე მეფე იფიქრებს, როგორ წავართვა ტახტი ჩემს შვილიშვილს (იმერეთის მეფე სოლომონ II ერეკლეს შვილიშვილი იყო). ეს აზრი უკულმართი და დამლუპავიაო. უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანების იდეას მტკიცედ იცავდა სოლომონ ლიონიძე.

იმერეთის დესპანების სახელით ქაიხოსრო წერეთელმა კომპრომისული წინადადება დასვა: იმერეთში მეფობა წე მოისპობა. იქ ერეკლეს შვილიშვილი სოლომონი გამეფედს და მან კავშირი შევრას ქართლ-კახეთთანაო. უარყოფითი მოსაზრებით გამოვიდა იოანე მუხრანბატონი: ქართლ-კახელებს ჩვენთვის ვერ მოგვივლია, იმერეთის როგორდა მოვუაროთ. სარდალი დავით ორბელიანი მკაცრად შეეკამათა იოანე მუხრანბატონს, რამაც ფაქტობრივად სხდომა ჩაშალა. ცალკე უნდა აღნიშნოთ დარეჯან დედოფალი, რომელიც კატეგორიული წინააღმდეგი იყო გაერთიანებისა (ცხადია საკუთარი შვილიშვილის გამო) და ქმარზეც უარყოფით გავლენას ახდენდა. ერეკლე მეფემ სოლომონ II-ის ტახტზე დასმას დაუჭირა მხარი და იმედი გამოთქვა მომავალში კავშირს შევერავთ.

1790 წელს ერეკლე II-ს, სოლომონ II-ს, გრიგოლ დადიანსა და სვიმონ გურიელს შორის დაიდო „ტრაქტატი ივერელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა“. ეს დოკუმენტი, ცხადია,

მნიშვნელოვანია, თუმცა მას პოლიტიკური შედეგები არ მოჰყოლია. ტრაქტატს ჰქონდა სერიოზული ზეობრივი მნიშვნელობა, ნაკლებად პრაქტიკული.

ამასობაში ირანში მიმდინარე მძაფრ შინაომებში გაიმარჯვა აღა-მაჰმად-ხან ყაჯარმა. მისი ზეობის პირველივე წლებიდან აღმოჩნდა, რომ ქართლ-კახეთში ირანის ბატონობის აღდეგნა სურდა. ერეკლე II-ს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ირანის შაჰი ქართლ-კახეთზე შემოსევას აპირებდა, ქართლ-კახეთის მეფემ რუსეთის სამხედრო დახმარება მოითხოვა. დაპირებები იყო, რეალურად კი არაფერი კეთიდებოდა. 1795 წლის სექტემბრის დასაწყისში აღა-მაჰმად-ხანი თბილისისაკენ წამოვიდა. შაჰი რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოსა და აღა-მაჰმად-ხანის კონფლიქტში არ ჩაერეოდა (ინფორმაცია „კავკასიის ხაზის“ უფროსის გენერალ გუდოვიჩის დოყლაბიობის შედეგად გახდა ცნობილი მზვერავებისათვის). 1795 წლის 29 აგვისტოს მეფე ერეკლე აღმფუოთებით სწრადა გარსევან ჭავჭავაძეს, რომ „აღა-მაჰმად-ხანი ბილნ საქმანობას ეწევაო“. ირანის შაჰმა საგანგებო ულტიმატუმი გამოუგზავნა ერეკლე II-ს. იგი არ უწონებს რუსეთისკენ გადადგმულ ნაბიჯს და მოითხოვს — ჩამოშორდიო: „თუ ამას არა იქმ, რაც გვიპრძანებია, ... საქართველოზე მოვალთ, რუსთა და ქართველთა სისხლს ერთად დავაქცევთ და მტკვრის მსგავსად მდინარეთა გავაკეთებთო“.

ქართლ-კახეთის ლაშქარი მოუმზადებელი იყო. მეფეს მხოლოდ 5 000 მოლაშქრე მიუვიდა. უფლისწულები არ დაიძრნენ საუფლისწულოდან. იყვნენ მოლალატები, რომლებიც ხალხში მტერთან შებმის უმედობას ქადაგებდნენ. აღ. ორბელიანმა მოგონება დატოვა მამამისზე, ვახტანგ ორბელიანზე (თეკლა ბატონიშვილის მეუღლეზე), რომელიც არ მოეშველა სიმამრს (მას 2000 კაცის გამოყვანა შეეძლო) კრწანისის ბრძოლაში. ნიშანდობლივია, რომ მოლაშქრებიდან 3000 კაცი სოლომონ II-ის მოყვანილი იყო იმერეთიდან.

8 სექტემბერს მტრის დასაზვერვად 12 მხედარი გაგზავნა. ფარეშთუცესის გოჯასპ ნათალიშვილის მეთაურობით. იალუჯის მთაზე ირანელ მოლაშქრეებს გადაეყარნენ. შეებრძოლნენ მტერს და ერთიანად შეაკვდნენ. მხოლოდ გოჯასპი ნათალიშვილი გადარჩა, მოკლული თურქმენის ცხენით გამოაღია. 10 სექტემბერს თბილისთან მოახლოებული მტრის ლაშქრის შენაერთს დიდი ზარალი მიაყენა დავით ბატონიშვილმა და დაამარცხა. მოლალატებისა და შაჰის აგენტების საშუალებით ცნობილი გახდა მეფე ერეკლეს ლაშქრის სუსტი მხარეები და აღა-მაჰმად-ხანი კვლავ მძლავრად შემობრუნდა თბილისისაკენ. 11 სექტემბერს დარეჯან დედოფალმა, ზოგიერთი ქართველი დიდებულის ოჯახთან ერთად, თბილისა დატოვა და ანანურში გაიხიზნა. ამან პანიკა გამოიწვია მოსახლეობაში. სიტუაცია უმართავი გახდა — დაინყო ქალაქის ძარცვა. ამას მოლა-





ლატე ნაძირლები აკეთებდნენ. ერეკლე თავად დაბრუნდა ქალაქში, ვითარება მოაწესრიგა და კვლავ კრნანისში გაპრუნდა.

ნინ 11 სექტემბრის ბრძოლა იყო. ბრძოლის თავეაცობა სხვადასხვა ფრონტებზე დაევალათ დავით და ოიანე ბატონიშვილებს, ოიანე მუხრანბატონს, ზურაბ ნერეთელს. სამარქაფო ჯარს (არაგველები) ვახტანგ ბატონიშვილი და ოთარ ამილახვარი ხელმძღვანელობდნენ. ქართველ ლაშქარს შეუერთდა სახელდახელოდ შეკრებილი რაზმი, რომელსაც დავით მაჩაბელი „მაჩაბელა“) ედგა სათავეში („ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი“ — ლ. ასათიანი). მედგრად იბრძოლეს ქართველებმა. ყველას გმირობის მაგალითს აძლევდა 75 წლის ერეკლე II. ქართველთა ლაშქარმა გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. თითქმის ათჯერ ჭარბმა ძალამ თავისი გააკეთა — მტერი ზურგიდან მოექცა ქართველებს და შეუტია. ქართულმა ჯარმა გმირობა გამოიჩინა. დიდი ნაწილი, მათ შორის, სამასი არაგველი ბრძოლის ველზე დაეცა. ერეკლე მეფემ ჯერ სეიდაბადისკენ დაიხია, შემდეგ ქალაქისკენ. იგი თბილისში შემოვიდა 150 კაცის თანხლებით.

აღა-მაპმად-ხანი თბილისში 13 სექტემბერს შემოვიდა და ქალაქის დანგრევა დაიწყო. დაანგრია თოფხანა, ზარაფხანა, სემინარია, სტამბა, ავლაბრის ხიდი. განადგურდა მეფის წიგნსაცავიც. ამგვარად, კრნანისის ბრძოლატრაგიკულიშედეგითდამთავრდა.

ერეკლე II აწენილი საქმეების მოგვარებას შეუდგა, შემდეგ თელავში გადავიდა და იქ გაატარა სიცოცხლის დარჩენილი წლები. ქვეყანაში რთული ვითარება იყო, მაგრამ დაუძლურებულ მეფეს ალარ შეეძლო ბრძოლის ველზე გასვლა. ამ დროის დარევან დედოფალი აქტიურობდა. სიკვდილის ნინ მეფე გიორგი ბატონიშვილმა ინახულა. მასთან იყო თეომურაზ ბატონიშვილი, რომელიც ავადმყოფ პაპას უვლიდა.

1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა დიდი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, ქართლ-კახეთის მეფე, „პატარა კახად“ წოდებული ერეკლე II. ნიშანდობლივია, რომ მეფე იმავე პალატსა და სანოლში გარდაიცვალა, რომელშიც დაიბადა („ქართველებ ვერ გაიგითა, რეინის შეგეხსნათ კარიო, მეფე ერეკლე ალარ გყვათ, ბაგრატიონთა გვარიო“).

ორმოცი დღე იგლოვა საქართველომ დიდი მეფე... მეფის ცხედარი სასახლის მთავარ დარბაზში ესვენა ამბიონზე. აქვე იყო წარმოდგენილი სამეფო რეგალიები. დარბაზის ერთ მხარეზე თეთრ საბურველში გახვეული სეფექალები ისხდნენ, მეორეზე — კარისკაცები გადატეხილი კვერთხებით ხელში. ეზოში მეფის ცხენი იყო უკუღმა შეკაზმული, რომლის აღვირი მინაზე მჯდომარე მეუზანგეს ეჭირა. საერთო გლოვაში — დატირებაში გამორჩეული იყვნენ სოლიმონ მსაჯული („მოთქმით ტირილი“) და ქიზიყელი ქვრივი დედაკაცი, რომელიც „შეწნარებული იყო კარსა ზედა მეფესასა“. ამ ქალბატონის ტირილი გამორჩეული (აღმატებული)

იყო სხვა მგლოვიარეთაგან. მეორმოცე დღეს ერეკლეს ცხედარი მცხეთაში წაასვენეს და სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს („სვეტიცხოვლის ძველ ტაძარში, საქართველოს ცხელი გული ასვენია“ — ლ. ასათიანი).

უნდა აღინიშნოს, რომ უამიანობის გამო (შავი ჭირი მძვინვარებდა) პროცესია თბილისში ვერ შევიდა. მცხეთაში, ეპიდემიის შიშით კახელებმა არაგვზე გადასვლა ველარ გაბედეს, კუბო მცხეთელებს გადასცეს და თავად უკან დაბრუნდნენ.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ დარეჯან დედოფალი სამგლოვიარო პროცესიას მცხეთაში არ გაჰყოლია. მის გეგმებში შედიოდა, რომ თავისი ღვიძლი შვილებისათვის ტახტი უზრუნველეყო. ეს ვერ მოახერხა. თავის მხრივ გიორგი ბატონიშვილმა შეძლო ბატონიშვილებისა და დიდებულებისათვის თავისი ერთგულების ფიცი მიეღებინებია (დარეჯანმა ფიცი არ მიიღო). ამის შემდეგ გიორგი ბატონიშვილი დარეჯან დედოფალთან ერთად თელავიდან გაემზარებოდა თბილისში, სადაც ეპიდემია (შავი ჭირი) დამცხრალი იყო.

ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი გიორგი ბატონიშვილმა (გიორგი XII) დაიკავა.

* * *

დიდი ქართველი მოღვაწის, ქართლ-კახეთის მეფის, „პატარა კახად“ წოდებულის ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წლის აღსანიშნავი წერილი მინდა დავამთავრო კვლავ სოლომონ ლეონიძის ამაღლებული დატირებით („მოთქმით ტირილი“).

„ხელმწიფევ მფლობელო, საზოგადოვ მამავ, მეფევ ირაკლი, ვის მიუსცე შენის უმაღლესის თავისა და უძლეველის ტანის უზომო ტრფიალება?! ვის დროშას ვემსახურო?! ვინ შევიყვარო?! ვისთვის მოკვდე?! ვისთვის ვიკოცხლო. შენს უკან სიცოცხლე საზრახვად გამწარებულმან?!“

არსებობს გადმოცემა: დიდმა თამარმა მეფედ კურთხევის დროს თავის სეფესიტყვაში წარმოსთქვა „შიშველი მოღვდივარ და ამ ქვეწიდან შიშველი წაგალო“. მეფე ერეკლეს თამამად შეეძლო გაემეორებინა დიდი წინაპრის სიტყვები.

ერეკლე მეორებ შექმნა დიდი ეპოქა. არც ერთ მეფეს, თამარის შემდეგ, არ მიუღია ხალხის დიდი სიყვარული, აღტაცებული ქებათა ქება, როგორც მეფე ერეკლემ. ის დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე იყო, ქვემარიტი გმირი, ბრწყინვალე რაინდი. მისი ხმალი საქართველოსათვის ბრძოლაში არასდროს გადამტყდარა. მრავალნაცად თოფსაც მედიდური წარწერა ჰქონდა:

„მე ვარ თოფი — მუსაიფი
კახო ბატონის ერეკლესი“.

დღეს, ერეკლე მეორის დაბადების სამასი წლისთავზე ხმალი უნდა განვაცხადოთ: იგი იყო ყველა დროის ქართველ გამორჩეულ მოღვაწეთა შორის — გამორჩეული და დიდი; მას განსაკუთრებული ადგილი უკავია უკვდავთა შორის.



გიორგი გოცირიძე

ისტორიის დოქტორი,
პროფესორი

სამხედრო ხელოვნების პრინციპების გამოყენებით

მან მრავალი წრმოლი შთამეტეჭავი გამარტვებით დასა-
რყელია. ამ წრმოლების ანალიზი საშუალების გვაძლევის
ფავასკვნათ, რომ იგი შრწყინვალე სამხედრო ტაქტიკასი
იყო, რომლის სახელთან სამართლიანობათ დაკავშირე-
ბული ქართული სამხედრო ხელოვნების განვითარება
XVIII საუკუნის II ნახევრიში.

გიორგი გოცირიძე

11



სამხედრო ხელოვნების პრინციპების გამოყენებით

ერეკლე II – მხედართმთავარი

2020 წელს 300 წელი სრულდება „ლერნულე-
სის, უძლეველი მეფის“ დაბადებიდან, რომელმაც
ხანგრძლივი სიცოცხლე ლაშქრობებში, ომებსა
და მტრების მოგერიებაში გაატარა და ხშირად
უბრალო ჯარისკაცივით ცხოვრობდა. ხალხმა მას
საალერსო სახელი „პატარა კახი“ უწოდა. ერეკლე
II-ის პირვენება, მისი საქმეები, ფართოდ აისახა
ქართველი ხალხის მეხსიერებაში. მისი სახე-
ლი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუ-
ფლების სიმბოლოდ იქცა.

ერეკლე II-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეო-
ბის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწილი იყო სამხე-
დრო საქმიანობა, რომელსაც წარმართავდა რწ-
მენით, რომ საქართველოს გარშემო არსებული
მტრული გარემოცვის პირობებში სწორედ სამხ-
ედრო ძლიერებას უნდა უზრუნველეყო ქვეყნის
ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა.

ჩვენი ნაშრომის მიზანია წარმოვაჩინოთ ერ-
ეკლე II, როგორც ბრწყინვალე მხედართმთავარი
და სამხედრო საქმის ნიჭიერი ორგანიზატორი,
რისთვისაც გავაანალიზებთ მის მიერ წარმოე-
ბულ რამდენიმე მნიშვნელოვან ბრძოლას და მი-
მოვინილავთ მეფის რეფორმებსა და საქმიანობას,
რომელთა მიზანი სამხედრო საქმის მოწესრიგება
და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება
იყო.

ერეკლემ პირველი საბრძოლო ნათლობა 15
წლის ასაკში ნეიშენის ველზე ლეპების წინააღმდეგ
ბრძოლაში მიიღო, სადაც მნიშვნელოვან გამარ-
ჯვებას მიაღწია. მდივანბეგი ომან ხერხეულიდე
წერს: „წელსა 1735 მოვიდნენ ლეპინი და ქისიყი
მოარბივეს. მაშინ იყო ძე მეფისა თეიმურაზისა
ირაკლი წლისა თხუთმეტისა, რომელმაც შემოიბა-
რა სოფლებიდან ჯარი, ეწია ნეიშინის მინდორში
და ძლიერად შემოებნენ ლეპინი. გარნა თვით ეს
ყმა, ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი, მეორედ
შევიდა შინაგან ჯარსა ლეპისასა და პირველად

ამან მოკლა კაცი; და ამის მხილველთა კახთა
ერთპირად მიმართეს ყივილით და წინაწარიქციეს
ჯარი ლეპისა, აჟყარეს ტყვენი და საქონელი და
მოწყვიტეს უმრავლესნი“. ამ ბრწყინვალე სამხე-
დრო წარმატებით გამოვიდა ახალგაზრდა ერეკლე
სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე.

ერეკლე II ქართული სამხედრო ხელოვნების
ტრადიციებზე იყო გაზრდილი. ამასთან ერთად,
მისი, როგორც ბრწყინვალე სარდლის, ჩამოყ-
ალიბებაში დიდი როლი შეასრულა სამხედრო
ლაშქრობებში შეძენილმა საბრძოლო გამოცდილე-
ბამ, ევროპული და აზიური ქვეყნების სამხედრო
ხელოვნების გაცნობამ. მან ირანელი პოლიტიკო-
სისა და მხედართმთავრის, ნადირ-შაჰის, სკოლა
გაიარა, რამაც დიდი გავლენა იქონია დიდი მხე-
დართმთავრისათვის დამახასიათებელი პროფესი-
ული და პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაზე,
ხელი შეუწყო მისი სტრატეგიული ნიჭის გაშლას
და პოლიტიკური ჰილიზონტის გაფართოებას.
ნადირ-შაჰს კარზე ერეკლე II 1737-1739 წლებში
იმყოფებოდა, თან ახლდა ირანის მპრძანებელს
ინდოეთში ხანგრძლივი და მძიმე ლაშქრობისას,
რომლის დროსაც ის „დარწმუნდა, რომ მხედართ-
მთავარი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიპოვებს
უბრალო ჯარისკაცის ერთგულებასა და სიყ-
ვარულს, თუ მის ლენისა და ჭირს გაინანილებს;
მან დაინახა აგრეთვე, როგორ შეიძლება შედარე-
ბით მცირე ძალებით მრავალრიცხოვანი მტრის
დამარცხება“, – ვკითხულობთ გერონტი ქიქოძის
„ერეკლე მეორეში“.

მეფემ ქართული ფეოდალური სამხედრო ხე-
ლოვნება განვითარების უმაღლეს საფეხურზე
აიყვანა. ის ბრძოლაში შეიარაღებულ ძალებს
„წესისაებრ“, ანუ ტრადიციული ოთხნაწილიანი
საბრძოლო წყობით აყენებდა. ბრძოლას, ძირითა-
დად, არტილერიის გამოყენებით იწყებდა, შემდეგ
მასში თოვებს ჩართავდა და ბოლოს მტერს ხმალ-





დახმალ უტევდა. ფრონტსა და სიღრმეში ჯარებს ისე განალაგებდა, რომ ის მოქნილი ყოფილიყო, რათა ბრძოლის პირობებში რთული მანევრის განხორციელების საშუალება მისცემოდა. ამ მხრივ, დამახასიათებელია ბრძოლა ერევნის მახლობლად 1751 წელს. როდესაც აზატ ხანის რიცხობრივად ჭარბმა ძალებმა უკუაქციეს ქართველების მარცხენა ფრთა და ალყაში მოაქციეს მათი ძირითადი ნაწილი, ერევლემ ექსტრემალურ პირობებში მოახერხა ძალთა გადაჯგუფება და ძლიერი კონტრდარტყმით მტრის დამარცხება.

სამხედრო ხელოვნების პრინციპების გამოყენებით მან მრავალი ბრძოლა შთამბეჭდავი გამარჯვებით დასრულა. ამ ბრძოლების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ იგი ბრძყინვალე სამხედრო ტაქტიკოსი იყო, რომლის სახელთან სამართლიანადაა დაკავშირებული ქართული სამხედრო ხელოვნების განვითარება XVIII საუკუნის II ნახევარში. ერევლე მეფე მუდმივად ცდილობდა ბრძოლებში ინიციატივის ხელში ჩაგდებას, რისთვისაც ხშირად აწყობდა სწრაფ მარშებს და მტერს მოულოდნელ დარტყმებს აყენებდა. მისი მხედართმთავრული ნიჭი და ოსტატობა კარგად გამოიკვეთა ჯარების სახეობათა როლის სწორ შეფასებასა და ბრძოლის დროს მათი ურთიერთმოქმედების ეფექტურ ორგანიზებაში.

მეფე ფრიად განსწავლული იყო საომარ ოპერაციებში არტილერიის გამოყენების საქმეში, კარგად იცოდა მისი მნიშვნელობა ცოცხალი ძალის შენარჩუნებისა და მტრის დანაკარგების გაზრდაში, საკუთარი მეომრების საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებასა და მონინააღმდეგვ ძალის დემორალიზებაში. ამის საილუსტრაციოდ ნარმოვადგენთ ერთ-ერთი ბრძოლის წინ მებრძოლებისათვის მიცემულ მის ინსტრუქციას: „...თუ ისინი გამოვიდნენ და ომი მოუხდესთ, თქვენ მინდორზედ შებმას ეცადენით. კინკლაობასა და იმათსავით თოვების მიშველებასა და ისე შებმას დაეხსენით... ქვეითი კაცი იქერიმ ხანსაც ბევრი ეყოლება, ცხენიანიც რომ დააქვეითოთ და ისე მიხვიდეთ, ზარბაზნებიც წინ მიიმდლვაროთ და ომი ზარბაზნებს დააცადოთ. ...არ აუჩქარდეთ, დააცალოთ, ისინი თქვენზე მოიყვანოთ და თქვენ იმათზე არ მიხვიდეთ, ისე სჯობს, რომ ისინი თქვენზე მოსვლით დალალოთ და ღვთით თქვენ იმ დაღალულს ერთიანათ შეებათ; ისინი აქეთ-იქიდამ ტანებას დაგიწყებენ, თქვენ ზარბაზნის სროლის მეტს ნურას იქმთ, ისინი ამაში დაიღალვიან, მასუკან ერთიანად მიაწევით...“

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი მის დამიკუდებულებას მეომრებთან. მათი საბრძოლო სულის ამაღლების მიზნით მეფე, როგორც წესი, ბრძოლის დაწყების წინ პირადად მიმართავდა ჯარს, მოუძლოდა მათ იქრიშზე და მონაწილეობდა შეტაკებებში.

განვიხილოთ ერევლე II-ის სარდლობით ჩატარებული რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ბრძოლა. ერთ-ერთი მათგანი იყო ამიერკავკასიაში პირველობისათვის მებრძოლ ფანა-ხანთან ყარაბალის ბრძოლაში გამარჯვება 1750 წელს, რაც ერევლე მეფის პირადი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით მეწინავე სადროოშოს ძლიერმა ფრონტალურმა დარტყმამ განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა ლაშქარი ტაქტიკურად წამგებიან სიტუაციაში იმყოფებოდა, მონინააღმდეგის შესახებ სათანადო ინფორმაციით აღჭურვილმა ერევლე II-მ რთულ რელიეფზე შეტევის განხორციელების გადაწყვეტილება მიიღო. შეტევის შედეგად მტრის საბრძოლო წყობა დაირღვა, მეფის მონინავე რაზმში ყოფნით შეშინებული ფანა ხანი გაიქცა, რამაც უზრუნველყო მტრის საბრძოლო წყობაში პანიკის გავრცელება და მებრძოლთა დემორალიზება. ქართველთა ლაშქრის ძირითადი ძალების მიერ შეტევის განვითარებამ და გაქცეულ მონინააღმდეგზე მიყენებულმა დარტყმებმა მისი სრული განადგურება გამოიწვია. ფანა-ხანზე გამარჯვებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა აზერბაიჯანის სახანოებზე, უზრუნველყო განჯის, ყარაბალისა და ნახჭევანის სახანოების ვასალური დამოკიდებულება და ქართლ-კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით საზღვრების გაფართოება.

ერევლეს ბრძყინვალე მხედართმთავრული ნიჭი კარგად გამოწინდა 1751 წლის ივლისში ჩატარებულ ბრძოლაში აზატ-ხან ავლანთან, რომლის სტრატეგიულ მიზანს ირანის მნიშვნელოვანი ტერიტორიების, ნახიფევანის სახანოსა და სომხეთის დაპყრიბა-დარბევის შემდეგ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონება წარმოადგენდა. ყირბულახის ბრძოლას (ერევანთან) სამხედრო ხელოვნების ისტორიაში ძნელად მოექცენება ანალოგი. რიცხობრივად 6-ჯერ მეტმა მტერმა (18 000 მებრძოლი 3 000-ის წინააღმდეგ) ალყაში მოაქცია ქართველთა ლაშქრი. შეიქმნა თითქმის გამოიუბალი სიტუაცია. ერევლეს ბრძანებით ცხენებიდან ჩამოსხდნენ ქართველები და მეფესთან ერთად მონინააღმდეგისკნ გაემართონენ. მტერმა ჩათვალა, რომ ქართველები დანებებას აპირევდნენ და ახლოს მიუშვა. ბრძოლაში გადამწყვეტი აღმოწინდა ერევლე II-ის ბრძანება: „სანამდის მე თოვი არ ვესროლო, ნურვინ მოინდომებთ შეტევასო“. მეფემ თოვის გასროლით მოკლა ერთ-ერთი ავლანი სარდალი, რაც შეტევის დაწყების სიგნალი იყო. ამდენად, ამ სამხედრო ხრიკმა, რომელიც მოულოდნელობის ფაქტორად იქნა გამოყენებული, უზრუნველყო მონინააღმდეგის ცენტრალური დაჯგუფების სარდლისა და ირგვლივ წინა რიგებში მყოფი მებრძოლების უეცარი განადგურება. ამის შემდეგ გაღვევევის მონაკვეთზე ამხედრებულ ქართველთა ლაშქრის სოლისებრი საბრძოლო წყობით მტრის დაჯგუფებაში შეჭრამ მოახდინა





მეუკე ერეკლეს ინიციატივით აგებულ საარტილერიო ქარხანაში (ჯაპახანა) ჩამოსხმული ზარბაზნები.

ძირითადი ძალების გახლეჩა-დანაწევრება. ერეკლე II-ის ტაქტიკურმა ხრიემა მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობაში გამოიწვია პანიკა, მართვის მოშლა და დემორალიზებული ძირითადი ძალების არაორგანიზებულად უკან დახევა. ბრძოლის შემდეგ ეტაზზე განხორციელებულმა დევნამ მოწინააღმდეგეს არ მისცა ძალების კონცენტრაციის საშუალება, რამაც შეაპირობა მისი საბოლოო განადგურება.

დიდი იყო აზატ ხანის დამარცხების პოლიტიკური მნიშვნელობა. ყარაბაღის, განჯის, ერევნისა და ნახიჭევანის სახანოებზე ზეგავლენის შენარჩუნებით ქართლ-კახეთის პოლიტიკური გავლენა საგრძნობლად გაიზარდა სამხრეთ კავკასიაში. ამ წარმატებამ ერეკლე II-ს და საქართველოს სახელი გაუთქვა ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში, რაზეც უცხოური წყაროები მიუთითებენ. ამის შემდეგ მეფის მთავარ საზრუნვას ლეკების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა.

ოსმალეთისა და საქართველოს აღმოსავლეთით მდებარე მაჰმადიანური სახანოების მიერ წაქეზებულმა ხუნძახის მფლობელმა ნურსალ ბეგმა 1754 წლის აგვისტოში მოარბია კახეთისა და არაგვის საერისთავოს სოფლები და აღყაში მოაქცია მჭადიჯვრის ციხე. აღნიშნულ ბრძოლაში მოწინააღმდეგის რაოდენობრივი უპირატესობა გააპათილა ერეკლე II-ის მიერ ბრძოლის სწორად დაგემვამ, არტილერიის ეფექტურად გამოყენებამ, სარდლის საბრძოლო შემართების პირადმა მაგალითმა, სინქრონიზებულმა მოქმედებებმა, მაღლობებიდან შედარებით ვაკე ადგილებისაკენ მიზანსწრაფულმა შეტევამ. ყოველივე ამან უზ-

რუნველყო მრავალრიცხოვან მტერზე ქართველთა გამარჯვება.

ნურსალ ბეგმა რევანში მომდევნო წელს სცადა და ყვარლის ციხე 1755 წლის სექტემბერში მრავალრიცხოვანი ჯარით ალყაში მოაქცია. ყვარლის ბრძოლის გამარჯვებით დამთავრება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: ერეკლემ კარგად იცოდა მოწინააღმდეგის საბრძოლო შესაძლებლობები და ნურსალ-ბეგის მოსალოდნელ თავდასხმას მომზადებული დახვდა: მოსახლეობა დროულად გახიზნა და სამობილიზაციო ღონისძიებები სწრაფად გაატარა. მან ციხის ფარული მომარაგებით, აღყის გამრღვევი ჯგუფის კარგი კოორდინაციით უზრუნველყო ციხისა და მისი გარნიზონის ბრძოლისუნარისნობის შენარჩუნება, ხოლო შემდეგ მეფის მიერ ჭარელთა მხარეში მარბიელი რაზმების გაგზავნამ, ცხენისნებისაგან შემდგარი ჯგუფების შემოვლითი მანევრის ჩატარებამ, ორი მიმართულებიდან ერთდროული შეტევის განხორციელებამ განაპირობა მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგის დამარცხება.

ერეკლე II-მ ასპინძის ბრძოლით კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩანერა XVIII საუკუნის საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ოში მონაწილე ქართლ-კახეთის მეფემ მაღალ პროფესიულ დონეზე დაგეგმა სამხედრო მოქმედებები, სწორად შეარჩია ერთობლივი შეტევის ობიექტად ახალციხე. მისი დაუფლებით ოსმალეთს ხელიდან გამოეცლებოდა სტრატეგიული პლაცდარმი, რომელიც უზრუნველყოფდა კონტროლს დასავლეთ საქართველოზე, ხოლო აღმოსავლეთ საქართვე-





ლოს თავდასხმის მუდმივი შიშის ქვეშ ამყოფებდა.

შესწავლილი წყაროების ანალიზის საფუძველზე ასპინძის კამპანია უნდა განვიხილოთ ერთ მთლიან საბრძოლო ოპერაციად, რომელიც შედგებოდა ანუსურის, საყუეთო-ტყეყმანას და ასპინძის ბრძოლის დასკვნითი ეტაპებისაგან. 1774 წლის 20 აპრილამდე გამართულმა ბრძოლებმა არა მარტო საგრძნობი დანაკლისი მიაყენა მონინააღმდეგეს, არამედ ქართველებს დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობა შესძინა. ასპინძის ბრძოლის სამხედრო ოპერაციაში მთელი სისრულით გამოვლინდა სამხედრო ხელოვნების უმთავრესი პრინციპები: ძალათა არათანაბარი განაანილება, ადგილმდებარეობის ეფექტური გამოყენება, შეტევის მიმართულების შერჩევა, მოულოდნელობის ფაქტორზე დაყრდნობით მცირე ძალებით მრავალრიცხვოვანი მონინააღმდეგის განადგურება. ამრიგად, ასპინძის ველზე ხელსაყრელ პოზიციებზე ქართველთა ჯარის სწორად განლაგებამ, კარგად მოფიქრებული გეგმით ბრძოლის წარმართვამ, სარდლებისა და ცალკეული რაზმების მეთაურთა მამაცურმა და უნარიანმა მოქმედებამ, მეფის გმირობამ ქართველთა გამარჯვება განაპირობა, მაგრამ ერეკლემ რუსეთის საექსპედიციო კორპუსის მეთაურის – ტოტლებენის დალატის გამო ვერ ისარგებლა მიღწეული უპირატესობით და უკან გამოპრუნდა.

ერეკლე II-ის სამხედრო საქმიანობაზე საუბრისას მემატიანები მოგვითხრობენ მისი სარდლობით ჩატარებულ მნიშვნელოვან ბრძოლებზე და დასძენენ: „ხოლო ესევითარნი გამარჯვებანი ირაკლი მეფისაგან უანგარიშონი არიან და ამად ყოველნივე ვერ მოვიხსენეთ, არამედ იგი აღვრიცხეთ, რომელი ლირსად ხსოვნისა იყო და სხვანი მრავალი წვრილი გამარჯვებები დავიდუმეთ“.

როდესაც ვაანალიზებთ ერეკლე მეფის სარდლობით ჩატარებულ იმ მცირერიცხვოან ბრძოლებს, რომელშიც ქართველები დამარცხდნენ, ჩვენ ვერ ვხედავთ მხედართმთავრის ბრალს. მაგ., 1751 წელს შაქის მმართველ აჯი ჩალაბთან განცდილი მარცხის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ორსარდლიანობა იყო. ამ ბრძოლის შემდეგ თემურაზმა საბრძოლო ასპარეზი მთლიანად ერეკლეს დაუთმო. თვით კრწანისის ბრძოლის წინ და ბრძოლის დროსაც ერეკლე მეფეს, როგორც სარდალს, არსებითი შეცდომა არ დაუშვია. დამარცხების მიზეზი აღა მაპმად ხანის არმიის მრავალრიცხვნობასთან და ქართლ-კახეთის სამეფოს შინაგან სისუსტესთან ერთად, დიდნილად პოლიტიკური იყო. მან ვერ გათვალა რუსეთის იმპერიის ვერაგული გეგმები. ის ამოდიოდა იმ პრინციპიდან, რომ სამხრეთ კავკასიაში აღა მაპმად ხანის გაბატონება ეწინააღმდეგებოდა რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს და, ამდენად, რუსეთი წინ უნდა აღსდგომოდა აღა მაპმად ხანის აგრესიას ქართლ-კახეთში.

ერეკლემ, როგორც მთავარსარდალმა, შეს-

ანიშნავად იცოდა სამხედრო ხელოვნების ძირითადი პრინციპები: ძალათა არათანაბარი განაანილება, ადგილმდებარეობის თვისებების გამოყენება, დარტყმების მთავარი და დამხმარე მიმართულებების განსაზღვრა, ბრძოლის უზრუნველყოფის სახეებისა და მანევრის ფართო გამოყენება და, რაც მთავარია, მათში მოულოდნელობის ფაქტორის გათვალისწინება; მეფის მიერ ჩატარებული ბრძოლები ცხადყოფენ, რომ იგი თანაბრად ძლიერი იყო როგორც თავდაცვითი, ისე შეტევითი ბრძოლების წარმოებაში. ხშირად ინტუიციურად მოქმედებდა, ბრძოლის საკუთარ გეგმის ახვევდა თავს მონინააღმდეგებს და მას პასიურ მდგომარეობაში აყენებდა. ტაქტიკური მოქმედებების ასეთი ფორმები ერეკლე II-მ განავითარა და თითქმის სრულყოფილებამდე მიიყვანა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება თამამად განვაცხადოთ, რომ სამხედრო-პოლიტიკური აზროვნებით, ჩატარებული ბრძოლების რაოდენობით, ხარისხით და მასშტაბებით ის შესანიშნავი სარდალი და ბრწყინვალე ტაქტიკოსი იყო.

გადაუჭარებლად შეიძლება ითქვას, რომ ერეკლე II-ის შეიარაღებული ძალები ხარისხით სჯობდნენ თავის მონინააღმდეგებს. აյ მნიშვნელოვანია რუსეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლის, ქართლ-კახეთის სამეფოს დასაპყრობად საქართველოში მოვლენილი გენერალ-მაიორ ივანე ლაზარევის, შეფასება: „ეს ჯარი საუკეთესოდ განვრთნილი და მომზადებულია, რომ შეიარაღების მხრივ დარიბი არ იყოს“.

ერეკლე II-ის მიერ მოპოვებული სამხედრო წარმატებები შედეგი იყო იმ დიდი სახელმწიფო-ადმინისტრაციული და სამხედრო რეფორმებისა, რომელსაც ის მიზანიმიმართულად ატარებდა და რომლის მიზანიც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება იყო. მეფის ხელისუფლების გაძლიერებასა და განმტკიცებას ისახავდა მიზნად ქსნისა და არაგვის საერისთავოების და ზოგიერთი სახანოს გაუქმება და უფრო წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულებად – სამოურავოებად დაყოფის გზით მათი პირდაპირი დაქვემდებარება მეფის ხელისუფლებისათვის, ცვლილებების განახორციელება სადროომების სისტემაში, სარდლებისა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირების უფლება-მოვალეობების ახლებურად განსაზღვრა, რამაც მართვის სისტემა უფრო მოქნილი გახდა, ხელი შეუწყო ლაშქრის დროულად მობილიზაციასა და შეკრებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეფის მიერ განხორციელებულმა ამ ღონისძიებებმა ფეოდალური ჯარის ხასიათი საფუძვლიანად ვერ შეცვალა. რეგულარული ჯარის ფუნქციონირებისათვის დიდი ფინანსური რესურსი იყო საჭირო, რაც, სამწუხაროდ, ქვეყნას არ გააჩნდა. მაგრამ ამ პრობლემის შესაძლებლობის ფარგლებში მოგვარებას ისახავდა მიზნად მუდმივი ჯარის ნაირ-





სახეობის – „მორიგე ლაშქრი“ შექმნა. ერეკლეს ინიციატივით საქართველოს სინამდვილეში განხორციელებული ეს ნოვაცია იყო პირველი ნაბიჯი ფეოდალური ჯარის დრომოქმულობისა და ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად, რაც თითქმის წარმატებით განახორციელა. ამ რეფორმის შედეგად მეფის განკარგულებაში მუდმივად იყო 5 000 მეომარი, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. მეფის განკარგულებით, სადროოშებსა და სამოურავოებში შეიქმნა სამდევროები, რაც გამიზნული იყო მტრის მცირე ჯგუფების მოულოდნელი თავდასხმების აღსაკვეთად. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სადაზვერვო სისტემის ფუნქციონირებაშიც. ერეკლეს დავალებით სამხედრო წესდებების, დარიგებებისა და ინსტრუქციების სახით ითარგმნა სხვადასხვა წიგნი, რასაც მორიგე ჯარის განვრთნასა და ფუნქციონირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა.

ჯარში გასასვევი კონტინგენტის სრული მობილიზაციის მიზნით, ერეკლე II-მ მოსახლეობის აღწერა ჩაატარა. ლაშქარი დაყო ორგანიზაციულ სტრუქტურებად: ასეულად, ხუთასეულად, ათასეულად და სხვ. და მათ დაუნიშნა მეთაურები, რამაც ჯარი უფრო ორგანიზებული, მართვადი და, რაც მთავარია, ეფექტური გახადა. შემოილო რიგი თანამდებობები: მინბაში — ათასისთვი, ფონსადბაში — ხუთასისთავი, უზბაში — ასისთავი, თოფჩიბაში — მეზარბაზნეთა უფროსი და სხვა. დააწესა სამხედრო წოდებები — კაპრალი, სერუანტი, უნტერფოიცერი, ოფიცერი, არტილერიის კაპიტანი, მაიორი, პოლკოვნიკი, გენერალი. შესაბამის თანამდებობებზე დანიშვნა უშუალოდ მეფის მიერ ხორციელდებოდა. მართვის გასაუმჯობესებლად ერეკლემ შექმნა ე.წ. სამხედრო კანცელარია. ქართლ-კახეთის სამეფოს ლაშქარს სპეციალური მომზადების მქონე პირები წვრთნიდნენ რუსული წესის მიხედვით.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასა და სამხედრო ძლიერებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, მეფის მიერ განხორციელებული ეკონომიკური ხასიათის საქმიანობაც ემსახურებოდა. ამ მიმართულებით, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ მის მიერ გადადგმული ნაბიჯები სამთამადნო მრეწველობის განვითარებისათვის, რაც უზრუნველყოფდა შეიარაღებისა და ტყვია-წამლის წარმოებას. საბედნიეროდ, ამისათვის საჭირო ბუნებრივი რესურსი საქართველოში მოიპოვებოდა. ამიტომ ერეკლე II-მ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რაგში აიყვანა სამთამადნო წარმოება, რომლის განვითარებისათვის ენერგიული ნაბიჯები გადადგა. კერძოდ, მაღალი ანაზღაურების გადახდის პირობით ოსმალეთიდან ჩამოიყვანა ბერძნი ისტატები, რომელებმაც 1774 წელს ახტალასა და ალავერდში ვერცხლისა და სპილენძის მოპოვები-

სა და გამოდნობის საქმე განავითარეს. ყოველივე ამან კი საჭირო წედლეულით უზრუნველყო ერეკლესავე ინიციატივით 1749 წლიდან თბილისში მოქმედი საარტილერიო ქარხანა (ჯაბახანა) და განაპირობა სამხედრო წარმოების განვითარება, რაც აისახა ქართლ-კახეთის სამეფოში ზარბაზნების, ციხის თოფების, ზამბულაკების (სპარსული დიდი თოფი), ხელუმბარების, თოფ-იარაღის და სხვა სამხედრო დანიშნულების იარაღის წარმოებაში.

უნდა გამოყენოთ ერეკლეს ძალისხმევა არტილერიის საქმის ქართველებისათვის შესწავლის საქმეში, რაც სუბიექტური და ობიექტური ხასიათის სირთულეებთან იყო დაკავშირებული და ყოველთვის მარტივი არ იყო. მაგ., ერეკლეს თხოვნის მიუხედავად, საქართველოში არ დარჩა სამთამადნო საქმის მცოდნე გერმანელი მოგზაური გილდენშტეტი, ხოლო კავკასიაში რუსეთის საექსპედიციო კორპუსის მეთაურმა, გრაფმა ტოტლებენმა აუკრძალა მის დაქვემდებარებაში მყოფ პოდპოლკოვნიკ ს. ჩოლობაშვილს და თავად ა. თარხან-მოურავს ქართველებისთვის საარტილერიო საქმე ესწავლებინათ. მხოლოდ ამ ორი პირვენების პირად სიმამაცეს და პატრიოტულ მოტივებს უნდა მივაწეროთ მათ მიერ ბრძანების შეუსრულებლობა და თბილისში საქმიანობის გაგრძელება, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყონელი ხელი საქართველოში არტილერიის განვითარებას. არტილერიისტთა კადრების მოსამზადებლად მეფე ზოგჯერ უცხოელ სპეციალისტებსაც იწვევდა. მაგ., მის შევილიშვილს, დავით ბატონიშვილს, საარტილერიო სამხედრო განათლება ავსტრიელი იოსებ იაკობის ძე გეტინგისაგან მიუღია.

ერეკლე დიდ ყურადღებას აქცევდა და პირადად აკონტროლებდა ქართლ-კახეთის სამეფოში ტყვია-წამლის დამზადებასა და ვაჭრობას, საფორტიფიკაციო ნაგებობების, ძველი და ახალი ციხე-სიმაგრეებისა და ციხე-გალავნების მშენებლობა-შეკეთებას, სამხედრო თვალსაზრისით მათვის ადგილების შერჩევას, რომლის დროსაც გათვალისწინებული იყო სასიგნალო სისტემის მნიშვნელობა და მისი სრულყოფის საჭიროება.

ამრიგად, ერეკლე II საქმიანობის ანალიზი ცალსახად ადასტურებს, რომ ის იყო ბრწყინვალე მხედართმთავარი და სამხედრო საქმის ორგანიზატორი. მან სამართლიანად დაიმკვიდრა ადგილი დიდი მხედართმთავრების პლეადაში. ამბობენ - ლუდვიგ ვან ბეთჰოვენმა მას თავისი ლეგენდარული ქმნილება, მესამე სიმფონია მიუძღვნაო. მე არ ვიცი, რამდენად მართალია ეს ამბავი. ჩემთვის მეფის ტანზე აღმოჩენილი, ბრძოლებში მიღებული ის 94 ჭრილობაა მისი გმირული სულის სიმფონია, რომელიც მან შექმნა და შთამომავლობას დაგვიტოვა თავისი სახელის სადიდებლად.





ნანა რჩეულიგვილი

საქართველოს მთავრობის მეცნიერებების მინისტრის მიერადმისამართის მინისტრი

თუ სარწმუნოდ მიფიჩნევთ აზრს, რომ რომანტიკული აზროვნება, ჩვენში, ჰქონ კიდევ ზაფლიშვილ ქალთა პოეზიაში ჩაისახა, მაშინ ვიტყვით, რომ ამ მხოლოდი მნიშვნელობის ლიტერატურული მიმღირალობის წარმოშობა ქართულ მწერლობაში, უშავლოდ, მეფე ერეკლეს სახელთანაა დაკავშირებული. ამგვარი დასკვნა არმაგად მნიშვნელოვანია, როგორც ქართული მწერლობისათვის, ისე მეფის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის, სულიერი შიოგრაფიისათვის.

ნანა რჩეულიშვილი

სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავრობის მეცნიერებების მინისტრის მიერადმისამართის მინისტრი

„საქართველოს ცხელი გული...“

„მე ვიმარჯვებ ევროპაში, ხოლო აზიაში იმარჯვებს უძლეველი მეფე ქართველთა – ერეკლე“. ფრიდრიხ დიდი, პრუსიის მეფე

„ბერძნები ამაყობენ ალექსანდრე მაკედონელით, რომაელი იულიოს ცეზარით, რუსი – პეტრე დიდით, ჩვენც კადნიერად შეგვიძლიან ვიამპარტავნოთ ჩვენი სასიქადულო მეფით, რომელიც ჭეშმარიტად შემკობილია ზემოხსენებულთა გმირთა ღირსებით“. დეკანზი გაიოზი, სემინარიის რექტორი

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორია ფაქტიზად ინახავს არაერთი ქართველი მეფის შარავანდელით მოსილ მხატვრულ სახეს. მათგან, განსაკუთრებული სიყვარულითა და რუდუნებითაა განსახოვნებული მეფე ერეკლე მეორის, „პატარა კახის“, შთამბეჭდავი სახე – სახე დიდ მამულიშვილისა და ღრმად მოაზროვნე ერის მამისა.

„მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე, თვისს დიდებისთვის სისხლთა აღმზექვე, არამედ, ვითა მამა კეთილი, რომელსაც სურს, რომ თავისი შვილი თვის სიცოცხლეშივ დაასახლეკაროს...“ ეს სიტყვები – ერის ბედზე ზრუნვისა და ღრმა ფიქრის შედეგი, ქართული რომანტიზმის ბრძყინვალე წარმომადგენელმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ამოათემევინა თავისი სახელოვან დიდ პაპას... და დარჩა ის ქართულ მხატვრულ სიტყვიერებას, როგორც ეტალონი ქართველი მეფის მრვალეობის უმაღლესი გამოვლინებისა. ალბათ, ამიტომაც, როდესაც ვსაუბრობთ ერეკლე მეფის სახეზე ქართულ მწერლობაში, უპირველესად გვაგონდება პოემა „ბედი ქართლისა“, აღსავსე ღრმად ეროვნული მრნამსითა და ტკივილებით.

ვიდრე მეფის ლიტერატურულ სახებს განვიხილავდეთ, თუ გადავხედავთ ქართული მწერლობის ისტორიის მთლიან პროცესს, შევნიშნავთ, რომ მეფე ერეკლე მეორეს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ამ პროცესის განახლებაში. მისი მონუმენტური სახე

ცოცხალი ნიშანსვეტივით დგას მე-18 საუკუნის დასარულის, არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი მმართველობის სფეროში, არამედ, ქართული მწერლობის აღმნიშვის გზაჯვარედინზეც. კერძოდ, ვგულისხმობთ, იმ ძლიერი ლიტერატურული მიმდინარეობის უშავლო კავშირს მეფის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის სახელთან, რომელსაც რომანტიზმი ჰქვია და რომელმაც გზა გაუხსნა ქართულ მწერლობას ევროპული კულტურისაკენ. ქართულ პოეზიაში რომანტიკულმა მოტივებმა პირველად ბატონიშვილთა ლირიკულ ლექსებში იჩინა თავი. ერეკლეს ასულებმა – მარიამ, ქეთევან და თეელე ბაგრატიონებმა, ანმყო-ნალველით დამძიმებულებმა, პირველებმა დაიტირეს მშობელი ქვეყნის გმირული წარსული, რომელიც არსებითად უკავშირდებოდა სახელოვანი მამის დიდებულ სახეს. „ნარხდეს წალეოტნი მაღალნი, ჰო,

საცთურითა ძნელითა,

ვა, დიდებული პალატნი იქმნა მტერთ

საცინელითა ...

დაბრუნდა ეტლი უკუღმა, წარხდა

დღე კეთილმზიანი,

დაემხო ტახტი მაღალი, რა ბედნიერი,

სუიანი....“

(მარიამ ბაგრატიონი – ბატონიშვილი)

„ჩრდილოთ ვიხილე მცირე ღრუბელი,

ბედნიერ პალატთ დამამხობელი...“

(ქეთევან ბაგრატიონი – ბატონიშვილი)

„იგლოვ მაღალ ტახტს, ვაი, წახდომილს,
დიდებულ პალატს, მსწრაფლად დამხობილს...“
(თექლე ბაგრატიონი – ბატონიშვილი)

თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ აზრს, რომ რომანტიკული აზროვნება, ჩვენში, ჯერ კიდევ ბატონიშვილ ქალთა პოეზიაში ჩაისახა, მაშინ ვიტყვით, რომ ამ მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული მიმდინარეობის წარმოშობა ქართულ მწერლობაში, უშუალოდ, მეფი ერეკლეს სახელთანაა დაკავშირებული. ამგვარი დასკვნა ორმაგად მნიშვნელოვანია, როგორც ქართული მწერლობისათვის, ისე მეფის, როგორც სახელმწიფო მოღვანის, სულიერი ბიოგრაფიისათვის. ქართული მწერლობა გარკვეული ილად ვალშია დიდი მეფის პიროვნული სახის მიმართ. ჩვენ შევეცდებით, ერეკლე მეორის მხატვრულად განსახოვნებული სახეების მიმოხილვას ქართულ მწერლობაში, რომლებიც, ფაქტურად, მეფის გარდაცვალების შემდეგაა შექმნილი. გოდერძი ფირალიშვილით დავიწყებთ, რომელიც სადღეისოდ, მიჩნეულია ავტორად ცნობილი ლექსისა – „თუშთა, ფშავთა და ხექსურთაგან გლოვა ირაკლი მეორისა.“

გოდერძი ფირალიშვილს, თავის დროზე, მდივნად უმსახურია ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის კარზე. მნიგნობარი, განათლებული პიროვნება, ახლო ურთიერთობაში ყოფილა მირიან ბატონიშვილსა და მის წრესთან. მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის მეორე ნახევარი პეტერბურგში გაატარა, იქვე გარდაიცვალა და დაიკარალა, არასოდეს უღალატია ერეკლელი თავისუფლების იდეებისათვის, რაც ასე მკვეთრადაა გამოხატული ზემოთ ნახსენებ ლექსში. თუმცა მას „დატირება“ ჰქვია, მაგრამ მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ლექსი მოწოდებაა სამომავლო პრძოლისაკენ.

„აღსდეგ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს, მტერთა
ისმიან ხმანია,
გრძლად ძილის ჩვეულ როდის ხარ,
მიგვიხმე უნჯინი ყმანია...
გაშალე დროშა მძლეველი, წვერმახვი,
მტერთა ზარია...
განვჰთანტოთ მტერნი ჩვეულად, გასვათ
სასმელი მწარია.“

ფირალიშვილის ვრცელ ლექსში მეფი ერეკლე უშიშარ მებრძოლადაა დახატული, გმირთა გმირი, მტერთა მეხის მტეხავი და მოყმეთა მცველი, პრძოლით მაშვრალი. ახლა, თუმცა ძილშია, ინათებს თუ არა, ჩვეულებისამებრ აღაზმული, თავის ლაშქარს პრძოლისაკენ მოუწოდებს კვლავ... მაგრამ, სამწუხაროდ —

„იგი არა გვყავს საჭვრეტლად, სხვა ვიდა
ვსძებნეთ ვარგია?
ჰო, წარხდი, ჩვენო ნუგეშო, დიდებავ,
დაგვეკარგეა!“

ერეკლე მეფის დატირების მხატვრული ლირსებით გამორჩეული ნიმუში შემოგვინახა პლატონ იოსელიანის მონოგრაფიამ – „ცხოვრება მეფისა გიორგი მეათვამეტისა“, რომელიც დაწერილია მე-19 საუკუნის 60-იან წლებში. გვულისხმით, სიპრინთი განთქმული მსაჯულისა და სამეფო კარის მდივნის, სოლომონ ლი-

ონიძის სამგლოვიარო ტექსტს – „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის, ლერეულეს დირსისა“. „ტირილში“ ზეაღმატებული დიდებითა და უკვდავების შარავანდედითაა შემოსილი მიცვალებული მეფის სახე, უჩვეულო მეტაფორებითაა შემკული მისი დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე... ამ გლოვაში ჩართულია მთელი კოსმიური სამყარო, წინაპართა აჩრდილები, მსოფლიო ქრისტიანული მრნამსი და ეს ერთობა იძლევა საოცარი მწუხარების სურათს ქართველი ერისათვის „დღისით მზისა და ლამით მთოვარის“ სამუდამ დაბნელებისა, სამუდამ ჩაქრობისა. შთამბეჭდავია უფლისადმი მიმართვა:

„მაღალო და ძლიერო ღმერთო! დავაკლდით ერნი ქრისტიანენი მეტვიდრესა პატრონსა და საზოგადოსა მამასა; ძლიერსა და მხნესა მამაკაცსა ჩვენ ვსტირით. და მეფი ერეკლე – თავი, განმგბელი ერისა, ხელი, მზრდელი ობოლთა, მკლავი, მომგერებელი მტერთა და გვამი, შრომისა მოყვარე მისი, – საფლავში ირლვევა. შენ გვევდრებით, იქსოს სისალით ცხებულს მეფის ერეკლეს კაცითოვყარე სულს ნუ შეაწუხებ და იმისგან დაობლებულსა საქართველოს მოხედე.“

„მოთქმით ტირილს“ სამართლიანად მივიჩნევთ ერეკლე მეორის პიროვნების მხატვრულად განსახოვნებული ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლად. მის ტექსტს, გამორჩეულს, არა მხოლოდ თავისი ფორმითა და შინაარსით, აგების პრინციპითაც – ცალკე თემატურ აბზაცებად დანაწევრებულს, რეფრენად გასდევს მთელი კასკადი რიტორიკული შეკითხვებისა და მოწყობისა: „რად სტირი სადაცითოვ სახლო?“ „იგლოვდი, ქვეყანავ!“ „სტიროდე ცაო!“ „დაბნელდი მზეო!“ და სხვ. ამ გლოვაში, სოლომონ ლიონიძეს, დიდი ლირსებით აქვს შეთავსებული პირადი და საზოგადო სიყვარული ქვეყნის პატრიოტი მეფისა და ყმათა პატრონის მიმართ. ამ განწყობით ლალადებს ბრძენი მსაჯულის ყოველი ამოკვნესა მამად მიჩნეული ძვირფასი გვამის წინაშე: „ჩემს ულირსად, შენგან მოწყალებით გაზრდილი, შენის კარგის ბატონების ტრფიალი სოლომონ, აქამდის რად მაცოცხლე, თუ ასე ოხრად დამაგდებდი?“

ზემოთ ვახსენეთ ქართული რომანტიზმი, მნიშვნელოვანი ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისში აღორძინდა ჩვენში. ქართველი რომანტიკოსები დიდი სულიერი ტკივილებით განიცდიდდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგებს, მისტიროდნენ წარსულს, ეჭვით გაპყურებდნენ მომავალს. მათ პოეტურ შემოქმედებაში გამოხატული თავისუფლების პოლოვია პირდაპირ დაუკავშირდა მეფე ერეკლეს სახელსა და მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს. ვახტანგ ორბელიანმა, ერეკლეს ნაბოლარა ქალიშვილის, თევლეს უმცროსმა ვაჟმა, მხატვრულ სიტყვაში გააცხადა თავისი სახელოვანი პაპის დიდებული სახე. რომანტიკოსი პოეტი სამეფო სახლის შთამომავლის სიახმაყით აღწერს მეფის თავდაუზოგავ სიყვარულს და გმირულ შემართებას. მისი ლექსები: „ირაკლი და იმისა დრო“ და „ირაკლი და კოხტა ბელადი“, სამართლიანადაა შესული ქართული პოეზი-





ის საგანძურში. გმირი პაპის აჩრდილი, შვილიშვილის თვალით განცდილი, მთლიანად ავსებს ქვეყნის უბედო ანტყოთი დატანჯული პოეტის სულს.

„კახეთი ბრწყინავს მზის სხივით,
აღაზნის ზვირთი გრიალებს,
ირაკლის სული ზეციდგან მათ უმზერს,
მათზე ტრიალებს!“

ერეკლე მეფის, როგორც დიდი პაპის სიყვარულით განათებულ სტოკისას, ჯეროვანი პატივი მიაგო გრიგოლ ობელიანმა, მე-19 საუკუნის საქართველოს სახელმწიფო მართველობის სათავეში მდგომა ქართველმა პოეტმა- გენერალმა. თავის პატრიოტულ პოემაში „სადლეგრძელო, ანუ ომის შემდგომ დამელხინი, ერევნის სიახლოეს“, პოეტმა საგულისხმო ეპითეტებით შეამკო „ივერის ნუგეშ-დიდება“, „თვის დროის გამშვენებელი“ პატარა კახი. მეფის მიერ გადახდილი სისხლისმლერელი ომების ფასი ყველაზე კარგად ესმოდა რუსულ არმიაში ქართული გულით მებრძოლ გენერალს, ლევათა აულების რისხვას. ირაკლის სახელის სხენებისას, პოეტს სინანულის გრძნობა უფლება და მწარედ შენიშნავს:

„მამული ველარ იხილავს ირაკლის ხმალსა
მღელვარეს,

დიდება ივერიისა მასთან მარჩია სამარეს!“

ცალკე აღნიშვნის ღირსია სოლომონ დოდაშვილის მხატვრულ-ისტორიული ნარკვევი – „ქართული ისტორია. მეფობა ირაკლი მეორისა“. მეფის ვაჟეკაცურ შემართებას ავტორი ოსტატურად გადმოსცემს შთამაგნებელი სიტყვებით. მეფე ერეკლეს ხმალთან ერთად ენაც რომ უჭრიდა, ეს ცნობილი ფაქტია. ნარკვევში განსაკუთრებული ხაზგასმითაა ნარმოჩენილი მეფის სიტყვა ერთ-ერთი ბრძოლის წინ, როდესაც საგრძნობლად დიდი იყო რაოდენობრივი სხვაობა მუსულმანთა ჯარსა და ქართველთა მხედრობას შორის. „ჩემთვის და მან და შვილი, ნუ შეჰქრთებით, ნუ შეშინდებით რიცხვისაგან მტერთასა. რაოდენ უმეტეს არს რიცხვი მათი, ესეოდენ უმეტეს იქმნების ძლეული... მე მივალ დასაფარველად მამულისა ჩემისა და საყვარელთა ქვეშევრდომთა ჩემთა... გამხნევდით... მიიღეთ მაგალითი ჩემგან... ღმრთი შეგვერევა!“

რომანტიკოს პოეტთაგან, ერეკლე მეფის მხატვრულ სახესთან, ყველაზე ახლოს, ბარათაშვილი მივიდა. ქართლის ბედზე მუდამ მჭმელვარე პოეტს ანუხებდა დიდი პაპის გადაწყვეტილების ირგვლივ მოარული არაჯანსალი ხმები. რამ უბიძა მეფეს ჩრდილოეთისაკუკე მიეპყრო იმედიანი მზერა? რას ელოდა ერის მამად მიჩნეული „პატარა კახა“ ერთმორწმუნე რუსეთისაგან? ამ მტკივნეულ კითხვებზე გასცა პასუხი 21 წლის გენიოსმა ტატო ბარათაშვილმა თავის უკვდავ პოემაში „ბედი ქართლისა“. აქ, მეფისა და მისი მსაჯულის დაალოგში გამოიკვეთა არჩევანი, არა მეფის პირადი განდიდებისათვის, არამედ ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენისათვის. ეს ისტორიული აუცილებლობით გამოწვეული ნაბიჯი მეფისაგან მოიხსენია დიდ განსჯას, თუმცა: „დიდი ხანია გულს ირაკლისას გარდუნევეტია ბედი ქართლისა“.

სამოციანელებმა გარკვეული ხარკი გაიღეს

სახელოვანი წინაპრის სახელისა და საქმის უკვდავსაყოფად. აკაკი წერეთელმა დაწერა ისტორიული პოემა „პატარა კახი“. „ნანარმოების ცენტრში დგას – პატარა კახი, ახალგაზრდა ერეკლე. პოეტი აქ უმღერის საქართველოს ამ ახალგაზრდა არწივის პირველ გაფრენას“ (პავლე ინგოროვა). ილია ჭავჭავაძემ საგულისხმო წერილები მიუძღვნა მეფის დვანლსა და მის ისტორიულ მნიშვნელობას ერეკლეს გარდაცვალებიდან ას წლის თავზე. როგორც აღნიშნა ილიამ – „...სახელოვანი ერეკლე მისთანა კაცი ყოფილა, რომელსაც შთამომავლობისაგან სამართლიანად ეთქმის: მოკვდა და თავისის ანდერძით ან ისევ საქმის მკვდარიო“. ქართული პედაგოგიების დიდმა წარმომადგენელმა, იაკობ გოგებაშვილმა, თავის „დედაენის“ საკითხავებში, შეიტანა ხალხური ლექსიში ერეკლე მეფის სავაჟყაცო ამბების შესახებ, ხოლო, „ბუნების კარში“ – ისტორიული მონათხრობი მეფის მოლვანეობის ირგვლივ. იაკობს კარგად მოეხსენებოდა ის დიდი გავლენა ქართველ ყმანვილებზე, რომელსაც აუცილებლად მოახდენდა მეფე ერეკლეს საგმირო-სავაჟყაცო საქმეები.

მე-20 საუკუნის ქართულ პოეზიაში მოჩანს გმირი მეფის მხატვრულად შემცული არაერთი სახე. მკითხველს შევასენებ ნიჭიერი ქართველი მწერლის, გიორგი შატბერაშვილის ლექსს – „ერეკლე მეფის ანდერძი“, რომელიც 1944 წელს დაინერა და რომელსაც უდიდესი გავლენა ჰქონდა და სამამულო ლექსში შეროკული პათოსითა გაცხადებული კახთ-ბატონის მიმართვა ქართველი ხალხისადმი, მშობელი მიწის დასაცავად მტრის ხელყოფისაგან:

„სად მცალა მე სალექსოდ, საიგავოდ,
საარაკოდ,

ჩემი სისხლის წვეთებია საივროს თუ
საარაგვოს.

მოდით, ნახეთ, თქვენ გეძახით ქსნის პირას

თუ თრიალეთზე,

მოძებნეთ, რომ ჩემი სისხლი თქვენს ძარღვებში
თქრიალებდეს...

დახედეთ და თქვენი მტრების სიძულვილით
დაითვერით,

შეიყვარეთ, ჩემ ხმალს ჰქითხეთ, როგორ
მძულდა ჩემი მტერი“.

მიმოხილვას დავასრულებთ იმ სიტყვებით, რითაც დავიწყეთ... ანუ, რითაც დავასათაურეთ ეს მოკლე მიმოხილვა. ესაა, ქართული პოეზიის „მარგალიტი“, მარად ჭაბუკი პოეტის, ლადო ასათიანის ლექსი „სალალობო“. ის, როგორც მარადიული ძახილი თავისუფლებისათვის საბრძოლო მზადყოფნისა, ქართველისათვის ყველა დროში ასე საჭირო (ცინ იცის, კიდევ რამდენ ხანს!), მეტაფორაში წარმოთქვამს მეფის სახელს, როგორც საკრალურს, როგორც ხელმეუბებელს, მაგრამ, ამავდროულად, იმედისმომცემსა და „ჩემი ნატერით“ სანატრელს:

„ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის
დიდ ტაძარში,

საქართველოს ცხელი გული ასვენია“.



ତିରାତିର ତୁମାକରାମିଶ୍ଵାଲ୍ଲିଙ୍ଗ

ფილოლოგიის დოქტორი

მართლაც, ხალხურ ზეპირსიტყვიერებას არ გამოიყენია სიტყვაძენის ფილტრული მეფის წინაშე. ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო ჰოზიტაციის მისდრის იმ ფრთს, როებ მეფონდა ერკალე მეორე, როებ ქართლ-კახეთი და სრულიად საქართველო – საამაყო მეფის ზრუნვის ორიექტი იყო. მეფისადმი მიძღვნილ ლექსებში იგრძნობა ის აიდი ნორბა და სიყვარული, რომელსაც ქართველი ხალხი განიწიოდა ხალხისათვის მზრუნველი მეფის მიმართ.

ଟିନ୍‌ଟାକିନ ଅୟକରଣାମିଶ୍ରବିଲ୍ଲୀ



ერევლე II-ის სახ

ପାଇଁ କାମ କରିବାକୁ ପାଇଁ କାମ କରିବାକୁ

ადამიანი თავისი განუწყვეტელი მოქმედებ-ით ქმნის ნივთიერ და სულიერ კულტურას. ხალხური სიტყვიერებაც სულიერი კულტურის ნაწილია.

გავრცელების ზეპირი ფორმა – ეს არის ყველაზე თვალსაჩინო ნიშანი ფოლკლორული შემოქმედებისა. ამიტომაც მას ხშირად უწოდებენ „ზეპირსიტყვიერებას“. ხალხური შემოქმედება იქმნება ზეპირად და ვრცელდება ზეპირად, ზეპირი სახით გადაეცემა თაობიდან თაობას და განაგრძოს არსებობას წიგნური ცივილიზაციის ხანაშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხალხური სიტყვიერება მჭიდროდ არის დაკავშირებული სინამდვილეებთან.

ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შესწავლა, გარდა ესთეტიკური სიამოგნებისა, გვასწავლის უძველესი დროის ადამიანების ყოფა-ცხოვრებას, ტრადიციებს... გვიცოცხლებს ამა თუ იმ ისტორიული თუ მითოლოგიური გმირის სახელ-სა და მათ გმირულ ჯხოვრებას.

ამჟამად, ჩვენი კვლევის საგანი გახლავთ
- ერეკლე მეორის სახე ქართულ ზეპირსი-
ტყვიერებაში. როგორც ისტორიკოსები და
სახალხო მთქმელები გადმოგცემენ, ერეკლე-
სათვის ხალხს სიყვარულით - „პატარა კახი“
- შეურჩმევია. ეს სახელი დღემდე შერჩა მას.
ერეკლე მეორე ჭეშმარიტი სახალხო გმირი იყო,
რომელმაც მშობელი ხალხის უსაზღვრო სიყ-
ვარული და პატივისცემა თავისივე სასიქადუ-
ლო საქმებით დაიმსახურა.

ქართულ ხალხურ პოეზიაში ერევლე მეფის გმირული ცხოვრების შესახებ არაერთი ლექ-სი მოგვეპოვება, რომლებიც სავსეა მეფისადმი ქართველი ხალხის უსაზღვრო პატივისცემითა და სიყვარულით. მოგეხსენებათ, რომ სიტყვის

ზეპირი გავრცელება გარდაუვალად იწვევს ტექსტის ცვლილებას. დროსა და სივრცეში იგი იცვლება, იჩენს ვარიანტებს. ეს ხალხური ლექსის ბედისწერაა.

გთავაზობთ, ერთი ცნობილი ხალხური ლექსის სხვადასხვა ვარიანტს:

„ჩვენი ერეკლე ხელმწიფე
ერთი პატარა კახია,
ჩაიცო ჯაჭვის პერანგი,
გაიკრა ხელი, გახია“.

၁၆၃

„ეს ჩვენი მეფე ერეკლე
ერთი პატარა კახია,
რკინის პერანგი ჩააცვეს,
ხელი გაჰკრა და გახია“.

ვა კილები:

„ჩევენი ბატონი ერეკლე
ერთი პატარა კახია;
ჭარის ბოლოში ლეკების
ჯარი შეუზიგ გახია“.

„ერეკლე ჩვენი ბატონი
ერთი პატარა კახია,
ფრანგულზე ხელი გაიკრა,
ჯარი შვიდპირად გახია“.

სახალხო მთქმელები თაობებს გადასცე-
მდნენ პატარა კახისადმი სიყვარულს და რო-
გორც აღვნიშნეთ, დროთა სვლასთან ერთად,
პირველებისადმი ლექსმა სახეცვლილება განი-
ცადა და განსხვავებული ვარიანტებით მოციდა





ჩვენამდე. ფაქტი ერთია – სახალხო მთქმელება, დიდებული მეომრისა და ვაჟაცის – მეფე ერეკლეს პიროვნება გულწრფელად ასახეს.

ერეკლე მეორეს სახელი დიდი პატივით შემოინახა ისტორიამ, ზეპირსიტყვიერებამ, ლიტერატურამ. სწორედ ამიტომ, ქართველი მწერლების მსგავსად, მეფე ერეკლე სახალხო მთქმელების იდეალური გმირია. როგორც პროფესორი თინათინ შიომვილი აღნიშნავს, „მდიდარმა ქართულმა ხალხურმა საისტორიო სიტყვიერებამ ჩვენი ქვეყნისათვის თავდადებული გმირებისა თუ ისტორიული მოვლენების შესახებ შექმნილი ნაწარმოებებით მნიშვნელოვნად შეავსო „ქართლის ცხოვრების“ ცარიელი ფურცლები. ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია ერეკლე მეორის სახელთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერება, რომლითაც ჩვენმა ხალხმა ზეპირშემოქმედებითი ძეგლი დაუდგა ლირსეული მამულიშვილისა და მისი თანამებრძოლების ნათელ ხსოვნას“.

მართლაც, ხალხურ ზეპირსიტყვიერებას არ გამოუჩენია სიტყვაძუნობა დიდებული მეფის წინაშე. ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო პოეზია მისტირის იმ დროს, როცა მეფობდა ერეკლე მეორე, როცა ქართლ-კახეთი და სრულიად საქართველო – საამაყო მეფის ზრუნვის ობიექტი იყო. მეფისადმი მიძღვნილ ლექსებში იგრძნობა ის დიდი ნდობა და სიყვარული, რომელსაც ქართველი ხალხი განიცდიდა ხალხისათვის მზრუნველი მეფის მიმართ.

ერთ ხალხურ ლექსში ამგვარად არის გადმოცემული მეფე ერეკლეს ეპოქა:

„მეფის ერეკლის დროშიგა
შორს მოვაძოვნი ძროხანი,
დავწევ და ისე მეძინის,
ზედ წავიხურე ჩოხანი,
ახლა ასეთ დროს ჩავვარდი,
მენატრებიან დოსანი“.

მკვლევარი ფატი აპაშიძე წერს: „ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში გულწრფელობითა და უშუალობით არის გამოხატული ქართველთა მდიდარი ბუნება, მისი სულიერი მხნეობა, დიდი ნებისყოფა და გამარჯვების ურყევი რწმენა, რომლის უშუალო შემოქმედი და განმამტკიცებელიც იყო ერეკლე მეორე — ხალხის უსაყვარლესი პატარა კახი, რომლის შთამაგონებელი ვერბალური პორტრეტის სრულქმნასა და ჩამოყალიბებაში თვით ეს უმრეტი ხალხური წყარო იყო მთავარი დამპურებელი, ხოლო თავის მხრივ საამაყო მეფე ერეკლე თავისი პიროვნული თვისებებით, ავსებდა და აფართოებდა ამ წყაროს“.

უცხო არ არის, რომ საგმირო-საისტორიო

ზეპირსიტყვიერებას აღმზრდელობითი მისია აკისრია და ამ თვალსაზრისითაც განუზომელია მეფე ერეკლეს ციკლის საისტორიო-საგმირო ზეპირსიტყვიერების როლი.

ქართველ ხალხს, მეფე ერეკლე ესახებოდა როგორც ნამდვილი გმირი, დიდებული მეომარი, ქვეყნის დიდი პატრიოტი, ხალხის პატრონი, თავგანნირული მებრძოლი და „სავაჟუაცო კოდექსის მატარებელი“.

ერთ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ:

„მეფე ერეკლემ დასტყივლა
იმ თავის გორდა ხმალსაო:
— შენ რალას იტყვი, ფრანგულო,
რატომ არ იღებ ხმასაო?!
უშიშრად შემომიტიე,
მკლავში მიმატე ძალსაო,
გაკვეთა ჩემზე მოაგდე,
სად გავუგორამ თავსაო“.

ხალხურმა შემოქმედებამ ემოციურად ასახა ის დიდი გულისტკივილი, რაც ქართველმა ხალხმა ერეკლე მეფის დაკარგვის გამო განიცადა. სწორედ ამიტომ, სახალხო მთქმელებს, „ძელი ამბების“ გახსენება ტკივილს აყენებთ. ამის გამომხატველია შემდეგი ხალხური ლექსი:

„კარგით, დამეხსეთ, ბალებო,
ნულარ მაგონებთ ძველ ამბებს,
ვაჟმე, ჩვენ ძველსა დევ-გმირებს
და დიდ ბატონსა ერეკლეს!
რატომ არ მოვკვდი მეც მაშინ,
როცა ერეკლე გაგვშორდა,
მთიულნი, თუშ, ფშავ, ხევსურნი,
როცა მას ცრემლით ამკობდა“.

ქართველი ერისთვის მძიმე იყო თავდადებული, ერთგული — მეფე ერეკლეს დალუპვის გათავისება. ისინი მეფეს აიგივებდნენ „რკინის კართან“ ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ:

„ვერ გაიგეთა, ქართველნო,
შეგხსნათ რკინის კარია!
მეფე აღარ გყავთ ერეკლე,
ბაგრატიონთა გვარია“.

მოგეხსენებათ, რომ 19 საუკუნეში დამკვიდრდა ფოლებორისტიკა, როგორც მეცნიერება და ქართველმა მწერლებმა, მკვლევარებმა დაინტერეს ხალხური შემოქმედების შემკრებლობითი სამუშაოები. მათ უნდა ვუმაღლოდეთ, რომ შემოგვინახეს ხალხური ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ვარინტი და იმპროვიზირებული ტექსტები. ზემომოყვანილ



ლექსის აქვს სხვა ვარიანტიც, რომელიც ილია ჭავჭაძემ ჩაიწერა 1871 წელს:

„ვერ გაიგეთა, ქართველნო,
ჩაგეხსნათ რკინის კარია,
დაჩუმდა ბაირახბი,
ალარ ჭექს ზარბაზანია,
ალარ გყავთ მეფე ერეკლე,
არც მაგის საომარია!
ღმერთს შასტირიან თავადნი,
რა შაგვიკეთე ბრალია,
დედუფალ იმას სტიროდა,
იმერეთ მეფის ქალია“.

როგორც მეცნიერებული აღმურ ჯაგოდნიშვილი აღნიშნავს, „ამ ამბავზე შექმნილ ზეპირსი-ტყვეირ ტექსტებში ერეკლეს სიკვდილის ფაქტი „რკინის კარია“ შეხსნასთან არის გატოლებული და ეს გამოთქმა მარტო რეალური ცხოვრებისეული მოვლენის მეტაფორა არ არის, ანუ იმის აღნიშვნაა, რომ ერეკლეს პიროვნება, მისი საერთაშორისო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ავტორიტეტი „რკინის კარობას“ უწევდა ქვეყანას...“

ხალხს სწამდა, რომ ერეკლე მეფის სიკვდილს, ერთან ერთად, ბუნებაც განიცდიდა. ერთი ხალხური ლექსი მოგვითხრობს:

„ვერ გაიგეთა, ქართველნო,
შაგეხსნათ რკინის კარიო,
მზე გაგვიბრუნდა უკულმა,
ჩავარდა შუა ზღვაშიო.
მთვარე დაბნელდა გაშავდა,
ალარ გვინათებს ცაშია.
ატირდნენ წვრილი ვარსკვლავნი,
ცამაც დაშალა ნამია.
ალარ გვყავს ნეფე ერეკლე,
არც იმის საომარია“

ლექსის სხვა ვარიანტში სახელოვანი მეფე ხალხს ღმერთის ძმობილად მიაჩნია, მისი მკვდრად მომხსენიებელი კი ხალხისგან დაწყევლილია:

„ერეკლეს სიკვდილ ვინა თქვა?
გაუხმეს ენის ტარია!
არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა,
ძმა არის განაყარია“

ქართველმა სახალხო მთემელებმა ერეკლე მეფის სიკვდილი ქვეყნიერების დასასრულს შეადარეს. ერთ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ:

„ღმერთო, რა დიდი ბრალია,
არევა ქალაქისაო,



ნეფის ერეკლის სიკვდილი,
დაქცევა ხმელეთისაო“

ამ მხრივ საყურადღებოა თუშური დატირების — „დალაის“ — ერთი ვარიანტი, რომელშიც მეფე ერეკლეა ნახსენები. თუშური „დალაი“ სრულდება წლისთავზე, როცა მიცვალებულის პატივსაცემად იმართება დოლი, რომელშიც საგანგებოდ შეკაზმული მისი ცხენიც მონაწილეობს. „დალაის“ ტექსტის ძირითადი ნაწილი უცვლელია, მეტნილად მასში ცვალებადია მხოლოდ მიცვალებულთა სახელები. ერთ-ერთ დატირებაში ვკითხულობთ (დატირება მოცულობითია და გთავაზობთ მხოლოდ მნიშვნელოვან ციტატებს): „ჭკვიანო, საქცივლიანო, გამჭრელო, მოსამართლეო“; „იმედო თავის ქვეყნისა, გამრიგევ თუშეთისაო“, ანდა: „ჩვენ ნუვის შევატყობინებთ ლომის ერეკლეს სიკვდილსა“ და სხვ.

ქართულ ხალხურ შემოქმედებას შესტკივა გული, აღედვებს ის, რაც სინამდვილეა, რაც გმირულია და ვაჟუაცური. ილია ჭავჭაძე წერს: „ვერ გაიგეთა, ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია, ალარ გყავთ მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია“-ო, ასე ამოიკვნესა ერმა, როცა დასტიროდა გვამს თავისის სახელოვანის მეფისას. მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი. აი, მისი ისტორიული ხატი ეს არის, და თუ არ დიდ-ბუნებოვანს კაცს, სხვას ვის შეუძლიან რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანას?“ ვეთანხმებით მკვლევარ — ფატი აბაშიძ-





ეს, რომელიც მართებულად აღნიშნავს, რომ: – „ბევრ სახელოვან ადამიანს იცნობს ისტორია, მაგრამ ყველას როდი ხვდა წილად ხალხისაგან ისეთი სიყვარული და პატივისცემა, როგორიც ჩვენს სახელოვან მეფეს“.

ქართველი ერი, ამ „ღვთისგან დავლათიან“ მეფეს მართლაც უსაზღვრო სიყვარულით მოიხსენიებს ლექსებში, თქმულებებსა თუ ლეგენდებში, რადგან ხალხმა იცის, რომ მეფემ „საქრისტიანოს გულისთვის წელს შემოირტყა ხმალია“.

ერთ-ერთი ქართული ხალხური თქმულების თანახმად, 1795 წელს, „ერეკლე მეფეს ამბავი მოსდიოდა, რომ აღა-მაჟამედ-შაპი აპირებდა თბილისის წასახდენად მოსვლასო. ერეკლე მეფეს თავდაპირველად არ სჯერდა, მაგრამ შემდგომში, როცა გახშირდა ეს ამბავი, მოინდომა, მოაგროვებინა და მოამზადებინა ჯარი, რომ მტრისათვის პასუხი გაეცა…“

ერთი ხალხური ლექსი გადმოგვცემს აღნიშნული მტრის შემოსევის ამბავს:

„დიდება და მადლი ღმერთსა,
რომ ბრძანება იქნა მლვთისა,
მოეკიდა ხმალი ხმალსა,
ომი იქნა პირველ უმისა.
ყენი რომ წინ წამოდგა,
ნეტა რისაგან ჰქონდა ძალი,
ხანები რომ დაიბარა,
იმას დაჲყვა დიდი ჯარი“

საისტორიო წყაროების გარდა, აღა-მაჟამად ხანის მრავალრიცხოვან ჯართან ქართველთა თავგანწირული ბრძოლის შესახებ, ემოციურად გვიყვება ხალხური ზეპირსიტყვიერებაც. ერთი ხალხური ლექსიდან ჩანს, თუ როგორი გმირული შეუპოვრობით მიემართებიან ბრძოლის ველისაკენ მეფე ერეკლე და მისი ამალა:

„გამოპრძანდა კახი მეფე,
თან გამოჲყვა დიდი ჯარი,
სულ ოსი და სულ ჩარგასი,
დარაზმული რაზმის ჯარი,
ჯერ კი იხმარეს თოფები,
მემრე ამოიღეს ხმალი“

სამწესაროდ, ქართველმა მხედრობამ, ვაჟაცური ბრძოლის მიუხედავად, მარცხი განიცადა მოღალატის გამო. ქართველ მხედართა თავგანწირულ ბრძოლასთან ერთად, ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ ლალატთან დაკავშირებული ცნობებიც შემოვინახა: „...აღა-მაჟამად ხანთან მივლენ და მოახსენებენ სუყველატერს, ქალაქისა და მეფე ირაკლის მდგომარეობას და

სამზადისსა...“

ერეკლე მეფე იყო ქართველი ხალხისათვის, თავგანწირული გმირი, რომელიც მზადიყო ყველაფრისათვის, ოლონდაც ქვეყნისა და ერის კეთილდღეობისათვის მიეღწია. ერთ-ერთი ხევსურული ხალხური ლექსი, ერეკლე მეფის ვაჟაცურ სახეს კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოაჩენს. სახალხო მთქმელი, მეფე ერეკლეს – „რეინის გულის“ მქონედ წარმოგვიდგენს:

„ერეკლე ბატონიშვილი
გმირია წინა უმისაო,
შიგადი გული რეინისა,
გარედი სალი კლდისაო,
და ცხენსა გარდაჯდებოდა,
რა ტურფა ჩილი ხესაო!
რახანსა ომში შევიდეს,
მეტისმეტ მამაცისაო“

ქართული ხალხური პოეზია შენატრის იმ დროს, როცა მათი საყვარელი მეფე ცოცხალი იყო და ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ ქვეყანაში სიმშვიდეს დაესადგურებინა. ამის გამომხატველია ლექსები: „მეფე ერეკლეს დროშია...“ და მისი სხვა ვარიანტი – „ერეკლე ნეფის დროშია...“

ერეკლე მეფისადმი მიძღვნილი სხვა მრავალი ლექსიც მოვეპოვება, რაც შეგვიქმნა ხალხურმა ნიჭმა, გონიერებამ და შემოვვინახა დრომ და დამწერლობამ... თითოეული მათგანი გამსჭვალულია მეფისადმი დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და ერთგულებით. სახალხო პოეტებმა, ავტორ-მთქმელებმა, ხალხური სიმღერის შექმნელებმა, ლეგენდებისა თუ თქმულებების გადამცემებმა – „პატარა კახი“ ყველასთვის მისაბად პიროვნებად ასახეს და მეფისადმი დიდი სიყვარული ჩააქსოვეს თავიანთ რეპერტუარში.

ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ ასე გაგვიმდიდრა ცნობიერება, რომელშიც კარგად ჩანს, თუ რაოდენ ღრმად იცნობდა ქართველი ერი მეფე ერეკლეს გმირულ ცხოვრებასა და დიდბუნოვნობას. ხალხურ შემოქმედებაში საკამადვრცლად არის გადმოცემული ერეკლე მეორის ღვაწლი ერისა და ხალხის წინაშე, ასევე ხალხის ნდობა და სიყვარული საამაყო მეფის მიმართ. სახალხო მთქმელები გრძნობდნენ იმ ეპოქის მაჯისცემას, რომელშიც მოღვაწობდა რაინდული ბუნების მქონე მეფე ერეკლე, ისინი განიცდიდნენ საქართველოს ბედს, მათთვის სისხლხორცეულია ის ტკივილი და მწუხარება, რომლის გადატანაც მოუხდა ქართველ ხალხს გმირ მეფესთან ერთად.



ვარდა რაინა

ხმალგაზვეოილო

მეფეო...

პატარა კახს, – დიდებულ მეფეს,
სახელოვან სარდალსა და
უბადლო მეომარს, – ერეკლე მეორეს

23



ვინ:
თურქი?!.
სპარსი?!.
და... ინდო?!.
შენთან,
მაშვრალო მეფეო?!.
თქმულა –
სიკვდილმაც
დაინდო
სახელი, –
მზისებრ მჩქეფეო...

ვინც –
გულში,
ჩვენი
სერა ინდო,
არწივის ზარით
ჰყეფეო,
ელვავ,
უძილო რაინდო,
ხმალგაცვეთილო
მეფეო...

ნურუ ძამუკაშვილი

ფა... სახელი – ფიფი მეფის,
საქართველოს გარეფა...
(ერეკლე II-ის დაბადების 300 წლისთავისათვის)

ვაზი, ისევ ისე ჰყვავის, –
ძლიერი აქვს ფესვი,
ეს მადლია, – დიდზე-დიდი
მეფე ერეკლესი.

მოყვარეს რომ ახარებდა
გმირი, – თავდადებით,
მის წინაშე, ახლა, ყველა,
მოწინებით ვდგებით.

ამ, სატახტო, ქალაქ – თელავს,
მზე რომ უთბობს გულ-მკერდს;





შიგ რამდენი გამძლეობა
ერთგულება უდევს!..

მომზვდურს ბრძოლის ყიუინა და
მამულს უნდა – დაცვა,
დიდი იყო სიმამაცით –
გამარჯვების განცდა!

ჭადარი, რომ, ხან სიხარულს,
ხან, კი, – სევდას თვლიდა...
მატიანეს, – ჩვენი ყოფნის,
ავსებდა და ზრდიდა...

დრო იმედმა განაქარვა, –
აცისკროვნა – რა, ცა...
და... სახელი – დიდი მეფის,
საქართველოს გასცდა!..

თინათინ თელაველი

მზექართველი...

გმირმა ერეკლემ, დღესაც, სახელს მზის სხივად რომ შლის,
და... სიყვარული, მაგალითად, რომ მოგვცა ხვალის,
მთელი სიცოცხლე – ქვეყნის მტრებთან დახარჯა – ომში,
არ ჩაუგია, ამ, მზექართველს ქარქაშში – ხმალი...

ანო მანოშვილი

მეფე ერეკლეს

მზე ისევ ისე ანათებს
ჩვენი სამშობლოს გზა-შუკებს,
გმირ წინაპართა სახელი
მზესავით ისევ აშუქებს.

ომი, წამება, ტყვეობა,
თავს რალა არ დაგვტეხია,
მაგრამ ქართული სული კი
ვერავის გაუტეხია.

რომელი ბრძოლა მოვთვალოთ:
მარაბდა, ანდა ასპინძა,
მეფე ერეკლეს სახელი
ლამაზ მზესავით გაბრწყინდა.

მრავალი წელი იბრძოდა
მრავალი ჭირის მნახველი,
იბრძოდა, გადაშენებას
გადაერჩინა ქართველი.

მზე ისევ ისე ანათებს
ჩვენი სამშობლოს გზა-შუკებს,
გმირ წინაპართა სახელი,
ისევ მზესავით აშუქებს.



პარაკლისი მეფის პარის ეკლესიაში

თელავში ერეკლე მეორის 300 წლის საიუბილეო თარიღი აღნიშნა. ადგილობრივი მერიის გადაწყვეტილებით, პანდემიის გამო, ერეკლე მეორის ქუჩასა და ქალაქის მთავარ მოედანზე ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დაგეგმილი ღონისძიებები გაუქმდა. მიუხედავად ამისა, მეფის კარის ეკლესიაში პარაკლისი გადაიხადეს, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მოქალაქეები ესწრებოდნენ.

* * *

,მამაცთა შორის საკვირველება, პატარა კახი — მეფე ირაკლი“ – ასეთი სახელწოდებით გამართეს გამოფენა თელავის ისტორიული მუზეუმის დროებით საგამოფენო სიურცეში.

გამოფენაზე, რომელიც ქართველი მეფისა და მხედართმთავრის ერეკლე მეორის დაბადებიდან 300 წლის იუბილეს მიეძლვნა, წარმოდგენილია მუზეუმის ფონდსაცავებში დაცული მეფე ერეკლე II-ისა და მისი ოჯახის წევრების მემორიალური ნივთები, პორტრეტები და ნახატები, რომლებიც მეფის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდს ასახავს.

,პანდემიის გამო, დამთვალიერებელთა ინტენსივობა ნაკლებია, მაგრამ რეგულაციები დაცულია დაყველას მოვუწოდებ, მოვიდნენ და ნახონ გამოფენა“, — განაცხადა თელავის ისტორიული მუზეუმის დირექტორმა გურამ ურჩეხიშვილმა.

გამოფენა წლის ბოლომდე გაგრძელდება.



რეზო ადამია

26



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მიერ გამოქვეყნილი აუცილებელი განცხადები

წიგნი ყოველ ძვირად შენაძენ ფუფუნებაზე, სიმბოლიური მნიშვნელობები, კულტურული მემკვიდრეობის, სხვადასხვა ფულზე თუ ძვირფას ქარგას ლეგზე შეცრად უნიკალური და უფლისკენ მავალი იაღწნიანი მზისფერი ხომალურია.

რეზო ადამია

ნიგნი აუჩავი ნუ გააგდებ!

მსოფლიოს ხალხთა ისტორია, თხზულებები, ლექსები თუ რომანები იკითხე ყველგან, მეგობარო, შეიხედე ინტერნეტის ეკრანზე, ეახელი წარმოსახვის კოსმიურ უხილავ ქსელზე, შეისწავლე ნაწერები თიხაზე, ქვაზე და უძველესი სხვადასხვა მოვლენები ხეზე, ეტრატზე, მეტალზე, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, ადვილად მისაწვდომ ქალადლის წიგნს ვერაფერი შეცვლის, და ქუჩაში ნუ გააგდებ, საუკუნის შეგნებულო ადამიანი! კაცობრიობას თოთხმეტ ენაზე დამწერლობა მოუვლონა უფალმა; ხოლო დამწერლობამ წარმოშვა მრავალსახეობა საოცრება წიგნისა...

თანამედროვე ტექნიკის მიღწევა ინტერნეტი, ადამიანური ნიჭიდან და მეხსიერებიდანაა გამოხმობილი. ჩაქრება ინტერნეტი და - უბრალო ჩამუქებული დაფაა, მის მეხსიერებას ელექტროშუქი, დენია, რომ გვაწვდის, თუ არადა, შორსაა ის შენგან. წიგნი? ყველაგანაა, ყველასთანაა და ყველაზე მუდმივი უახლოესი აზროვნებაა შენთან მყოფი, წიგნი ლმერთია ადამიანთან უახლოესი, თავისებური მარადიული სულისა და გონების უკვდავებაა, წიგნი ცოცხალი არსებაა, ნიჭი და აზროვნებაა. წიგნის მუდამუამს უფლის და ავტორის ანდამატური სუნი ასდის. წიგნი რაც უფრო ძველია, ის შორეული მისტიკა და უძირო კოსმოსური სიმდიდრეა საკურველი...

გვჯეროდეს, უმაღლესი თუ საშუალო დონის ნაწარმოებითი წიგნებით როგორც მინიერ გარემოსთან, ასევე უფალთან უსასრულო ურთიერთობა გვაქვს...

„ადამიანი წიგნით ხელში არასდროს მარტო არ იქნება“ - გოლდონი.

ერთხელ ინტელექტუალების შეკრებას დავესწარი, და იყო კრიტიკული სჯა-ბაასი-საუბარი. ითქვა, ფოტოგრაფიო, მომავალში ფერწერას შეცვლისო, მაგრამ ეს ხომ ფოტოსაგან მონუსხული და დაბნეული ადამიანების აზრი იყო. განა ფერწერას შეცვლის რამე? ფერწერული სურათი ხომ

ლმერთის უშუალო ჩარევითაა შექმნილი და კიდევ, საოცრება კოსმოსური ხილვებისაგან, პიროვნული დიდი ნიჭის მოვლენით. განა, მეგობრებო, წიგნს და ფერწერულ ტილოს შეცვლის თანამედროვე თუ მომავლის ტექნიკა? ისინი ხომ ინდივიდუალიზმის უდიდესი აზროვნებაა, შემოქმედებითი გემოვნებაა აუსენელი. მერმე გაგრძელდა სევდიანი საუბარი ისევ წიგნზე, ზოგმა მზეს გაუტოლა, ზოგმა რა და რას არა, მათგან ერთ-ერთი თითქმის მოთქვამდა, რა საშინელი დრო დაგვიდგა, წიგნს როგორ ცუდად ექცევიან ადამიანებიო! და საბერძნეთიდან ჩამოსულმა ემიგრანტმა ქალბატონმა ბრძანა, ათენში საცოდაობა ვნახეო, წიგნების გორა ქუჩაში გამოყრილი იყო და მათში პლატონის, არისტოტელეს, სოკრატეს, პომეროსის „ილადა“ და კიდევ სხვათა ნანარმოებებიც ერიაო. აი, სადამდე დააბინა თავად უცოდველმა ინტერნეტმა ადამიანებიო.

ერთხელ, ასათანის ქუჩა გადმოვჭერი და, რა ვისილე, იმშვილის ქუჩის ბოლოს სანაგვე ყუთებთან ცალკე დაეყარათ განწირული წიგნები. გაოცებული მივედი, პირველი, რაც ხელში ჩამივარდა, ფიროსმანის სურათების ფერადად დასურათებულ ალბომი, შემდეგ მერაბ კოსტავას ლექსების კრებული, რამდენიმე ქართული და რუსული ლიტერატურის და კიდევ ვინ? მიხეილ ჯავახიშვილი, ვასილ ბარნოვი, იაკობ გოგებაშვილი, პუშკინი, დოსტოევსკი, ბულგაროვი, ტოლსტოი, ესენინი... მერმე შევნიშნე ყვითელი სქელი წიგნი და ებრაული თორა - წარმოიღენეთ! უცბად ცელოფნის პარკში სხვა წიგნებთან ერთად ჩავუშვი. მათთან ერთ-ერთი თანამედროვე ქართველი მხატვრის ალბომიც იდო, ისიც ავიღე, თუმცა მისი ავტორი ზოგჯერ ჩემს პერსონალურ გამოფენებზე ავადმყოფურ შურს ამჟღავნებდა...

1983 წელს, დანაში, ქალაქ ოდენკში, მაკულატურის გროვაში შემთხვევით იპოვნეს მოცარტის უცნობი სიმფონია. ასეთი უცნაურობებიც ხდება, თურმე, ქალალდის სამყაროში.





აუცილებელია, წიგნს მშობლიურად დავუპრუნდეთ, მეგობრებო, იქ ხომ ღვთის სხივები, აზრი და მზის შუქია ჩაღვრილი. ინტერნეტს, ტელევიზიას, რადიოს ჩვენს ცხოვრებაში უზარმაზარი ფუნქცია აქვს. წიგნმა რა დაგიშავათ? რატომ გამოყარეთ თქვენი ბინებიდან? არ შევრცხვეთ, თანამედროვენო, დროულად აზრზე მოსული მომავალი თაობების წინაშე...

წიგნი, მეგობრებო, ათასული წლებიდან მოყოლებული, ევოლუციური ცივილიზაციაა, რა თქმა უნდა, დროთა უძმინი იცვლიდა ფორმას და მასალას, მაგრამ ღვთიური კოსმოსური სახე ადამიანისა მარადიულია, მას მომავალში მრავალი და სასწაული ტექნიკური შეგირდი აღმოაჩნდება, მაგრამ წიგნი, როგორც დედამინა ვარსკვლავეთის ფენომენი, ფასდაუდებელ წიგნად დარჩება...


სამყარო კუნაპეტი სიბნელეა, მადლობა უფალს, მის სივრცის გარკვეულ ფართობს მზეები ანუ ვარსკვლავები ანათებენ: თანატოლი თუ თანაფარდობითი მზეებია, ალბათ ორი ათას ხუთასზე მეტ ხალხთა ენაზე ამეტყველებული წიგნები.

წიგნი! როგორც მოგახსენეთ, სულია უკვდავი, ღმერთის საუბარია, შენი და მსოფლიოს მრავალ ერთა წარსული, აწმყო და მომავალია; წიგნი უფალივით პლანეტის ყველა ენაზე მოსაუბრება; წიგნი კეთილი ლოცვაა უსასრულო, ღიმილი, სიხარული, სევდა, გლოვა, გახსენება, იმედი, სწავლა, შეგონება, სიძულვილი და ომები, აღტაცება, განცდა, გახელება, ფიქრი და დუმილი; მოვლენათა სწორი ხედვა, შთაგონება, დაუკინწყრობა, შენი ახალი და განსხვავებული სიცოცხლე, ჭირ-ვარამი, ტრაგედია-დრამა და სიყვარული ღვთიური, ჭეშმარიტება მინიერი და კოსმიური; ინტიმის მრავალსახეობათა უსასრულობაა, დაღლა, მოპეზება, განსჯა, შედარებები და დატოლება; განძი შეუფასებელი, ამ დროს მზის სხივით ყველასათვის მისაწვდომი და ნებისმიერ-

თათვის გარდამავლობითი საკუთრება; უთვალავი ფერწერული ნახატების დასურათებები თუ მრავალ-სიუჟეტიანი ფოტოსურათია მასში განთავსებული; მზის, მთვარის, ვარსკვლავების გალობაა და წიგნთა შორის უპირველესი ბიბლიაა, ახალი აღთქმა – ქვეყნიერების უსასრულობის დაუმთავრებელი ხატი.

წიგნშია ასახული დაბადება, ბიოგრაფიები, ისტორიები, მონოგრაფიები, ლექსები, ნოველები, მოთხრობები და რომანები, მხოლოდ წიგნითა მარადიულად ასხმული, ისინი ხომ უკვდავების ხეა ღვთიური ნაყოფით. წიგნშია აღწერილი სიკვდილის ანუ გარდაცვალების ათასნაირი სცენები, საფლავები, აკლდამები, ყორდანები, პირამიდები და გაუშიფრავი ურთიულესი აზროვნებაცაა წიგნში შენახული. წყარო, დღენიადაგ რომ გვასწავლის, გვიხსნის და ბრძნულ განმარტებებს გვაძლევს მეცნიერებაზე, ფილოსოფიაზე, ასტრონომიაზე და ასტროლოგიაზე. თეატრზე, კინოზე უღრმესი სწავლებაა მედიკინის, არქეოლოგიის, გეოლოგიის. წიგნი წიჭირდა ჭკვიან ადამიანთა მკვიდრი სასტუმალია უტკბესი, ათასფერადი სიზმრების და ოცნების ამყრული, სწავლის მიღების მზიური სხივი. ალბათ, ჩვენი გარდაცვალების მერმეც კითხულობენ წიგნს სულნი ჩვენი. ერთ-ერთი ნობელიანტი მეორეს წერს: მე თქვენი წიგნი წავიკითხე და ათი წელიწადის სიცოცხლით იმდენ სიამოვნებას არ მივიღებ, რაც შენმა წიგნმა მომანიჭაო.

წიგნი ზეციური არქეოლოგიაცაა ძნელად შესაწავლი. და ისევ, წიგნი ღმერთია უახლოესი და მიუწვდომელი – იდუმალებებით სავსე, ოქრო-წარმოსახვების და ფანტაზია-მუზის ვერცხლის სკივრი; წიგნში ზეცაზე არანაკლებ სახლობენ ღმერთები და ჩვენი უფალი იესო ქრისტე, მარიამ ღვთისმშობელი, ანგელოზები, მოციქულები და წმიდანები. შესაძლებელია უსასრულო სივრცეზე ბევრად მეტად. (ზეცა ხომ, უმდიდრესი ყველაფრის აღწერის საოცრება





- მეხსიერება, ენციკლოპედიაა კოსმოსური; სამწუხაროდ, მხოლოდ ღვთისგან რჩეულნი რომ კითხულობენ ამ უხილავ საგანძურს...) ამიტომ, მეგობრებო, წიგნს უახლოესს მოეპყარით, როგორც უნიკალურ ხატებს, ჯვარს და ეკლესიებს;

წიგნი ყოველ ძვირად შენაძენ ფუფუნებაზე, სიმდიდრეზე, ოქროზე, ვერცხლზე, ბრილიანტზე, სხვადასხვა ფულზე თუ ძვირფას ქარვასლებზე ბევრად უნიკალური და უფლისკენ მავალი იალენიანი მზისფერი ხომალდია. უხსოვარი დროიდან მოყოლებული ნებისმიერი წიგნის მიცვალებულის საფლავში ჩაყოლებას ერიდებოდნენ, რადგან ის უკვდავი სიცოცხლე და სული იყო და არის; სულის მინისქვეშეთში ჩაშვება სამყაროს უზენაესისაგან მიუღებელია. დიადური მზისა არ იყოს, მხოლოდ მისი უკვდავი სხივია ყველგან მწვდომი.

წიგნი ვაჟუაცური შემართება... როდესაც მდიდარი წიგნსაცავი – ბიბლიოთეკა გაგაჩნია, ეს იმას ნიშნავს, რომ მრავალსულიანია შენი ოჯახი, მცირე პლანეტაა, პანთეონია ყოველთა მნიშვნელოვანთა და დიდებულთა სავანე... წიგნი უარყოფით და დადებით გმირთა მოსვლა-ნასვლა-გარდაცვალებაა, შობა და სიახლე უსასრულოდ; ქვეყნიერების – დედამინის, კოსმოსის აღწერა – მრავალსახოვანი დაცუმათა გაშლაა; წიგნი მუსიკაა ყველგან და ყველასთან მწვდომი, მხატვრობაა ურთულესი; პოზზია უძირო, თავად ხომ ლამაზია დროსთან შეხამებული; მისი შემუშნელი ავტორის დიდება და სახელია უკვდავებით. წიგნი ნიჭს ინახავს და გენის ციხე-სიმაგრეა; უნიჭობას თვითნებურად დევნის, ანუ დაბალი ერთეული ერთობლივად იკარგებიან. წიგნი ჩვენში უკლებლივ ყველაფერს განიცდის და გარემოსგან მძაფრად დამუხტულია. წიგნი დედის რძესაცით საამოა და ყოველთა მკვებავ-აღმზრდელი ძუძუა. არ დავივინყოთ, მეგობრებო, წიგნი რომ პომეროსია, დანტეა, სერვანტესია, შექსპირია, რუსთაველია, ომარ ხაიმია, ბალზაკია, ბუდას მოძღვრებაა, ალაპის სწავლებაა. წიგნი ეპრაული საოცნი ნიჭის და სიბრძნის სკივრია: ბიბლიაა, ათი მცნებაა და მოსეს დაბადებას ინახავს, ოთხთავია მარადიული. წიგნშია აღწერილი და გაშიფრული უქველესი იეროგლიფები და ეგვიპტურ-ბაბილონური ღვთიურ-მისტიკური ხელოვნების და აზროვნების იდუმალებანი. წიგნმა შექმნა ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, წმიდა დავით აღმაშენებელი წიგნს ატარებდა ყველგან და ომშიც... წიგნმა აღმოაცენა ათენის უდიდესი აკადემია, თანადროულად ჩვენი სიამაყე ფაზისისა.



წიგნმა და ქართულმა დამწერლობამ ღვთიურ დონეზე აამაღლა გელათის და იყალთოს აკადემიები.

ატლანტიდელების სამოცდაათი ათასი სქელტ-ანიანი უნიკალური წიგნი, რომლებიც დაიწვა ალექსანდრიის უდიდესი ბიბლიოთეკის ხანძრისას, რაზეც გულდათუთქული მთელი ცხოვრება მოთქვამდა დიდი რუდოლფ შტაინერი: სრულყოფილი სწავლება ყოფილა კოსმოსზე და საერთოდ სამყაროზე. ალექსანდრიის ფანატიკურმა ცეცხლმა შთანთქა ღვთიური აზროვნება და ადამიანები დიდი ხნით ჩამოშორდნენ ვარსკვლავეთური კულტურის სწავლების იდუმალებას. ან დალუპულთა წიგნმა შექმნა ჩვენი ათასწლეულის ქალალდის სულიერი საშოადამიანური ბუნებისა. ვიმეორებ, მრავალათასწლოვანი კულტურა და ცივილიზაციები წიგნად პირველად დაიწერა თიხაზე, ქვაზე, მეტალზე, პაპირუსზე, ხეზე, კედლებზე, ეტრატზე და ბოლოს თანამედროვეობის და მომავლის სიმდიდრე ქალალდზე.

„ჩემს ფერხთით რომ დაალაგონ მთელი მსოფლიოს სამეფოების გვირგვინები ჩემი წიგნებისა და კითხვის სიყვარულის სანაცვლოდ, მე ყველას უარვყოფდ“ – ფენელონი.

წიგნს გულგრილად ნუ მოეკიდებით, მეგობრებო და უფალივით ის არასოდეს გილალატებთ.



ნიმუში ძალაშვილი

სახელი და გვარი და თარიღი

ზანდუხტმა ქმარი, გიგლო მეკირეა. ისხაული ან ასეუნებს. წარამართა თავს დააჯგუძა და უძლის საქმიანობას. ერთხელ პირდაპირ თოფით მიაფერ და დაუშიზნა. მოხდა ისე, რომ თექვსმეტი წლის მარგო იქვე ახლოს იყო. არე კი დაფიქტებულა, გავარდა და მამას წინ გადაეჭარა. სიცუკუმს, ცერზურიდა თავს, მაგრამ აელვარებული და გამეხებული სახე ცველაფერს ამზონდა. გიგლო ჩდილობის თავად გადაეჭაროს შეიღოს, მაგრამ ან გამომოს, ცველაფერი ეს წამემში ხდება, გორგოურებულობა ისხაულის იარაღი დასწრია.

— ურდე, ამჟარად შენი შვილის ვაჟაპერიამ გადაგარჩინა, მეორედ ალარ მოგიხსნო, რომ აქ კინა აროლებდე.

წინ ძალაშვილი

29



ვაჟა-ფშაველას გაკვეთილები

ზანდუხტმა წინსაფარი მოიხსნა, ქვედაბოლო ჩაიფერთხა და თმაზე ხელი გადაისვა, შეისწორა. მისთვის დღის ყველაზე მნიშვნელოვანი დრო დგება. თუმცა, უკვე ძალიან დაღლილია და ეძინება. გარეთ გავიდა და ხევიდან, მთებიდან მონაბერი ჰაერი შეისუნთქა. ისფერი ბინდია. გარეთ მყოფ ბავშვებს გასძახა: მარგო! ალექსანდრეე! ივანე! დანარჩენი შინ ეგულება. მერე სახეზე ცივი წყალი შეისხა ბევრჯერ, სანამ ცოტა არ გამოფეხბლდა და შიგნით შევიდა. შეშის ღუმელზე ორი ჭურჭელი დადგა, ერთი მათვის, ვისაც ჩაი უყვარს და მეორე — პატარებს ძილის წინ ფეხებს დაბანს, უფრო ტკბილად დაეძინებათ.

ოთახის ერთ კუთხეში დიდი ტახტია, მთელ სახლში ყველაზე მოხერხებული და საყვარელი ადგილი. ზანდუხტი ადის იქ და ჯდება შუაში. ხელში წიგნი უჭირავს და ფურცლავს. ოთახი თანდათან ბავშვებით ივსება. თორმეტი შვილი ეყიდა, მაგრამ ათი შერჩა, ათი გაზარდა. თვალებით ყველას ეფერება, იმასაც, ვინც აკვანში წეს. თექესმეტი ან ალბათ უფრო მეტი წელია, აკვანში სულ წევს პატარა და ისიც უეჭველად უსმენს დედის ხმას. ყველა თავის ადგილს იკავებს. ზოგს ის უყვარს, დედას მიეყუდოს და თვალდახუჭულმა მოუსმინოს. მარგო, მაგალითად სულ დედის წინ ზის და მის სახეს წამით თვალს არ აშორებს. ივანე და ალექსანდრე უკან უსხედან მხრებთან ანგელოზებივით და სულ წიგნში იყურებიან, თვალს ადევნებენ თითქოს ეშინიათ, რამე არ გამორჩეს დედას. ივლიტას და ეკატერინეს ადგილი იდაყვებთანაა. ხან დაებლაუჭებიან, ხანაც ხელკავს გაუყრიან ხოლმე გოგოები.

ამ დროს კი უკვე ბოლომდე გამოხიზლებული ზანდუხტი, როგორც მსახიობი, ისე

ემზადება. გაცვდა ეს წიგნი, მაგრამ იმ მცირე წიგნებიდან რაც აქვთ, მასაც და ბავშვებსაც ცველაზე მეტად ვაჟა-ფშაველას მოთხოვნები უყვართ. რამდენი წელია უკვე ამ მოთხოვნებს უკითხავს დედა შვილებს, ლამის ზეპირად იცის, მაგრამ მაინც წიგნი უჭირავს ლამაზად ხელში. უნდა კიდევ ერთხელ დაანახოს ბავშვებს, რომ ეს საოცარი, ჯადოსნური ამბები ამ გაფერმკრთალებულ, გაცრეცილ ფურცლებზე წერია.

— აბა, გუშინ სად გავჩერდით, შვილებო? — კითხულობს თავისი ომახიანი და თბილი ხმით.

თითქმის ყველა ერთდროულად პასუხობს. მოლოდინი და მღელვარებაა მათ ხმებში. ზანდუხტი ხმას ჩაინმენდავს და იწყებს:

„როგორ არ უნდა მეშინოდეს?... ჯერ სულ ერთი კვირაა, რაც მე წუთისოფელს ვხედავ, და რამდენი შიში და ვაება გამოვიარე! გუშინწინ წვიმიანი დღე იყო. სიცოცხლითა და სიმშვენიერით აღსაეს დედაჩემი წიფლის გვერდზედ იდგა და გემრიელად იცოხნებოდა... მეც გვერდით ვუდექი, მიხაროდა დედასთან დგომა, მტერი და სიკვდილი არც კი მაგონდებოდა დედის იმედით. ხშირის ფოთლებიდამ წვიმის ნამი კამკამით ჩამოდიოდა... მე თავს ვუშვერდი, რომ სასიამოვნო წვეთებს გავეგრილებინე.“

თავს ხშირად სწევს წიგნიდამ. უნდა ყველას თვალი შეავლოს, ნახოს, წაკითხულმა როგორ იმოქმედა. რაც კი ხელოვანება აქვს და სულში წვდომის უნარი, სულ უნდა თავის ხმაში და გამოხედვაში ჩააქსოვოს. თვითონ სკოლა ვერ დაამთავრა. მისი შვილებიდანაც ალბათ მხოლოდ რამდენიმეს ექნება სკოლის ატესტატი. მაგრამ რაც დედისგან ყველაზე მეტად შეიტკბო, სიკეთის და თანაგრძნობის გაკვეთილები, მთავარი გაკვეთილები, სანამ პირში სული უდ-





გას, მანამდე გაუზიარებს შვილებსაც. რამდენ-ჯერაც არ უნდა წაიკითხოს ეს ადგილი, მაინც ისევ საკუთარი ბავშვობა ახსენდება, ის საღ-ამოები, როცა თავადაც დედის ხმას უსმენდა და მთელი არსებით ნატრობდა, რა მოხდება ახლა მაინც არ მოუკლან შვლის ნუკრს დედაო:

„რას გიშავებ, ადამიანო, მითხარი, რას? რა დაგიშავა საპრალო დედაჩემა, რა შეგის-ვა, რა შეგიჭამა, რომ მოჰყალი და უპატრონოდ დამაგდე, დამაობლე?! ოჳ, ადამიანებო! თქვენს ხერხსა და ღონებზე ხართ დაიმედებული და ჩვენი ჯავრი არა გაქვსთ... არა ჰერძნობთ, რომ ჩვენც გვიყვარს თავისუფლება, არა ჰერძნობთ თქვენის შეუბრალებელის გულით, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ბუნება: ფოთლის შრია-ლი, წყლის ჩქრიალი, რომელსაც სულგანაბული ეგრე ხშირად ყურს უუგდებ ხოლმე, ბალახის ბიბინი და ტყის ცხოველებთან ერთად ნავარ-დობა... შენ კი, ოჳ, ადამიანო!.. თვალებდა-სისხლიანებული, გაფაციცებული დამეძებ მე და ჩემს ფერს სუსტისა და უპატრონოს ათასს სხვას... იარალი გაქვს, მოგვეპარები, მუხთ-ლად გვკრავ ტყვიას და გამოგვასალმებ წუთი-სოფელს.“

იცის, როდის გაჩერდეს. ბავშვები კი თავს იმაგრებენ, მაგრამ უკვე ძილის დრო ახლოვდება. ის დაღლილი კაციც რომ შემოვა, იმასაც ხომ უნდა მიხედვა და მიგურგურება. როცა ატყობს, რომ ძილი ერევათ, ხმასაც უფრო არ-ბილებს და ნაკლებად ემოციურს ხდის. ეძებს წინადადებას, სად გაჩერდეს. ისედაც უმეტესო-ბამ კარგად იცის მოთხრობის შინაარსი, მაგრამ აოცებთ ყოველ ჯერზე, როგორ ახერხებს დედა ასე განსხვავებულად წაიკითხოს, ამდენ სუ-ლიერს დაჯავროს და ამდენის სურვილი და გულის წადილი ამოთქას.

მარგო საწოლში წევს, თავის მხარეს, ძილ-ღვიძილში სასიამოვნოდ ჩაესმის და-ძმე-ბის ხმები. მის გვერდით მანანა, უფროსი და, უკვე ფშვინავს. მარგო კი ფიქრობს დედაზე, ფიქრობს მის სიტყვებზე, რომლებსაც მოთხრო-ბის კითხვისას ჩაურთავს ხოლმე, ხან განუმარ-ტავს, ხან კიდევ და კიდევ არიგებს ბავშვებს. უკვე იცის მარგომ, ანდაც გრძნობს, სად გაჩ-ერდება დედა და რას ეტყვის შვილებს. როგორ უყვარს ის წამები, როცა დედა მას გაუყრის თვალს-თვალში და ღიმილსაც მოასწრებს. სხ-ვებსაც ულიმის შიგდაშიგ დედა, ჩერდება ხში-რად, მაგრამ მარგოს ჰერინა, რომ მას სხვა რამეს ეუბნება დედა ამ ღიმილის ნამცვრევით.

მათ ღარიბულ ყოფას აღამაზებს და ავსებს ეს საღამოები. ახალი წლის წინა დღეებში უფრო მხიარულ და ბედნიერ მოთხრობებს უკითხავს ზანდუხტი თავის პატარებს. ამ დროს ყველაზე მეტად „სათაგური“ უხდება. ო, როგორ უყვარს,

დედა რო ამბობს:

„ჰაი, თქვე ლაჩრებო, თქვენა! ეგ არის თქვენი ბიჭობა, რომ ტრაბახობდით: მე ეს ვა-ჟუაცობა ჩავიდინე, მე ესაო? შეგირცხვათ ვა-ჟუაცობა. მე წავალ და მიცეირეთ, რა ბიჭია ფიცხელა! – სთქვა და გაემართა სათაგური-საკენ. ხოლო სხვა თაგვებმა სული განაბეს და შორიდან უთვალყურებდენ. ფიცხელა მარდად მიცუცუნდა სათაგურთან და ცოტა ხანს შესავ-ალ კარებთან გაჩერდა! მიიხედ-მოიხედა.“

როგორ შეიყვარა ეს კეთილი ხალხი – ეს-ტატე და ეფემია. ნუთუ ეს სახელები ეს, საღ-ამოები, ოდესმე დავიწყდება? ცდილობს, გაიხ-სენოს კიდევ რაღაცეები და ჩასთვლემს კიდეც.

ზანდუხტის ქმარი, გიგლო მეკირეა. ია-საული არ ასვენებს. წარამარა თავს დაადგე-ბა და უშლის საქმიანობას. ერთხელ პირდაპირ თოფით მიადგა და დაუმიზნა. მოხდა ისე, რომ თექვსმეტი წლის მარგო იქვე ახლოს იყო. არც კი დაფიქრებულა, გავარდა და მამას წინ გა-დაეფარა. სიტყვებს, ვერც უყრიდა თავს, მა-გრამ აელვარებული და გამეხებული სახე ყვე-ლაფერს ამბობდა. გიგლო ცდილობს თავად გადაეფაროს შვილს, მაგრამ არ გამოდის, ყვე-ლაფერი ეს წამებში ხდება, განცვიფრებულმა იასაულმა იარალი დასწინა.

– იცოდე, ამჯერად შენი შვილის ვაჟკაცო-ბამ გადაგარჩინა, მეორედ ალარ მოგისწრო, რომ აქ კირს აბოლებდე.

მარგო მოტრიალდა და მთლად აცახცახ-ებული მამას ჩაეკრა გულში.

– ალარ გინდა, მამა, დაანებე ამ საქმეს თავი, ხომ ხედავ ყველაფერზე წამსვლელია ეგ კაცი.

გიგლო ჯერ ისევ გონს ვერ მოსულა. იცის, მძვინვარე მხეცია ის იასაული. შეიძლე-ბა არ მოეკლა, მაგრამ დაეჭრა, დაესახიჩრე-ბინა სამუდამოდ. ხომ უქნია ასე ბევრისთვის, ვინც მის ნებას გადასულა. მაგრამ, მარგო? ეს რა გააკეთე შვილ? როგორ გაბედე? შენ რომ რამე მოგსვლოდა, რალა აზრი ექნებოდა ჩემს სიცოცხლეს? ჩემო მამაცო შვილო! გონებამდე ვერც უმვებს საშინელ აზრს. გაოგნებული გი-გლო სახლისკენ შებრუნდა. მარგოს სახე ახლა მთლად გაფითრებულია, ცრემლშეშრობილს, მთლად კირის ფერია დასდებია.

ზანდუხტი ამ ამბავს რომ იგებს, ხელებს გულმკერდზე იჭდობს, თითქოს რაღაც მოუ-ლოდნელ ტკივილს შიგნით არ უშვებს, ვერც კი უშვებს მისი სული და გული. ერთს ამბობს მხ-ოლოდ, რამდენიმე წუთის შემდეგ, მაგ იასაულ-საც ჰერინია გულიო.

* * *

შებინდებულზე მარგო, პატარა ტანის,





სრული ქალი, თვალებში ანგელოზის სევდა რომ ჩაბუდებია თითქოსდა სამუდამოდ, აჩქარებული ნაბიჯით მიემართება მეზობლისას. ცალ ხელში თბილი წყლით სავსე ვედრო უჭირავს, მეორეში კი ცარიელი – ემალისა. ორასიოდე მეტრში ცხოვრობს ის მეზობელი, სადაც მარგოს მანო ელოდება. მანო ლამაზთვალებიანი ძროხაა. კეთილი ხალხი მანოსაც იფარებს თავიანთ საქონელთან ერთად, რადგან მარგოს პატარა ეზო აქვს და იქ ძროხას ვერ გააჩერებს. ჩქარობს მარგო. ნახირმა უკვე კარგა ხანია ჩამოიარა – ომი ახალი დაწყებულია და მაშინ ჯერ კიდევ ბევრს ჰყავდა ამ პატარა ქალაქში საქონელი; ნამდვილი სიმდიდრე იმ გაჭირვების დროს. იცის, ელოდება მანო. შინ ბავშვები ელოდებიან. სამნი. სულ უფროსი აღარ ჰყავს. რვა წლისა ხუნაგმა ნაართვა. აი, იმისი სევდა აქვს თვალებში მარგოს.

მარგო მანოს ულიმის და მანოც გახარებული ზმუის და კუდს იქნევს. მანო, კარგო, კეთილო, ლამაზო, სულ ელაპარაკება მარგო. იმ თბილი წყლით ჯერ კარგად ჩამობანს ცურებს და მერე კი რძეც იწყებს ჩერიალს...

ფიქრშია, სულ ფიქრშია. რასაც არ უნდა აკეთებდეს, მისი გონება მარტო იმ საქმეში არ არის. ათასი საფიქრალი აქვს. მერე რა, რომ მათ ოჯახს შეძლებულად თვლიან ქალაქში, უამრავი საქმე და საზრუნავი აქვს. სულ რაღაც ორმოცდათი წლის მერე გრიგოლისნაირ ადამიანებს მეწარმეებს, ბიზნესმენებს დაარქმევენ. მარგო კი მხოლოდ იმას ხედავს, რომ ძალს მისი ქმარია და ძალს არაკეთილმოსურნები. დიდებული იდეები აქვს, პარტნიორებს რუსეთ-სა და უკრაინაში ეძებს, ისინიც იხიბლებიან ამ ალალი, მოუსვენარი კაცის აზრებით, ჩამოდიან საქართველოში, ხდებიან მისი პარტნიორები და ხან ერთ საწარმოს ამუშავენებ, ხან მეორეს.

ხშირად რუსეთშია გრიგოლი და მთელი ოჯახი ცოლს აწევს კისერზე. უფროსი შვილი მიშიკო უკვე მეცამეტეშია და მხარში უდგას დედას, მომდევნოები ანა და ვალიკო ჯერ ათი და შვიდის არიან, დედა ენაცვალოთ ყველას. იცის, ახლაც, ამ წუთებში, როგორ ელოდებიან. მთელი დღე გადის და მარგოს მსხვილი, რბილი, მტკიცე, თბილი, ძლიერი ხელები არ ისვენებენ. ხანდაზმული დედამთილი ბევრს ვერ ეხმარება და ამიტომ ამ ხელებს მოაქვთ მრავალი წლის განმავლობაში ხევიდან წყალი ყველა-ფრისათვის; აკეთებენ ყოველდღიურ საჭმელსა თუ ზამთრის მარაგს; ცეცხლზე, დიდ ქვაბებში ხარშავენ სარეცხსა და საპონს, კერავენ და კემ-სავენ, ქსოვენ და ქარგავენ, მატყლს პენტავენ და ართავენ. რაც მთავარია, უვლის ქმარ-შვილს, ყველანი ყოველთვის გასპეტაკებული და გახამებული ჰყავს. მის გარშემო სხვა ქა-

ლებიც ასეთივე ყოჩალები არიან, მარტო მარგო კი არ არის ასეთი. მარგო ასევე უზომოდ კეთილი და ყველა გაჭირვებულის შემწეა. ღმერთმა რაკი მეტი მომცა სხვაზე, მეტის გაცემაც მევალებაო. ხან თვეები მარტო უძლვება ოჯახს და მანც არასოდეს დაიჩივლებს შვილებთან, და ალბათ არც სხვებთან.

პატარა ვალიკო სულ კაბაზე ხელჩაკიდებული დაჲყვება. სიგიჟემდე უყვარს თავისი ლამაზი დედიკო. საბავშვო ბალისგან ერთი ალაგალაგ ფიცარ ჩავარდნილი ღობე ყოფთ. მარგომ იცის, როდის გამოყავთ ყმაწვილები ციცქა ეზოში „სუფთა ჰერის ჩასაყლაპად“ და იქ ელოდება ხოლმე ვალიკოს. ესეც ხომ არასოდეს არ უნდა ამოუგარდეს გონებიდამ. პატარა მარგალიტი თავის ბუნჩულა ხელებს ღობები ყოფს და დედას სახეზე ეფერება, ცდილობს კისერზეც მოხევიოს და ვერ სწვდება. სულ ენატრება დედა. ანა, თუ ამ დროს შინაა, შორიდან უყურებს მისთვის ამ სულისშემძვრელ სცენას და ბედნიერია. გრძნობს, დედა როგორ დარდს ატარებს გულში და იქიდან რომ მოტრიალდება, სახეზე სხვანაირი ნათელი აფენია ყოვლეთვის. და თანაც, ანა გიჟდება თავის პატარა ძმაზე, გიჟდება მის პატარა ბუნჩულა ხელებზე და არაფერი შეეღრება იმ სიამოვნებას, როცა ამ ხელებს დააბანინებს და მერე გაუმშრალებს ხოლმე.

რძით სავსე ვედროთი მარგო თითქოს ფრთაშესხმული მიქრის სახლისკენ. მანოს დაუყვავა, მოეფერა და დამშვიდებული დატოვა. კარში სამივე შვილი ეგებება. ოთახის სიღრმიდან გამოკრთის დედამთილის ღიმილი; აბა, სიტყვით ხომ არ შეაქებს რძალს. სასწრაფოდ ადუღებს რძეს და ხედავს, რომ ბავშვებს სული ელევათ, ისე ელოდებიან, როდის მორჩება საბოლოოდ ყველა საქმეს და ის საათიც დადგება. რა უნდა მოხდეს, რომ ეს საამური საათი არ დადგეს? მამის დაბრუნება, უცხო თუ ნაცნობ სტუმართა დარჩენა მათთან? მაშინაც კი, ცოტა ხანი ძილმორულებს ბალიშთან სამივეს მიუჯდება და მსოფლიოში ყველაზე ტკბილი ხმით რაღაცის მოყოლას მოასწრებს. დალლილს შეიძლება სიტყვაც აერიოს; ამას ხან ეტყვიან შვილები და ხანაც უკვე სძინავთ ამ დროისთვის. ბიჭებს კი, მაგრამ არა ანას. ანა ვერ იძინებს, სანამ დედასაც დანოლილს არ დაიგულებს. რაღაც აუხსნელი შიში აქვს, როცა უკვე ყველა შინაა და შუქიც ჩაქრება, მხოლოდ მაშინდა ამოისუნთქებს მშვიდად და იძინებს.

მარგო „შვლის წუკრის ნაამბობს“ კითხულობს. ახსოვს დედის წაკითხული ყველა წინა-დადების ელფერი. პირველივე წინადადებაზე ყელში ბურთივით რაღაც აწვება. დედის ხშირად დალლილი ხმა, მისი სევდა მარგოს საკუთარ





სევდას უერთდება და გაორმაგებული, გაათ-მაგებული განცდითა და ტკივილით აღმოხდება:

„პანანა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრიყვა: ცუდ დროს დავობლდი. ტანზედ მაცვია პატარა, მოკლებენვიანი, თეთრის თვლებით მოწინწკლული თხელი ქათიბი. ჯერ რქები და კბილები არ ამომსვლია, ჩლიქებიც არ გამ-მაგრებია. გზადაკარგული დავდივარ. აი, დახე-დეთ ჩემს სისხლიანს ფეხსა, — ეს, წყლის და-სალევად რომ ჩავედი ხევში, მაშინ ვიტკინე... გული მიწუხს... გული... საბრალო დედაჩემი! მანამ დედა მყვანდა ცოცხალი, სულ ალერსში ვყვანდი: ძუძუს მანოვებდა, მიალერსებდა, მა-ფრთხილებდა. რაღა მეშველება მე საბრალოს ეხლა!“.

გრძნობს საკუთარი ბავშვებიც ისევე სულ-განაბული უსმენენ ამ ნამდვილზე ნამდვილ, უხანო, უსათლვრო ამბავს დედაშვილობისა და სიკეთისა, ბოროტებისა და დაუნდობლობისა, როგორც ადრე თავად და მისი და-ძმანი. ხან-დახან ასე ჰერნია მარგოს, რომ დედის სული ჩაუსახლდა და ის კითხულობს მის მაგივრად. წიგნში ტყუილად იხედება. ახსოვს ყოველი სი-ტყვა, რა რას მოსდევს. როგორც დედამისი, ისიც განსაკუთრებით უმახვილებს ყურადღე-ბას თანაგრძნობაზე და სინანულზე. ბედნიერი სურათების კითხვისას მარგოს ხმა მზეზე მო-ელვარე ნაკადულივით მწყობრად და საამოდ მოჩუხუებს, ხედავს, ბავშვები ერთმანეთს ულიმინან ნასიამოვნები ლიმილით და ფეხს ინ-აცვლებენ, უფრო მოხერხებულად რომ მოიკა-ლათონ. მარგოსაც მეტისმეტი სიამოვნებისგან ხშირად გრძელი მთქნარება აუტყდება. უნდა, რომ შეწყვიტოს მალე კითხვა და ამ მხიარულ, უზრუნველ განწყობაზე დაამთავროს, მაგრამ რა აზრი აქვს, ბავშვებმა ხომ მასავით კარ-გად იციან, რა ხდება შემდეგ გვერდზე. მათ თვალებში მაინც გამოკრთის სევდა და მოუთ-მენლობა. ხან უჯერებენ დედას და დაჲყვებიან მის ნებას და შეწყვეტენ კითხვას, ხანაც ველარ უძლებს მარგო მათ ყელგამოწეულ ვედრებას და აგრძელებს.

და მარგოც უხმობს მთელ თავის ოსტატო-ბას. ანა ხელს უყოფს მკლავში და აცახცახ-ებული ეკვრის დედას. ვალიკო პირდაღებუ-ლი და თვალცრემლიანი შეჲყურებს. მიშიკოს უკვე რა ხანია თვალი არ დაუხამაშებია, სახე შეფაველია და მრისხანება ანერია, როგორ გაიმეტეს!!!

მარგო დიდი ოჯახის დიასახლისია. როცა ქმარი საქართველოშია, ყოველდღე სტუმარი ჰყავთ სადილად. ხშირად ჩამოყავს თავისი „ბიზნეს პარტნიორები“; უნდა, თავისი მშობლი-ური ქალაქი, ქვეყანა მათაც გააცნოს. ისინიც კეთილი და უშურველი მასპინძლების შემხედ-

ვარე ხან მთელი კვირა რჩებიან. კი, მართალია არაფერი არ აკლიათ, მაგრამ სტუმარს დახ-ვედრა ხომ უნდა, გამასპინძლება, მოსვენება, ანგარიშის განევა. „ყმაწვილებმა არ იხმაურონ ზედმეტად, არ შეანუხონ უცხო სტუმარი“.

მარგოს ყველაზე მეტად გაუმართლა თავის ათ დედმამიშვილში. ზოგს ოჯახი არც ელირ-სა, ისე დაიღუპა სამამულო ომში. ზოგი დაჭ-რილი და გაუბედურებული დაბრუნდა იქიდან. ზოგს ქმარი აღარ ჰყავს და გაჭირვებით არჩენს ობლებს. ხშირად მიდის დედულებში და ისინიც ხშირად მოდიან მარგოსას. რომ ესტუმრებიან დისშვილები თუ ძმისშვილები, ყველას საუცხ-ოო სურნელოვანი საპნით დაბანინებს ხელებს, შემდეგ დააჭრის ფრჩხილებს, დასვამს, ასა-დილებს გემრიელად და შინაც რასმე გაატანს. იმ ღამით განსაკუთრებით მშვიდად სძინავს მარგოს. თუ გაიგებს, რომ ვინმეს უჭირს სამე-ზობლოში ან სანათესავოში, რაცა აქვს გასცემს უშურველად. არ დაელოდება არავის, როდის შეიკრიბებიან და მოითათბირებენ დახმარებას.

ნლების შემდეგ, როცა მარგო ცოცხალი აღარაა, ხშირად მისი მეზობელი კარიდან გა-მოდის ერთი მთლად შავებში ჩაცმული, მაგრამ ძალიან ნათელსახიანი და მეტყველთვალებიანი სირიკა ბებო. ხშირად სიცივეშიც ასე დგას და ელოდება, როდის გაივლინ სკოლისკენ მიმა-ვალი მარგოს შვილიშვილები, ანას გოგოები. წუთით გააჩერებს, მოეფერება და მერე აცახ-ცახებული ხელით რკინის მანეთიანს ჩაუდებს უფროსს: „მე თქვენი ბებო ძალიან მიყვარდა. ეს ჩემ სახელზე რამე ტკბილეული მიირთვით“. ასე ცდილობს კარგი მეზობლის და მეგობრის პატივისცემას შვილმკვდარი მოხუცებული.

ხშირად შეუ საქმეში გართულს, მარგოს, ხან საპნიანი ხელი გაუჩერდება და თვალი უშტერ-დება, ხან მატყლს რომ ართავს და თითისტარს აბზიალებს, ის თითისტარი გაუსხლტება... სუნი ესმის ხევის პირას, ბუჩქარში ამოსული იების, გაზაფხულზე პირველად რომ გასწევდა ხოლმე მათ მოსაძებნად. სხვა ბევრი ყვაილები არ იცოდა მარგომ... ია, ვარდი, ყაყაჩო, ენძე-ლა... როგორც იმ გათვლაშია. ისე, გვირილას-აც დაგიხატავდა და ზამბახიც ენახა წიგნში. მა-გრამ ეს ია დედის რძესავით შეისისხლხორცა. ია არის მისთვის პოეზია, გახაფხული, დედაშ-ვილობა, გაფრთხილება და რა თქმა უნდა, ვა-ჟა-ფშაველა. ხევის პირის წვეტიანი რიყის ქვები ფეხსაცმლის თხელ ძირში ატანენ, სიმწრისგან ტუჩები ეგრიხება პატარა გოგოს. მაინც არ იშ-ლის, მიდის იქ, სადაც პირველი იები ეგულება. თითისტარი ბზრიალებს. ჩანს, რომ ყმაწვილები გაკვეთილების მომზადებას ასრულებენ. აღარ უნდა დიდხანს ალოდინოს. გადაახვევს თავის საქმეს და დგება. ეს მოძრაობა ანას არ გამოე-



პარება და მთელი გულმოდგინებით ცდილობს, დროზე და კარგად დაასრულოს მეცადინეობა.

* * *

ანამ სამსახურის კარი გამოიხურა. შინ მიიჩქარის, სადაც ორი „ლაპუა ბარტყი“ ელოდება. ასე ეძახის შვილებს მისი მეუღლე. რაც არ უნდა ჩქარობდეს, თავს უფლებას აძლევს, ის ორი წუთი ძველ ბალში გადარტყით არ გაიაროს. ტკბება ამ ორიოდე წუთით და მერე ისევ ჩქარი ნაბიჯით მირბის, მირბის. დღეს „სახელგამში“ უნდა შევიდეს, მთელი კვირაა, არ შეუხედავს. სასწრაფოდ თვალს ავლებს თაროებს, ახალი ისეთი არაფერია, მაგრამ დაიცა, ერთმა წიგნის ყდამ მიიქცია მისი ყურადღება; „გულს ვუძღვნი ბავშვებს!“ ყიდულობს. იმავე დღეს პირველ გვერდზე ჩნდება წარწერა „სულს ვუძღვნი ჩემს შვილებს!“, თარილი, ხელმოწერა. ესეც მიემატა იმ წიგნებს, რასაც სიხარულსიგან თაებრუდახვეული – „ფრთაშესხმული მოვქროდიო“ – ასე ამბობდა ხოლმე სულ, მოუტანდა თავის გოგოებს. „ჩემს კუდრაჭებს, ჩემს შვილიკოებს, ჩემს გოგონებს, ჩემს გოგოცუნებს, ჩემს...“ რა სიტყვებით აღარ ეფერებოდა მაშინაც, როცა სამახსოვრო წარწერას უტოვებდა...

რვას თუ ცხრას თხუთმეტი წუთი რომ აკლია „ცეროდენას ეკრანი“ იწყება. ანა გოგოებს მოუხმობს თავისთან. ერთად უყურებენ. ამასაც და კიდევ ყოველ პარასკევს „სტუმრად ზღაპართან“. ბედნიერია ანა ამ დროს. შვილები გიუდებიან დედაზე. „ასე დედაზე მიწებებული ბავშვები მე არსად მინახავსო“, ხშირად ამბობს ანას დედამთილი.

ანა ცდილობს დედამისივით რაც არ უნდა დაღლილი იყოს, მაინც გამონახოს დრო და ყოველ საღამოს რამე წაუკითხოს ან მოუყევს შვილებს. რამდენჯერ მიმსხდარან ამ მწვანედ შეღებილ რადიატორთან. პატარა გოგო ხშირად კალთაში უზის, თავი აქვს დედაზე მშვიდად, ნებიერად მიყრდნობილი და ოდნავ შეცვლილი ხმით ჩაესმის დედის ხმა, თითქოს პირდაპირ დედის გულიდან ამომავალი:

„წვიმა სვეტ-სვეტად ჩამოდგა გაღმა სერებზე, მალე ჩვენს გარეშემოც ხის ფოთლებსა და ნამეტნავად ბუერებზე დაიწყო ტლაშა-ტლუში. ისეთი ხმაურობა დადგა, თითქოს ტყე და მთა-ბარი იქცეოდა. ყველა სულდგმულმა ხმა გაკმინდა: ჩიტები ვეღარ პედავდენ ჭიკჭიკს, ცელქობას... საძაგელი ჩხიკვი, რომელიც ისე მაშინებდა წინად, ეხლა სრულებით არ მეჩვენა ისე საზარელი; დამჯდარიყო წიფლის შიმელაზე, მიეხუჭა თვალები და ნისკარტიდამ ცინგლი ჩამოსდიოდა, მხრები საცოდავად ჩამოეშვა. იმის ახლოს იჯდა გულწითელი ჩიტი,

„წიფლის-ჩიტა“ უწყინარი, უვნებელი, ღაბუა. მშვენივრად მიეხუჭა თვალები! მოფრინდა „წიპრანა“ და „წრიპ, წრიპ!“ შესძახა. ჩხიკვს შეეშინდა, გაახილა თვალები, გაუსკდა გული, მიასკდა ხან იქით, ხან აქეთ, უშნო „ჩხიი, ჩხიი!“ ძახილით. მე გამეცინა. წინათ ყველაზედ ღონიერი ის მეგონა, ეხლა კი გავიგე, რაც შვილი ბრძანებულა“.

ეს არის ძალიან ბედნიერი წუთები... ანა მოწმეა იმ სასწაულის, რაც თავადაც გამოსცადა ბავშვობაში; აი, ასე მისხალ-მოსხალ, ფურცელ-ფურცელ, თითქოსდა უჩინრად და უხილავად პატარების გულები ივსება სიბრალულით, თანაგრძნობითა და სიყვარულით. მათ თვალებზე ცრემლს რომ ხედავს, გული ეწურება, მაგრამ მაინც უხარია. ორივეს გულში იკრავს, მაგრად, მაგრად. „აბა, როგორ ამბობს შვლის ნუკრი, „შეკუნტრუშდა დედაჩემი“ და...“ გოგოები ამთავრებენ, ერთმანეთს არ აცდიან „შეკუნტრუშდი მეც“. უნდა, კარგის გახსენებით დაამთავროს ხშირად ნალვლიანი კითხვის სეანსი.

მეცადინეობენ გოგოები. მშობლები სამსხურში არიან. ამ დროს კიბეზე ხმა ისმის. დედა ამორბის. ანა გახარებულია, წამალი რომელიც აფთიაქში არ აქვთ, სახლში ეგულება, შემორჩენილი. ისე ამორბის, ორ საფეხურს ერთად ახტება. უკვე იმედმიცემული ხალხი გარეთ, მანქანაში ელოდება. ეს პირველად არ ხდება. შვილებმა იციან რას წინავს ეს მოულოდნელი ვიზიტები და კითხვებს აღარ უსვამენ. ჩქარობს, მაგრამ მაინც გადაკოცნის ორივეს, თითქოს მთელი კვირაა არ უნახავს შვილები და გახარებული მალევე ისევ გარბის. „დედა კეთილია“, ამბობს უფროსი. „ჩემი დედა უფრო კეთილია“, ამბობს უმცროსი და ინვეცს უფროსს შეჯიბრში.

მერე უკვე, ცოტა მოზრდილები, სახლის წიგნებით აღარ კმაყოფილდებიან. „ბიბლიოთეკას დღეს“ ორივენი გაავსებენ პარკებს წიგნებით და გასწევენ. სამ ან ოთხ ბიბლიოთეკას სტუმრობენ და ისევ დატვირთულები ბრუნდებიან. ანას გოგოები მოვიდნენო, იქაც ღიმილით ხვდებიან დებს და ხშირად მათ-თვის გადადებულ წიგნებსაც ახვედრებენ.

– დედა, ძალიან იღლები. ცოტა შეღავათით გააკეთე საქმე. ხომ ხედავ, რომ ძველებურად აღარ შეგიძლია, – ხშირად ეტყვის დედას დაღონებული ანა.

– ეპჰ, წუ გეშინია, შვილო. ხომ გახსოვს რა სუფთა ჰაერზე გავიზარდე. რიყის ქვასავით მაგარი ვარ და იასი არ იყოს, ჩემი მფარველები მეცა მყავს.

2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერი.





ლანა
განვითი

תְּבִ�ְמָנָה

ମୁଦ୍ରଣ ପିନ୍ଡିଲୋ

ნახე, შემოღვიმამ გაშალა ფარდაგი
გრძნობების მოსაცლის მოსწყურდა ბალაგი....

ნისლების მოსვლამდე უნდა მოილხინოს,
მერე კი დათვრის და ისევ მოიჩინოს.

ივსება ფიალა წარსულის ტკივილით,
ალავროს მივიღებ მომწარო ღიმილით,

სულში ჩამელვრები უკურნებელ სენად,
უნდა მაპატიო. – ვარ გაქციი ჩიმარ...

զոնմեց րոմ ჩամկօդքի պատճես ხելլեծեց,
զոնմեց, ջնջոմոց տձնուու,
ჩեմսաս րոմ ուղարկուածքը դարձեծէ,
ցշուած րոմ ցամունքուածքը զոնմեց...
Ուրեմնած րոմ առ մագանքուածքը մերեց,
լումուու առ մաշրուածքը ուսցեց...
ხելլի ամուսնուածքը ծոլուու,
Հովհանն ցամունքուածքը ում պահեց...

ვინმე რომ ჩამკიდებდეს ხელებს,
ვინმე, უზომოთ თბილი...

თელავი ჩვენი ქალაქის

ძვირფასი! თელავი ჩვენი ქალაქია!
ბავშვობას გვახსენებს ბებერი ჭადარი,
ბატონის წყაროზეც ისევ ირეკლება
ოთხი ტიტლიკანა ფეხის ანბაჭდი.

ლვთაების აღმართზე ლოცვა ჩვენეული,
წვიმაში უქოლგოდ სიცილის მაგია,
ყადორის გორაზე ლექსით ფორიაქი,
სახლში ვაგუნინებთ! – მუდმივი დარდა..

ერეკლეს გალავნის ზამთრის პეიზაჟი,
თეატრთან ნაპოვნი ლამაზი გოშია.
ფიქრებში ვაცოცხლებთ, გულში ვეფერებით,
თელავის გარეშე სიცოცხლე გროშია.

სულ გვინდა, ვაპირებთ, თითქოს ვერზადებით, მისი სიყვარული – სხვა რა გვაბადია?! ნუთუ დავბრუნდებით, ნუთუ დავბრუნდებით? ძერიფასო, თელავი ჩვენი ქალაქია...

ახლა წარსულში მეფიქრები და სევდით ვდევნი,
ყველა იმ ნატერას, უშენოდ რომ არაფერია.
რა უცნაურად და ადვილად მე შენში შევცდი,
შენს იქთ უკვე, სხვა გრძნობების სანახებია...

* * *

შენგან რა მინდა იცი? — გული, სიყვარულით
სავსე.
ტკივილს მიყუჩებდეს უმალ, მხოლოდ გალიმება
თბილი.
უნდა გენდობოდე ყველგან, არსად არ მომტეხო
მხარი.
შენი მზე უნდა მერქვას, სულის მხურვალე სხივი.
კიდევ რა მინდა, გითხრა? — ერთი პატარა ბუდე.
იქ, სადაც ავი თვალი ვერაფერსაც ვერ გვავწება.
გაგილამაზებ დღეებს, გაგიცისკროვნებ ღამეს,
ერთი მეოცნებე გოგო, საწუთოს შენთან
აყლოს...



უსიყვარულოფ...

აგვისტოს შვიდი...
მანდ, ალბათ, ცხელა, ჭრიჭინები ქორწილს მართავენ,
შენ ილიმი და გედარდება წლების მატება,
ჩაშავებული უპეები სიზმრებს ართავენ,
კოცნა გნეურია მონატრებულ, მიმქრალ ბაგეთა...

დასასრული

35

ისევ დაბნელდა, გული ჩემი დაღლილა როგორ,
ლიმილებს შორის მანძილია დღეების მზომი,
მრუმე ცხოვრება აჩქარდა და მღვრიე დინება
თავგ ზააბნეულ საუკუნეს უბიძგებს ცდომილს.
უტევს ბოროტი, მოსულელო, უვიცი სული
არ გინდა, მაგრამ ემსავესები რალაცით დემონს,
ალარაფერი ეშველება ცოდვილ სამყაროს
და გადარჩენას ანგელოზიც ტყუილად ჩემობს...



* * *

მე აღარ გნახავ, არა იმიტომ, რომ შემოდგომას გასცვივდა ფრთები,
რომ გაზაფხულის წვიმების სეზონს გავაყოლეთ უნაზესი მუსიკა სულის
და არც იმიტომ, რომ ზაფხულმა მოგვატარა გრძნობით გამთბარი უგრძესი გზები,
არა იმიტომ, თითქოს რომ ხარ და მაინც, გელი...
მე ვედარ გნახავ, იმიტომ რომ მეშინია უშენოდ სუნთქვის,
რომ ჩემი ხარ და უსასრულო ტყივილად რჩები,
რომ გულქვაობად შემომიჩნდა, არ ვამხილო სურვილი ურჩის,
რომ სიყვარულმა მაჯობა და აღარსად მიცდის.

ოჯახობანა

ჩვენ ახლა, ოჯახობანა უნდა ვითამაშოთ!
არც შენ იქნები ნამდვილი ქმარი
და არც მე ცოლი.
მხოლოდ მშობლები – დედა და მამა, მზრუნველები.
შენ მოიტან და მე გავაკეთებ,
ქვის კერიაზე ბალახის წვნანს.
გავამზეურებ ჩვენი შვილების სიზმარეთში დანამულ ბალიშს.
შემოვუკეცავ შიშს საბნის კუთხეს და მივუწევები გახელილ თვალებს.
იქნებ, თავიდან ვასნავლო რწმენა – შენი და ჩემი.
დაგელოდები განთიადამდე და ვუდარაჯებ ჩვენი სახლის უკედლო ნაპირს.
გულში ჩაგიკრავ გაბზარული იმედის ცრემლად
და დაგაძინებ სივშეყინული ოცნების ფრთაზე.
იქნებ... თავიდან დავიწყოთ ანით,
იქნებ, ნამდვილი აღმოჩნდეს კერა...

ოლქ, №4, 2020





ლეილა ბაგრატიონი (ბაბადიში)

მ ს ი მ ა რ ა მ უ რ თ ა ნ

კავკასიონი
იუ ზეირჭი,
ისეთი, როგორ –
ვაჟას ლექსია,
შოტის სილურჭეა,
როგა წყვფირჭი,
ლეკის ჭარივით,
შემოესია.

ლეილა ბაგრატიონი (ბაბადიში)

ივერიის მზე

შენ წინამურთან მოგკლეს, ილია, –
რა სირცხვილია!
რა გესლი ჰქონდათ,
ნეტავ, ესოდენ,
რომ საქართველოს
გულში ესროდნენ?.
შუბლი გაგიპეს,
ნეტავი, რისთვის? –
გვირგვინის ღირსი.
თუმც, წინამურთან, წამებული
წმინდანი, – დიდი,
კვლავ, ივერიის
მარადიულ მზედ
ამობრნენდა...

ახლაც, სტრიქონებს ალერსით ვეინძავ,
შიგ ჩაგინანი მზე და ვარდები,
ჩემგან, ყოველთვის, მშობელო მინავ,
ზღვა სიყვარულით დაიბარდნები!

ალაზნის ველი

ვერცხლის ჩანჩქერი დიოდა ციდან,
ნისლის საცერო რძისფერ ნამს ცრიდა.
კავკასიონზე ენთო კოცონი,
აბრდლვიალებდა ნისლებს მოწოლილს.
თელავს ფერადი წვიმა აწვიმდა,
შორიდან ჰგავდა ბუდეს არწივთა.
გომბორის მთასთან, მზისა ხელებით,
იხატებოდნენ ცისარტყელები.
ზღაპრულ უფლისწულს ჰგავდა კახეთი, –
თავს ედგა ოქროს შარავანდედი.

ჩემო კახეთო

ჩემო კახეთო, როგორ დაგხატო,
როგორ გიმლერო, ისე, ლამაზად,
რომ ეკადრება უფლის სატახტო –
ლურჯ მთებს, ველ-მინდვრებს,
ზერებს და ალაზანს.

ჭიმზი

ჩვენი ლაუვარდი მზიანობს,
ვარდს უხარია ვარდობა,
გული ხმას უწყობს იადონს, –
თითქოს, არასდროს დარდობდა.

რომ ეკადრება ერეკლეს თელავს,
ბებერ შუამთას, გრემს და ალავერდს,
სადაც ურიცხვი მლოცველი შევა
და მამულისთვის სანთლებს აანთებს.

სულ, ბრძოლის ველზე ვიდოდით,
ველარ ვიშუშებთ იარებს,
საქართველოში, მშვიდობის,
დროშა ვერ ავაფრიალეთ.

ჩემთვის, ცის კარი შენით იღება,
შენით იწყება – მთელი სამყარო,
მარად მწყურია: ლექსი, სიმღერა,
ფანტელებივით გადმოგაყარო.

ქვეყანა, ოქროს საწმისის,
ოქროს აკვნების საბადო –



ლმერთმა გვიბოძა და იცის,
რომ მას, არასდროს, არ დავთმობთ.

თავისუფლება გვირდება,
სიმღერა – ბრძოლის მაგირ;
ჩემო სამშობლო, დიდება,
დიდება, მრავალუამიერ!..

მას აკისრია,
ამ ქვეყანაზე, ყველასა გვაქვს –
ჩვენი მისია
და... ეს სამყარო – ყველასი და...
არავისია...

ოვაასნლოვანი ჭადანი

რომ დევნის ჭადარი, –
ბუმბერაზი და თამამი,
იგი, ტოლი და მომსწრეა,
პირმშვენიერი თამარის.
ჭადარს ბევრი რამ სმენია, –
ჩვენი მამულის ავ-კარგი,
აյ, მასპინძლობდა კახეთი:
ილიასა და აკაკის.
როცა უნახაეს დიდ მგოსანს –
რგაასწლოანი ჭადარი,
უთქვამს – მაღლიან მინაზე,
სადაც, ხე ხარობს ამგვარი,
მნამს, რომ სადარი: დავითის,
პატარა კახის, თამარის,
სახელოვანი ქართველი
დაიბადება, – მრავალი...

ჩვენი მისია

ზეცა და მინა, ზღვა და მთები –
ირგვლივ ჩვენია.
ღმერთს, ყველაფერი, სიცოცხლისთვის
გაუჩინია, –
ცოტა შენია, ცოტა – ჩემი,
ცოტაც სხვისია,
ზოგს კი ჰგონია, რასაც ხედავს,
მხოლოდ, მისია...
კასმიურ სივრცის –
სასარული და დასაწყისია,
რომ დედამინის ლერძის როლი

ମୋହନ କାର୍ତ୍ତିକା

თელაველ მანდილოსნებს

თელავის ზეცა,
ველი ალაზნის,
ნაქარგი ლურჯით
და მენამულით,
იმ დღეს, საოცრად,
იყო ლამაზი, —
ფარშევანგს ჰეგავდა
ჩემი მამული.
კავკასიონი
იყო ზვიადი,
ისეთი, როგორც —
ვაჟას ლექსია,
მთების სილურჯეს,
როცა წყვდიადი,
ლეკის ჯარივით,
შემოესია.
მანდილოსნები
დასხდნენ სუფრასთან,
დასხდნენ ლამაზად
და მოკრძალებით,
მათში სინაზე
ვცანი მუზათა
და ძლიერება
ამორძალების.
პრძენი, ამაყი,
სიტყვათამამი,
გამორჩეული —
ჭირშიც და ლინიშიც,
სუფრას ჰქარგავდა
მოდგმა თამარის, —
მისი ჯილაგი
და მისი ჯიში.





გიორგი შარვაშიძე

სამინისტრო

სახლის წამონა და ისე გააგრძელოს წევა. მისთვის ამ წევის უკუ აფარებული არსებობდა, არა უქიმის ფარიგება და არა მეცნიერების რჩევა, და აღარ ანდორომედა. ეს წევი მისთვის მთელი წეოვნება იყო, ამ წევისთვის მთელი თავის სიურჯელის დასთინიშვნა. ხელების კანკალება თითქოს წოდები გადასახარა. აღარ ისეთ ლოგოგვას გრძნობს ალკოჰოლისკენ. ამ წევის მისთვის სიგარეტი იყო ალკოჰოლიურ და ყოველგვარი ზეფნიერება.

გორგი შარვაშიძე

სახლის წამონა და ისე გააგრძელოს წევა. მისთვის ამ წევის უკუ აფარებული არსებობდა, არა უქიმის ფარიგება და არა მეცნიერების რჩევა, და აღარ ანდორომედა. ეს წევი მისთვის მთელი წეოვნება იყო, ამ წევისთვის მთელი თავის სიურჯელის დასთინიშვნა. ხელების კანკალება თითქოს წოდები გადასახარა. აღარ ისეთ ლოგოგვას გრძნობს ალკოჰოლისკენ. ამ წევის მისთვის სიგარეტი იყო ალკოჰოლიურ და ყოველგვარი ზეფნიერება.

ანდროგედა

ორი კვირაა წვეთი არაფერი ჩასვლია პირში. ყელი ისე გაუშრა, ლაპარაკსაც კი უშლის. ხმაც სულ შეეცვალა, უფრო ჩახრინული გაუხდა, უფრო სისინა. იძულებულია იშვიათად დაილაპარაკოს, რადგან ტანჯვაა მისთვის, მისი ყელისთვის ყოველი ბგერის გამოცემა. არადა, როგორ მაღამოსავით მოეცხობოდა ახლა ერთი ყლუპი რაიმე სასმელი. თუნდ ლუდი იყოს, უკვე აღარ დაეძებს. ოლონდ როგორმე დაიამოს, დაინწყაროს ნერვები. გრძნობს, სხეული ისე ველარ ემირჩილება, როგორც მანამდე. ხელების კანკალმაც უმატა. თუ ვინმე ენვევა, ცდილობს ხელები როგორმე დამალოს, რომ კანკალი ვერ შენიშნონ.

ოო, რას არ მისცემდა ახლა ერთ ყლუპ სასმელში.

როგორმე უნდა ამოიგდოს თავიდან, სხვა რა-მეზე იფიქროს, მაგრამ ვერც ამას ახერხებს. გონება თითქმის სულ აერია, ველარ გამოაქვს საღი აზრი.

ერთი წლის წინ, ერთ გოგონას გაეცნო. საერთოდ არ უყვარდა ქალებთან დიდი ხანი ურთიერთობა, მაგრამ მან ისე მიზიდა, უმისიოდ ველარ სტელებდა ვერც ერთ წევთს. ვერ მიმხვდარიყო, რატომ ეწეოდა გული მისკენ. ანდრომედას შემდეგ ხომ იშვიათად გაეკარებოდა ვისმეს და ისიც მაშინვე მიავინყდებოდა ხოლმე. მაგრამ ამ გოგონამ მთლად დაიპყრო მისი სხეული, მისი სული. საოცრად გადამდები სიცილი იცოდა და მაშინვე გაურბენდა გონებაში, რომ ანდრომედასაც ასეთივე სიცილი უყვარდა. კარგა ხანს ცხოვრობდნენ ერთად გოგოს ბინაში, სანამ ერთ მშვენიერ დღეს...

ოო, რამ გაახსენა კვლავ დალევა. ყელი გამოეფიტა, წყალი ვერაფერს შეველის. ის კი არა და, საერთოდ უხშობს საყლაპავს. სუნთქვა ეკვრის, თვალები ებერება, ლამის დაიხრიოს. სახე ოფლის წინწკლებით ეფარება. ხენეშის, ნამოახველებს. შემდეგ ხანგრძლივი ხველა უვარდება. ბოლოს ჭიქაში ჩარჩენილ წყალს მაინც სცლის. ხველამ თითქოს გადაუარა. აკანკალებული ხელით სახიდან ოფლს იწმენდს. სიგარეტის კოლოფს დასწვდა. ცარიელია. ნერვულად

ჭმუჭნის და იქავე, მაგიდაზე ისვრის, რომელიც სიგარეტის ნამწვითაა საგას.

სამი წელია სიგარეტი არ მოუწევია. არც უნდებოდა და არც ახსენდებოდა, თუ როდისმე სიგარეტს ეწეოდა. ანდრომედასთვის ფიცი ჰქონდა მიცემული, რომ სიგარეტს არასდროს მოწვდება და ასრულებდა კიდეც ამ ფიცს. მით უმეტეს ფიცის შენახვით მის ხსნვნას სცემდა პატივს. იქნებ ცოცხალი რომ დარჩენილიყო, მაშინვე დაერღვია ფიცი და განეგრძი სიგარეტის წევა... ამ სამი დღის წინ კი სულ ერთიანად აიტანა ცახცახმა. ალკოჰოლიან სასმელს ნატრობდა, მაგრამ ხელი ვერ მოუწვდებოდა. მისი სახლიდან კარგა მანძილით იყო მოშორებული სასადილო, მაღაზია კი – უფრო შორსაც. ექიმმა კი საერთოდ აუკრძალა ალკოჰოლიანი სასმელების დალევაც და სიცივეში სიარულიც. როგორც იქნა დაიოცა ნერვიული ცახცახი. ქუჩაში გამოვიდა, იქნებ სუფთა ჰაერმა მშველოსო. თოვას უკვე გადაედო. მზის სხივები მერთალად აშუქებდნენ არემარეს და თოვლისთვის ვერაფერი დაეკლოთ. იქავე ჯისური შენიშნა, რომლის ვიტრინიდანაც გამომწვევად იცქირებოდნენ სიგარეტის კოლოფები. მიხედა, ახლა თუ რამეს შეეძლო მისი დაწყარება, სიგარეტს შეეძლო. თანაც ექიმს სიგარეტზე კრინტიც არ დაუძრავს, ესე იგი შეუძლია მონიოს. ისეთი სისწრაფით დაუგდო ფული დაბლზე და ისე იტაკა სიგარეტის კოლოფი პიჯაკის ჯიბეში, რომ გამყიდველმა ღიმილი ვერ შეიკავა. სასწრაფოდ ავიდა ბინაში. კარი ჯერ მიხურულიც არ ჰქონდა, რომ კოლოფი უკვე ხელში ეკავა. უცერად გულში მწვავე ტკივილი შეიგრძნო. გაახსენდა მიცემული ფიცი.

– თუ ჩემი სიყვარული გაქვს, საერთოდ ნულარ მოსწრე სიგარეტს!

– ღლონდ შენ მყავდე და ახლოს არ გავეკარები!

– ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. მოურჩენელი სენი სჭირდა. ექიმებმაც ადრევე აიღეს ხელი.

გაახსენდა და იქავე, კარებთან მიდგმულ სანაგვე ყუთში ჩაუძახა. საწოლზე დაეგდო. თვალებით ჭერს





დაუწყოდ უაზროდ ცქერა, შემდეგ კედელს ჩამოაყოლა და გაცრეცილ სურათთან შეაჩერა.

„რამდენი ხანია ალარ გამხსენებიხარ, შე საბრალოვ. შენ კი არა, მე უნდა ვინვე შენს ადგილზე ცივ სამარეში. მე უნდა მეღოს გულზე მძიმე ლოდი... ბედნიერებას გპირდებოდი, უბედურება კი მოგიტანე... გთხოვ მაპატიო, მომიტევო კველაფერი...“

...საახალწლო ზეიმზე იყო მიპატიუებული მეგობრებთან ერთად. მათ მაგიდასთან ერთი ქალშვილი ალმოჩნდა მხოლოდ, რომელიც არც ერთი მისი მეგობრის ნაცნობი არ იყო.

თავაზიანად გაეცენენ.

– აბა, თუ გამოიცნობთ ჩემს სახელს, – თავიდანვე ხუმრობა სცადა გოგონამ.

– ხათუნა!

– თე!

– ლიკა!

ერთმანეთს არ აცდიან პოპულარული სახელების წამოძახებას.

– არა, ვერც ერთმა ვერ გამოიცანით! არც თუ ისე პოპულარულია ჩემი სახელი, – გაელიმა, – ჩემი სახელია ანდრომედა!

კვლავ ხუმრობა ეგონათ.

ასტრონომიის გაკვეთილი წარმოუდგა თვალწინ. მასნავლებელი, გამზდარი, სათვალებიანი ახალგაზრდა საოცრად მიმზიდველად ყვება. ისე საინტერესოდ გადმოსცემს გაკვეთილს, რომ ბავშვები სულგანაბულნი უსმენენ.

„დედამიწის რომელ მხარეშიც არ უნდა ვიმყოფებოდეთ, უღრუბლო ღამეს მეკაფიოდ ჩანს ცაზე განლაგებული უამრავი მნათობი. ათასწლეულების განმავლობაში სჯეროდათ მცდარი აზრის, რომ ცის თაღი მართლა არსებოდა და მნათობები ამ თაღზე იყვნენ მიმაგრებულნი. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნეში პირველად მოხერხდა იმის დადგენა, რომ ვარსკვლავები ჩვენგან უზარმაზარი და სხვადასხვა მანძილით არიან დაშორებულნი. ცის თაღზე უბრალო თვალით ხილული დაახლოებით ექვსი ათასი ვარსკვლავია გაბნეული.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასწლეულით ადრე ცის არები, რომლებზედაც ვარსკვლავები დამასასიათებელ ფიგურებს ქმნიან, ცალკეულ თანავარსკვლავედებად გაანაწილეს და შესაფერისი სახელებიც შეარქევს. საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის გადაწყვეტილებით დადგენილია ოთხმოცდარვა თანავარსკვლავედი. ორმოცდაშვიდი მათგანის ნათლობის ასაკი დაახლოებით ოთხიათასუუთასი წელია, რომლებიც საბერძნეთიდან მუდამ კარგად ჩანდა და უმრავლესობის სახელებიც ბერძნული მითოლოგიდანაა აღლული. უძველესი თანავარსკვლავედებია: დიდი დათვი, პატარა დათვი, მშვილდოსნი, ქალწული, ორიონი, ჰერკულესი, ვეშაპი, კეფევსი, კასიოპეა, ანდრომედა...“

ზეიმის შემდეგ ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ვერ დაეჯერებინა, რომ ნამდვილად ეს სახელი ერქვა, სანამ ერთ დღისითაც პასპორტი არ უჩვენა. თავიდან

ეუცხოვებოდა ანდრომედას დაძახება, მაგრამ თანდათან ეს სახელი ყველაზე ძვირფასი და მახლობელი შეიქმნა მისთვის.

...ასტრონომიის მასნავლებელი თითქოს შორს, უსასრულობაში იხედება და სულგანაბულ ბავშვებს უაბობს საოცარ ამბებს.

„ანდრომედა დიდ თანავარსკვლავედებს მიეკუთვნება. ნათელ, უმთვარო ღამეში ამ თანავარსკვლავედში ასამდე ვარსკვლავი დაითვლება. მათგან შევიდი მეოთხე ვარსკვლავიერი სიდიდისაა. ყველაზე კაშკაშა მხოლოდ სამია. ისინი განლაგებულნი არიან იღნავ მოხროლ რკალად და ქმნიან დამახასიათებელ გეომეტრიულ ფიგურას – ანდრომედას თანავარსკვლავედს. თუ მცირე ვარსკვლავებსაც მივუმატებთ, შეიძლება წარმოვიდგინოთ ის ფიგურა, რასაც ძველ რკებზე ხატავდნენ: ახალგაზრდა ქალიშვილი, მეფის ასული, მშვენიერი ანდრომედა, რომელსაც ხელები გაუწვდია, თითქოს რაიმე დახმარების მიღების მოლოდინზეაოთ...“

სურათს გამტერებული მისჩერებოდა. უცებრალაც გაახსენდა, გველნაკენივით წამოვარდა საწოლიდან და ოთახში რაღაცას დაუწყო ძებნა. ირგვლივ მიყარ-მოყარა ყველაფერი, მაგრამ რასაც ძებდა ვერ იპოვნა. საწოლზე ჩამოჯდა. მძიმედ სუნთქვავდა. თავი ხელისგულებში მოიქცია. მხრები აუცახცახდა. ვერ მიხვდებოდით, ტიროდა თუ რა მოსდიოდა. „ჯანდაბას ყველას თავი, მხოლოდ ერთ ლერს მოვწევ.“ კარამდე გაჭირვებით მილასლასდა. ნავის ყუთიდან სიგარეტის კოლოფი ამოქეება და ხელის კანკალით შემოხსნა გამჭვირვალე ქალალდი. სანთებელსა დაუწყო ძებნა. ძლივს მიაგნო კარადის რომელილაც კუთხებში მიგდებული. დაავიწყდა, რომ დასატუმბი იყო და რამდენჯერმე ნერვიულად ააჩხა-აკუნა. გაბრაზებულმა შორს მოისროლა და ასანთის კოლოფი მოძებნა. დიდის გაჭირვებით მოუკიდა სიგარეტს. ღრმად ჩაისუნთქა, წამოახველა, მაგრამ ამ ხელას უკვე დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. სიგარეტის ბოლი მისთვის უკვე სასიამოვნოც კი იყო. იგრძნო, როგორ აეგსო ფილტვები ბოლით და მიხვდა რა ძლიერ მონატრებოდა სიგარეტი. ნაფასი ისე დაარტყა, თითქოს ერთი ჩასუნთქვით ცდილობს მთელი სიგარეტის მონევასო. საწოლზე წამოწვა და ისე გააგრძელა წევა. მისთვის ამ წუთში უკვე აღარაფერი არსებობდა, არც ექიმის დარიგება და არც მეგობრების რჩევა, და აღარც ანდრომედა. ეს წუთი მისთვის მთელი ცხოვრება იყო, ამ წუთისთვის მთელ თავის სიცოცხლეს დასთმობდა. ხელების კანკალმაც თითქოს ცოტათი გადაუარა. აღარც ისეთ ლტოლვას გრძნობს ალკოჰოლისკენ. ამ წუთს მისთვის სიგარეტი იყო ალკოჰოლიც და ყოველგვარი ბედნიერებაც.

მაშინ იფიქრა, მხოლოდ ერთი ლერი მოენია, მაგრამ რაკი ერთხელ შესდგები ცოდვის გზაზე, ძნელია უკან დაბრუნდე. მას შემდეგ ლვინის მაგივრად სიგარეტში იხრჩობს თავს. ასე თუ ისე, სიგარეტი ცოტათი მანც უხშობს ნერვებს.

დღეს კი სულ ერთიანად აიტანა წყურვილმა.





თვალწინ სულ ღვინო ელანდება. კარადა გამოხსნა, იქნებ ბოთლში იყოს რამე ძველი შემორჩენილი... თუნდაც ერთი ჭიქა, თუნდაც ერთი ყლუპი... მხოლოდ როგორმე გაასველებინა პირი და მერე თუნდ მოკვდეს.

მაინც რა არის მისი სიცოცხლე. რისი გულისთვის ცოცხლობს, ვისი გულისთვის. ამ სამი წლის წინ კიდევ შეიძლებოდა სიცოცხლეზე ფიქრი. თითქოს არაფერი ემუქრებოდა მათ ბედნიერებას, მაგრამ მუხთალმა ბედისწერამ როდი დაინდო მათი სიყვარული. მოულოდნელად გახდა ავად და სულ უფრო და უფრო იპყრობდა მძიმე სენი ამ ერთ დროს სიცოცხლით სავსე გოგონას. ერთიანად გახდა, იშვიათად თუ გადაურბენდა სახეზე ძლივს შესამჩნევი ლიმილი. საავადმყოფოდან რომ გამოწერეს, ატყუებდნენ, საშიში აღარაფერია, რამდენიმე დღეც და უკვე შეგეძლება ფეხზე სიარულიო. მაგრამ ის თითქოს ყველაფერს მიმხვდარიყო. სულ იმას ოცნებოდა, ნეტავი გაზაფხულამდე მაცოცხლა, რომ ჩემი ხელით დავკრიფი ყვავილებით.

უცნაურ ბედზე ყოფილა დაბადებული უცნაური სახელის მეონე ანდრომედა.

თოჯინები უყვარდა საოცრად. განსაკუთრებით ერთი ცისვერკაბიანი და წითელბერეტიანი თოჯინა ჰყავდა გამორჩეული. დაისამდა საწოლის წინ და უცქეროდა ნაღვლიანი თვალებით. ფანჯარასთან გადაატანინა საწოლი, გაზაფხულის მოახლოვებას აქ უკეთ ვიგრძნობო. წამოჯდებოდა საწოლში, ხელში თავისი საყვარელი თოჯინა ჰყავდა ჩაბლუჯული და გაჰყურებდა სივრცეს. გაზაფხულის სუნთქვა კი არა და არ ისმოდა. თოვლი სულ ახლახანს გაქრა შორინებით ავად მზირალი კლდებიდან. ბილის წვიმამ წამოუშინა და მისი ჯიბრით მთელ კვირას გასტანა. წვიმაში უფრო ავისმომასწავებლად საზარელი საყურებელი იყო არემარე ავადმყოფისთვის. ბოლო ორ დღეს აღარც წამომჯდარა საწოლში. მხოლოდ იმასლა კითხულობდა, წვიმამ გადაიღო თუ არაო. დაიჭერდა საყვარელ თოჯინას და უღიმოდა ჩუმი, ბაგეზე შეყინული ღმილით. აკი ასეც მიიცალა კვირის ბოლოს, თოჯინით ხელში, ბაგეზე შეყინული ღმილით.

ანდრომედას სიკვდილი უდიდესი ტრაგედია იყო მისთვის. სიკვდილს ნატრობდა, მაგრამ არ კვდებოდა. მეგობრებმა სცადეს, როგორმე გადაეყოლებინა გული და ხშირად პატიჟებდნენ თავისთან. თავიდან თითქოს ისიც აჲყვათ, მაგრამ მხოლოდ ცოტა ხანს. შემდეგ სულ მიანება მეგობრებთან სიარულს თავი და მარტო იქლავდა გულის ხვაშიადს. დაიდგამდა ღვინოს და მისით ცდილობდა დაევიწყებინა წარსული. ღვინოში ანურავდა თავის გულს, რომ გამოფიტულიყო და განთავისუფლებულიყო ყველაფრისაგან, ამ ქვეყნიური ყოველგვარ ვალდებულებისაგან, დარდისა თუ წუხილისაგან, სიხარულისა თუ ბედნიერებისაგან. ღვინოში ექებდა სიკვდილს.

ასე მარტოდმარტო, სიმთვრალეში გადიოდა დღეები. მისთვის უკვე სხვანარი ცხოვრება აღარ

არსებობდა. მეგობრებმაც სულ დაივიწყეს. იშვიათად რომ ვინებს ვახსენებოდა, ისიც მაშინვე მიატოვებდა ხოლმე, მის ყოფას რომ დაინახავდა.

ამ რამდენიმე დღის წინათ სწორედ ასე, შემთხვევით შემოიარა ერთ-ერთმა მისმა მეგობარმა და ავადმყოფი უთვისტომოდ, ბედის ანაბარად მიგდებული ნახა. მან მაშინვე სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახა. ექიმმა გატოკების უფლება არ მისცა და ადგილზევე დაუნიშნა მჟურნალობა. პირველ დღეებში მეგობრები ედგნენ თავზე. ამ რამდენიმე დღის წინ კი, ცოტა რომ მოიკეთა, მათაც მიანებეს თავი. ერთის მხრივ სიამოვნებდა, მარტო რომ დარჩა, მაგრამ მეორე მხრივ გულში მაინც სწყინდა ასე ღვთის ანაბარად რომ მიაგდეს.

...არა, არა! რაღაც უნდა იღონოს. ეს ბოთლიც ცარიელია. სიგარეტიც სწორედ ახლა გაუთავდა, იმით მაინც მოიკლავდა ნერვებს. დაჭმუჭნილ პიჯავს წამოავლო ხელი, რომელიც საწოლზე ეგდო და უხერხულად გადაიცა. კედელს შეხედა. კედლიდან თაფლისფერთვალება და კულულებიანი გოგონა შემოსცეროდა ეშმაკური ღიმილით. სურათის ირგვლივ რაღაც სიცარიელე იგრძნო. გაახსნდა, თუ როგორ ექებდა რამდენიმე წუთის წინ თოჯინას, რომელიც სურათის ქვეშ ეკიდა. ვეღარ გაიხსენა, როდის ჩამოილო, ან სად ნაილო. თვალწინ მიცვალებული წარმოუდგა გულში ჩახუტებული თოჯინით. ასევე დაკრძალეს. ზუსტად ისეთივე მეორე თოჯინა შეიძინა და სურათის ქვეშ მიამაგრა, რომელიც ახლა სადღაც გამერიალიყო.

„...ანდრომედას მითოლოგია უკავშირებს საოცარ, ამაღლვებელ ლეგენდას, – აგრძელებს ბავშვების წინ მდგარი მასნავლებელი და შეპურებს დაფაზე ჩამოიდებულ ასტრონომიულ რუქას, – შორს, დედამიწის უკიდურეს სამხრეთში გადამლილი იყო აყავებული ქვეყანა ეთიოპია, სადაც მეფობდნენ კეფესი და მისი მეუღლე კასიოპეა. მათ ჰყავდათ ერთადერთი ასული, რომელსაც ერქვა ანდრომედა. იგი როცა გაიზარდა, სილამაზით ყველა ეთიოპიელს სჯობნიდა. ამით გაამაყებულმა კასიოპეამ დაიტრაბა, ჩემი ასული ზღვის ნიმფებზე უფრო ლამზიაო. განაწყენებულმა ნერიდებმა ზღვათა მბრძანებელ პისუდონთან იჩივლეს, რომელმაც ეთიოპიას გაუგონარი უბედურება დაატეხა. ყოველდღე ზღვის სილრმიდან ამოცურდებოდა ხოლმე საზარელი ვეშაპი და ცეცხლით რუჯავდა და ფერფლად აქცევდა ყოველივეს. ყველგან გმინგა და ქვითინი ისმოდა. სასონარკვეთილმა მეფე კეფესმა სამისნოს მიმართა. ვეშაპი მხოლოდ მაშინ ჩამოეხსნება ქვეყანას, თუ შესაჭმელად მისცემ შენს ერთადერთ ასულს ანდრომედას! — ურჩა მისანმა.

დიდხანს ტიროდნენ კეფესი და კასიოპეა, მაგრამ ხედავდნენ სხვა გზა არ იყო, რადგან მაღლე ეთიოპია უდაბნოდ იქცეოდა და ბედის განაჩენის აღსრულება გადაწყვიტეს.“

მასნავლებელმა შეისვენა, სათვალე შეისწორა, კიდევ ერთხელ მიმოატარა თვალი გარინდულ მოს-



წავლებს და განაგრძო:

„ერთ დილას, როცა პელიოსი ოქროს ეტლით გზას გაუდგა, მშობლებმა ანდრომედა ზღვის კლდოვან ნაპირზე გაიყვანეს, ბორკილები გაუყარეს, კლდის ქიმზე მიახეს და ტირილით მიატოვეს.

უერცად ზღვა საშინლად აღელდა, უზარმაზარ ტალღებს ნაპირს ახეთქებდა. ბეჭლი უფსკრულიდან საზარელი ვეშაპი ამოიგრანა და ნაპირს მიაშურა. ფართოდ გაელო საზარელი პირი და ცეცხლს აფრქვევდა. შავ ქერცლიან კუდს ზვირთებს უტყლაშუნებდა და მძიმედ მოცურავდა. ვეშაპმა შორიდანვე დაინახა კლდეზე მიჯაჭული ანდრომედა. ხახა უფრო დაბალი, საზარელი, მახვილიერი მჭრელი კბილები გამოაჩინა, თვალთა ბრიალით ზღვა გადაანათა და გაშმაგებულმა მსხვერპლს მიაშურა. კიდევ წუთი და ურჩეული საკილოს წაეტანებოდა... მაგრამ...“

ბინიდან გამოვიდა. ჯიხური დაკეტილი დაუზვდა. მაშ რა ქნას, ახლა ერთი ღერი სიგარეტი მისწრება იქნება. არც არავინაა, რომ სთხოვოს. „ცოტას გავივლი, იქნებ სადმე ვიშმოვნო.“ ნელა გაუყვა ვიწრო ქუჩას. ნიავი სუსტად დაერის ტროტუარზე ჩარიგებულ ხის ტოტებში. „ეტყობა კელავ გაფუჭდება ამინდი.“ მაგრამ მისთვის სულ ერთია, ოლონდ როგორმე სიგარეტი იშივნოს.

ვერ გაიგო, როგორ მიადგა მომცრო სასადილოს. შედგა თუ არა ფეხი, მაშინლა მიხვდა სად შედიოდა. უკან გამობრუნება დააპირა, მაგრამ გვიანი იყო. აქეთ-იქიდან უკვე ეძახდნენ და თავისთან იწვევდნენ. „ჯანდაბას ექიმის თავი, მხოლოდ ერთ ჭიქს დავლევ!“ იმის გაფიქრებაზე, რომ ახლა ღვინო უნდა დაელია, სასიმოვნო ურუანტელმა დაუარა ტანში. ახლოს მდგომ მაგიდასთან მიეკიდა, სადაც ჭიქა ხელში მიაჩეჩეს. რაღაც, სადღევრძელოს მსგავსი წაილულულა და ჭიქა ტუჩებზე მიიყვადა. წყურვილი ალბათ იმდენად დიდი იყო, რომ ღვინო ნიკაპზე ჩამოეღვარა, მაგრამ მას ეს არ უგვრძნია. მისთვის მთავარი იყო, რომ ამდენი დღის მარხულობის შემდეგ, როგორც იქნა ელირსა დალევა. თითქოს იგრძნო, როგორ ჩაიარა ღვინომ გამომშრალ ყელში და როგორ აევსო გამოფიტული ძარღვები. საოცარი შევება იგრძნო. თითქოს ყველა ნერვი თავისი ადგილზე დალაგდა. ხელები აღარ უკინეალებს, გონებაც დაეწმინდა.

ერთი წლის წინ სწორედ ამ მაგიდასთან იჯდა ბოლოჯერ იმ გოგონასთან, ვისთანაც ანდრომედას შემდეგ ცხოვრობდა. რაც გოგონა გაიცნო კარგა ხანს თითქოს აღარ სვამდა, რადგან იმ დარდს, რაც ღვინოს უნდა გაექარვებინა, ის გოგონა უქარვებდა. ფიქრობდა, მასთან სიახლოვით, თავი დაეწებებინა საშელისთვის და ნორმალურ ცხოვრებას დაბრუნებოდა. ერთხელაც ამ სასადილოში მოხვდნენ მშიერები. ვიღაც ნაცნობმა სხვა მაგიდიდან ღვინო გამოუგზავნათ. უარის თქმა არ შეიძლებოდა და გადაწყვიტეს ცოტა გაესველებინათ პირი. მაგრამ იმ ცოტას მერე სხვაც მოჰყვა და კარგად რომ შეთვრნენ მაშინდა მიხვდა რა შეცდომა დაუშვა. უცურებდა მის წინ მჯდომს და ეგონა ანდრომედა იყო ასე მთვრალი.

მაგრამ წამსვე უნათდებოდა გონება და ხედავდა ვინც იყო. გაიფიქრა, ანდრომედა ასე არასდროს მოიქცეოდა და უცებ რაღაც გადაწყვეტილება მიიღო.

— მე ახლავე შემოვალ, — რაღაც ამის მსგავსი წაიბუტებუტა და სასადილოდან გავარდა.

მას შემდეგ აღარსად შეხვედრია. სახლი კი იმ გოგომ არ იცოდა, რადგან არ უნდოდა იმ სახლში მიეყვანა, სადაც ანდრომედა ცხოვრობდა.

...მეორე ჭიქა შეუცხეს. ამდენის დალევას უკვე აღარ ფიქრობდა. „რაც არის, არის. სადაც ერთი ჭიქა იქ ორიც იყოს, მეტს კი ნამდვილად აღარ დავლევ.“ ჭიქა მოყუდა თუ არა თვალები გაუშტერდა. „რა არის ეს? ჰალუცინაციები ხომ არ დამეწყო?!" თვალები დახუჭა. კვლავ გაახილა. „არა, არა!.. ეს ნამდვილია, არავითარი მოჩვენება...“ სანახევრონდ დალეული ჭიქა მაგიდაზე დადგა. ყველამ იქთ მიხედა, საითაც ის იყურებოდა. ახლა გაახსენდათ, თუ როგორ უამბოთ ერთხელ მთვრალმა თავისი ამბავი მთელ სასადილოს, როგორ გაიქცა შემდეგ შემლილივით და ცოტა ხანში როგორ მოარბენინა ცისფერკაბიანი თოჯინა. ბარმენმა კი კედელზე ჩამოკიდა და მას შემდეგ აქაა. გაახსენდათ და სინაულით გადააქნიეს თავი.

მან კი წითელბერეტიან თოჯინას გაუშტერა თვალი, რომელიც თითქოს ხელაწეული ემშვიდობებოდა. თვალზე ცრუელი ჩამოუებორდა. დაავიწყდა სასადილოში რომ იყო და თოჯინის ირგვლივ მოატარა თვალი, რომ სურათიც დაენახა. ცარიელი კედლის დანახვისას შეკრთა, გაახსენდა სადაც იმყოფებოდა და შერცხვა. სწრაფად მოინმინდა პიჯაკის სახელოთი ცრემლი და მაგიდასთან მსხდომთ შეხედა, ხომ არავინ მიუურებსო, მაგრამ ისინი უკვე თავიანთთვის საუბრობდნენ.

ბუნდოვნად გაახსენდა, აქ როგორ მოხვდა თოჯინა. „მოდი, ჩამოეხსნი და სახლში წავილებ, თავის ადგილზე.“ — გაიფიქრა. ნაბიჯის გადადგმაც დაპირა, მაგრამ შეჩერდა. „უხერხულია, ხალხი რას იტყვის...“

რამოდენიმე წუთის წინ კი გადაწყვიტა მეტი აღარ დაელია, მაგრამ ახლა, როცა თვალის წამოუტივივდა განვლილი ცხოვრება, შეიცვალა გადაწყვეტილება, მით უმეტეს თოჯინის გვერდით ყოფნით, თითქოს ანდრომედას გვერდით იყოს, თითქოს ის უქნევდეს ხელს...

* * *

საზარელი სიცივე დათარეშობდა მთელი ღამე ქალაქში...

* * *

გათხებისას იპოვნეს გაციებული. სადღაც, კედლის ძირას მინოლილიყო და სამუდამო ძილით დაეძინა. მარჯვენა ხელი პიჯაკის უბეში ჰქონდა ჩაყოფილი და გულში ჩაეხუტებინა ცისფერკაბიანი, წითელბერეტიან თოჯინა, რომელიც ხელიდან ვერაფრის დიდებით ვერ გამოხსნეს...

ასეც დაკრძალეს...



თინათინ თელაველი

תְּבִ�ָה

შეტოვება ინურება,
ზამთრის საქახი მოდის, მონბის, —
და... რა სპორაფა იფურულება,
წლები, ყდარეფლი ყრმობის...

ଓজନ୍ତିରୁଲ୍ଲାହି ଇନ୍ଦ୍ରଜିଲ୍ଲାହି,
ମିନ୍ଦିକା ପ୍ରାଣିକା, କୁର୍ବନିକା ଧୂମରିତ,
ତ୍ୟଥିର, ଦେଖଫୁଲ, ନାନ୍ଦୀ, କୁର୍ରାହ,
ପିତା, - ଦୀନାପକଣିଶି.... ଶିରପୁଣୀ କୁନ୍ତଳିନାନୀ...

କିନ୍ତୁକିନ୍ତୁ କୃତ୍ୟାମ୍ବଦ୍ୟ

၁၁၂၏၀၇၃၅။

ოცნებებმა გამიტაცა:
სად არ ვდიე მთას და მდელოს,
სხვა, – ვერ ვნახე – ცა, მიწა, და,
ლეთის ნაკურთხი საქართველო...

କୁରଣ୍ତୁ ହେବାର ଅନ୍ତର୍ଗତ, ନିଯମ...

შვილს გამოწვრთნი სახელმძღვანელოს,
ქართულ გენით ანთებ, როცა,
შვილთა შენთა ქართველობით –
საქართველოს ხვალეს ლოკაცი...
საქართველოს ხვალეს ლოკაცი...

କ୍ଷେତ୍ରପାତ୍ରଗ୍ରହଣ!

სილაუგარდე, სილამაზე, სიტურთვე...
განცდის ზღვაში ხიბლით ვუხმობ ნავს....
სიყვარულის, სიანკარის, სიუჩვე,
საქართველოს სითიათით რთავს.

სიმამაცემ, – სიძნელეთა მნახველო, აგარიდოს, აგაცილოს ავს, საქართველო, სანატრელო სანთელო, – გავიმეტტებ, განაცვალებ თავს...

ଗ୍ରାମପାଦ !..

თელავო!.. თეთრზე თეთრი მტრედები,
გადაუფრენენ შეს ქუჩებს როცა...
უზადოდ მშვენი, უფრო მშვენდები
და... სიყვარულით გლოცავ და გლოცავ...

ପାଶିନ, ଫୁଲମୂଳ, ଗନ୍ଧିରାଜ୍...

ଗୀତାବିଦୀ ! ..

ნარსულიც მიყეარს შენი,
და... ანმყოც მხიბლავს ახლა,
მომავლის შუქის მჩენი,
იმედის სხივად მახლავს...

კვერცხმა შარავანდს სხივთა,
მზის თვალთაგან ნადენს,
მზე – სიყვარულს გვიძლვნის,
სხივს გვთავაზობს რამდენს....

ეს გული, როს, შენი
გულის ნატვრას ახდენს,
მაშინ ფიქრიც, განცდაც
ფრთიერს მწვერვალის აწყდენს...



რადგან, ღამეც მზისფრად შევიყვარე,
ფიქრს მიეცა მეტი სარბიელი,
ოცნებებსაც ერგო, – მეტი არე,
ვარ, ამადაც, ღამის მადლიერი...

როს, სარკმელი, მთვარით ფერადდება,
როს, ვჭვრეტ, ვარსკვლავთ კრებულს,
მოკრძალებულს,
სახე, შენი, – თვალწინ მეხატება
და, – ვგრძნობ გულისცემას, მოძალებულს...

თვალზე, რული – როს, არ მეკარება,
ფიქრი დაქრის ვარსკვლავთ ყვავილნარში,
მომღიმარე მთვარეც ფიქრს დაჰყვება,
მწამს: მიშველის ნატვრის ახდენაში...

P.S.

როგორც, მზე და მთვარე, ისე, დღე და ღამე,
მარად უცვლელია, განუყოფელია,
მათი არსებობა, ყოფნა ქვეყანაზე,
გარდაუვალია, უცილობელია...

მიყვარხარ!

მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ,
შენ გნატრობ, შენ გეტრფი, შენ გეძებ,
შენ ჩემი ოცნების ხილვა ხარ,
სიცოცხლეს უშენოდ ვერ შევძლებ...

უშენოდ, ფიქრი არ მაისობს,
უშენოდ, ტრფობის მზეც დაისობს,
სიცოცხლე, შენით, ჩქეფს, აისობს,
უშენოდ, გულს – ისარს დაისობს...

შუალამე გადასული იყო,
უძილობით, ფიქრი თავს მართმევდა,
მესმა, რომ ბულბულმა სტვენა იწყო,
მოგალობე შაშვი ბანს აძლევდა...

საოცარი შერწყმა, შეხამება...
მოხიბლული ვუსმენდი, ნაზ, ტკბილ ხმებს,
გამაოცა, ძევრჯერ, მე, ამ ხმებმა,
ფრინველთ დასი – რიგ-რიგით, რომ იწყებს...

არ აკრთობდათ არც წვიმა, არც ქარი,
ღვთიურ ჰანგებს იხუტებდა სივრცე,
ვიყავი, ვით, თვით შარბათით მთვრალი,
კუშტ ღამეს, მათ, უცხო ხიბლი მისცეს...

43



სიყვარულის გვნვავდა ტრფიალება...

თუმცა, საყვედური მოგვიმრავლდა,
სიყვარულის – გვნვავდა ტრფიალება,
როდი ჩანდა წყენა, – მორიგ ღანდად,
სიყვარული – ხანძრად ბრიალებდა...

შეუსვლელია...

თუმც, ყველა ყვავილს, ხიბლით მზეს ვადრი,
ყვავილი, – ყველა მომხიბვლელია,
სხვა ანდამატი აქვს კოქორს, ვარდის,
ის, გამორჩევით, შეუცვლელია...

თელავი!

თელავი არის ჩემი მზე, – და ჩემი თავდავინყება,
ცისკრის ყოველი ნათება, უტებილეს ზლაპრად იწყება,
სხივმფენი ზეცა ელვარებს და შარავანდის მზით დნება,
ერეკლე მეფის სახელით – დის, – სიამაყე, დიდება...

აქ, სიყვარულის ქალაქში, დრო, აროდეს არ ბინდდება,
მომავლის რწმენა, იმედი, შუქ-ფერთა გამით მძივდება,
ხან უძიროა ლაჟვარდი, ხან, კი, ფერს იცვლის, ღვინდება,
აქ, სიცოცხლეა ნეტარი და... უკვდავებად ბრწყინდება.



ნეფარს ხდის!..

ფიქრებში – შენი მონატრების ბრწყინვა-ელვარება,
ნეტარს ხდის ჩემში სიყვარულის ნატვრა-მღელვარებას,
იღვიძებს გრძნობა მიმალული, გრძნობა მთვლემარე და...
კარს უხსნის ტრფობის ლამაზ დღეთა, ლამაზ მწვერვალებას...

ოურმე...

44



გული სიყვარულით იმისება, გული სამეჯლისოდ ემზადება,
გული სიყვარულის ღმერთს ლოცულობს, აბრწყინ-ადიადებს მზე-ხატებად...
თურმე, ქვეყანაზე არ არსებობს, სიყვარულზე მეტი ნეტარება,
გული არასოდეს დაბერდება, ვიდრე, ვინმე გულით გვეყვარება...

ვლორვ...

თუ, არს – შერწყმა, სილამაზის: სხეულის და სულის,
მაზიარებს განცდას ხიბლის, მარადს, – სიყვარულის,
ენა დაშვრეს, – უძლურია: ხოტბა, სიტყვაც, ბრძნული,
ამ, უზადო შეწყვილებას, ვლოცავ წმინდა გულით...

მიყვარს...

გვირილების მიყვარს თოვლი, ნარინჯების ელვარება,
გულში ნატვრამ გაიღვიძა, აქამდე, რომ მთვლემარებდა
ფიქრმა, ალმი გახვეულმა, მოუმატა მღელვარებას,
აკიაფდა სიყვარული, ნეტარების მწვერვალებად...



მარიამ ძამუქაშვილი

წერილი 2020 წლის 10 მაისის დღის მიზნით

კონკრეტული უხმობეს გარეთ დარჩენილ წლებში ნინილას. დანარჩენებს, მისი ფრთხის ქვემოთან რომელი გამოყენებით თავი და ქრისტიანული იქინებიან დამამშვიდობლად უსუტყობებს – უცხვებს.

კატე მშვიდად წევს ამოჩემებულ ადგილზე, კუჭი ტანზე შემოუხვევია. ხანდახან მძიმედ გახელის წალ თვალს, ყურს შეიძერტყავს, მკვეთრად დამთქნარებს, ულვას გააწმარენებს, ფეხებს გაფარჩხავს – გრიზმორება და ჩუმი, ნებირი კრუციით გააგრძელებს თვლებას.

მარიამ ძამუქაშვილი

45



სანამ წვიმა მოვა...

დილის რიურაჟია, ფრინველები ჯერ სრული ხმით არ გალობენ, მხოლოდ აქა-იქ წამოიჟივ-უივებენ და ჩუმდებიან, თითქოს კვლავ ჩაითრია ტკბილმა ბურანმა. მზე ნამდინარევ თვალებს იფშენეტს, სადაცაა ამოსხივდება, ოლონდ აღმოსავლეთის ცა უკვე შეუფერადებია განთიადის მოვარდისფრო-ყვითელს.

ოთახიდან სიბრძელე უჩუმრად გაიპარა, შეერია ჩრდილებს მახლობელი ხეებისა, სადაც მთელ დღეს აპირებს მათ გარშემო ბორიალს, – თავის დროს დაელოდება. რაფაზე ასხლეტილი სხივები წიგნების კარადაში შეფრთხიალდა და უხვად დაეფრქვა მის ბინადარო. ჭერზე განოლილი ვინწრო ნაყში სინათლისა ქრება და ინთება სარკმლიდან შემოჭრილი ნიავისგან აფრიალებული ფარდის როკვაზე. მაგიდაზე გუშინდლიდან სანერად დატოვებულ ფურცელზე განოლილა მზის თვალი. მოზრდილი ბუზი მშვიდად დაცოცავს, შეჩერდება, კვლავ აგრძელებს გზას უმისამართოდ. დროდადრო გადაკვეთს სინათლის ზოლს. სითბოზე, რომელსაც შემთხვევით გადააწყდა, ყუჩდება. ამ დროს გამჭვირვალე ფრთებს სხივზე აჩენილი მტვრის ათასობით მოციმციმე ნაწილაკი ეფინება და აბრნებინებს. მისი შავი ჩრდილი უცებ გაიელვებს სინათლეზე. ამ დროს მოზრდილი, ნაგრძელებული ფორმით ურჩეულს ემსგავსება. კვლავ აგრძელებს გზას კიდემდე, შემდეგ უკან ბრუნდება. ეტყობა, ჯერ სცივა და ფრენა ეზარება. დილის სიგრილეს სხეული დაუმძიმება. ფურცლის გვერდით დაცლილი კალამი უსაქმურობს, ბოლო სიტყვის გაბაცებული ასოები ძნელად იკითხება... დღეს მოსახევ კალენდრის გვერდს ატორტმანებს ჰაერის მსუბუქი ტალღა. იატაკზე ათინათი დასთამაშებს და ათბობს მარმარილოს ყინულს. ირგვლივ

ყველაფერი სიმშვიდეს მოუცავს. კედლის მოვარაყებული საათის ისრები სწორედ ამ დროზე გაჩერებულა...

ფანჯარა ყურთამდე გამოვალე. ახალი დღის სუფთა ჰაერი ჩავისუნთქმა. ხის ტოტები ხშირ, ხასხასა ფოთლებს ვერ ითვლიან, თავგანწირვით, მაგრამ ამაოდ ცდილობენ სარკმელში შემოჭრას. კედლებს და მინას ელამუნებიან, კანრავენ. თვითონაც დაშავებულები, ბედს შერიგებიან, სხვანაირად არ შეუძლიათ. ნიავი კატასავით ფრთხილად დაძვრება მის სხეულში და ყრუდ აფაჩუნებს.

ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც არ ჩანს, ლაშვარდში წვრილ-წვრილი ჩიტები დაფრინავენ. შორეული მთის მწვერვალების პირამიდები ღურჯი ცის ფონზე კამკამებს. თვალს ვერ ვაცილებ სქელ, ყრუდ მოჩურჩულე ყანას, რომელშიც ცისფერ თვალებს ნაზად აფახულებენ ბუსუსიანი ღილილოები და ფაქიზად სრიალებენ თავთავებზე. ბოლოკას კი ყვითელი გვირგვინის ფურცლები გასცვენია და მისი მაღალი, დატოტვილი ღეროების ღია მწვანე ფეხი შეზავებულა მოლურჯო-მომწვანო ზღვასთან დათავთავებული ხორბლისა, რომელიც ფქვილისმაგვარ უნაზეს ფენას დაუბინდავს. ზემოდან უკიდეგანო ღურჯი ცა გადართხმია თავზე, თითქოს ჰაერიც ღურჯია. გვირილებით გადაპენტილი მინდვრის ზედაპირი თავისკენ უხმობს ხალიან პეპლებს, აქა-იქ რომ დაფარფატებენ. ფუტკრები ნელი ზუზუნით დაფრინავენ ირგვლივ, ყვავილებზე სხდებიან, აგროვებენ მტვერს, წვენს. დატვირთულები ძვირფასი ნადავლით სკებისკენ მიფრინავენ. უხვად დაბზუიან მწვანე, ბრჭყვიალა ბუზები, უზრუნველად გადადიან ყვავილიდან ყვავილზე – ირგვლივ ათასნაირი ფერისები აუზ-





ჯუნებენ თვალებს. ჩიტები ურიამულით დაფრინავენ. მათი შავი ლანდები მიწაზე დახტის.

ამ საოცარ ადგილს დასავლეთიდან დაბალ ქობად რცხილის უჯიშმ ბუჩქები და ლიჭის ეკლიანი დეროები შემოვლებია, რომლის წვეროებში ნორჩ ფოთლებთან გამოზრდილი პწკალები ორნამენტივით ჩაგრეხილა. ისეთი გაუვალი ტევრია, ზედმეტია ოცნება, დაინახო რა ხდება მათ უკან, ნაკანრებისა და სისხლის გარეშე. ნაპირი ქვემოდან კუნლის ეკლიან, მოზრდილ ხეებს შემოურავავს, სასიამოვნო სურნელს აფრქვევს. პატარა ბორცვზე კი იელის მოტკბო, შხამიანი არომატით გაჯერებული ბუჩქებია მოფენილი, მათი ყვითელი შარავანდედი თითქოს პარში ორთქლდება. ზემოდან, მთის მხრიდან, აქმრილი ფიჭვების კორომი მცველივით უდგა ამ ხელთუქმნელ მშვენიერებას. უფრო ზემოთ კი მაღალ ხეებს ფოთლების უწყვეტი თაღი შეუკრავს...

მზე დანათის ხებით მოწინწკლულ ხავერდგადადაკრულ მინდორს და პატარ-პატარა ბორცვებს. ალაზნის ჭალებში მზით განათებული ვერხვების მოთეთრო ზოლი მოჩანს. კვიპარისებისა და სხვა წიწვიანების კორომებად გაბნეული სილუეტები მცვეთრად იხატება გამჭვირვალე პაერში. უღრუბლო დღეა. შუადღის მწვავე სხივები უშურველად იფრქვევა, ირგვლივ ყოველივეს ალმური ასდის. ცა გავარვარებულ ლითონის ხუფს დამსგავსებია, მზად არის მიწაზე გადმოანთხოს მზის მეწამული ლავა. ჩრდილიც აღარ ჩრდილობს, მიმზიდველობა დაუკარგავს. სულისშემზუთავი სიცხე ავდარს მოასწავებს. რა მისწრებაა ამ დროს წყნარი, გრილი წვიმა, მსუბუქი შარიშურით რომ მოედება გახურებულ სახურავებს და გამხმარ მიწას, მტკვერს რომ გადარეცხავს, წყლის წვეთივით გამჭვირვალეს გახდის მთებით შემორაგულ პანია სივრცეს, ჰორიზონტის ქათქათა ღრუბლები შნოსა და ლაზათს რომ მატებს... სურვილი სურვილად რჩება... ის, ვინც მოსვლას აპირებს, მთებს უკან ჩასაფრებული, სულ მალე დაგვესხმება თავს, შეძმვრალი მატყლის ფთილისმაგვარ ღრუბლის ნაფლეთებში, რომლებსაც, თითქოს ვიღაც უხილავი პენტავს და ისვრის ბლუჯა-ბლუჯა. მსუბუქმა ნიავმა ღონე შეიმატა, წამოუბერა, შორიდანაც ჩანს როგორ ხრის ხეებს ქარი. კედრის გრძელი და ბრტყელი ტოტები ზევით-ქვევით აატორტმანა. საოცარია, მათი ჩრდილები მხოლოდ სიგანეზე ლივლივებს იღნავ შესამჩნევად. შერხეული ტოტებიდან ჩამოცვენილი, ნახევრად მკვდარი, მაგრამ ჯერ კიდევ მწვანე წიწვები თავდაყირა ერჭობა ყავისფერ, სქლად დაფენილ ნეშომპალაში. მუქმზვანე ტალღებად ირჩევა კვიპარისები. მყუდრო ადგილი შეურჩევია ბინის ასაგებად. მკვიდრად ნაშენი კედლებიდან გამომზირალი წრისებური ხვრელის, რომელიც კარის მოვალეობას ასრულებს,

ძაბრისებური დაბოლოება მქრქალად იკვეთება ფაშარი ქსოვილის ნაცრისფერი ფარდის უკან. იგი ამ ჯოჯოხეთური სამყაროს მპრძანებლის მოსასვენებელს წარმოადგენს, — მოზრდილ, ნაცრისფერ ობობას ფეხები შემოუკეცავს და იცდის... არა, მსხვერპლს არ უთვალთვალებს, უკვე ისადილა გემრიელად — იქვე ყრია ბუზის სისხლისგან დაწრეტილი, ნიავზე მსუბუქი სხეულები, სახსარში მოწყვეტილი, ალაგ-ალაგ გადამტკრეული ფეხები. აბლაბუდაზე გამოდებულ, მოგლეჯილ ფრთებს ნაპირები შემომტკრევია, ორნამენტების ისედაც აბსტრაქტული მოხაზულობა უფრო იდუმალი გამხდარა. სინესტისგან ჩაუქამდებულ ჩალისფერ პეპლების დაფშვილ სხეულებს მუქად დაულაქავებია ქსელი. ყველგან ბრონზესმაგვარი ნივთიერებაა გადაგლესილი... ის კი წევს და აინუშშიც არ აგდებს ამდენ განადგურებულ სიცოცხლეს... ცუდი ამინდის წინ ეს ბნელი სამყაროს მოციქულები ზანტები და უმოქმედოები ხდებიან.

ბაყაყების გაბმულ ყიყინს მანძილი ახშობს. ადვილი ნარმოსადგენია მათი ზეიმი მოახლოებული წვიმის შესახვედრად.

გაშმაგებით ფუსფუსებენ ჭიანჭველები. ერთმანეთს ეჯახებიან, მაგრამ სწრაფად უქცევენ გვერდს, — საზრუნავი არ ავიწყდებათ. სოროს თავზე ამოზვინულ, მასზე გასაშრობად გამოტანილ კვერცხებს სახლში ეზიდებიან. უამინდობამ ერთ წუთში შეიძლება გაანადგუროს მთელი ნლის მონაგარი.

ფრინველები და ცხოველები უცნაურად არიან აფორიაქებული, ვერ ისვენებენ, ზოგი მათგანი კი უსაქმურობას და სიზარმაცეს შეუპყრია: ქათმები ნაცარში „ბანაობენ“, დატრიალებული ბული ნელ-ნელა ეშვება ნესტით დამძიმებულ პაერში. იხვები, პანია, ყვითელი ჭუჭულებით წყალში აკაპუნებენ ბრტყელ ნისკარტებს, თითქოს წყალს ცრიან და მხიარულ მოძახილს ვახვახებენ მოახლოებული წვიმის მოლოდინში.

კრუხი ხმამალლა უხმობს გარეთ დარჩენილ ცელქ წინილას. დანარჩენებს, მისი ფრთების ქვემოდან რომ გამოუყვათ თავი და ცნობის-მოყვარედ იცეირებიან დამამშვიდებლად უკუტკუტებს — უყავებს.

კატა მშვიდად წევს ამოჩემებულ ადგილზე, კუდი ტანზე შემოუხვევია. ხანდახან მძიმედ გაახელს ცალ თვალს, ყურს შეიბერტყავს, მკვეთრად დამთენარებს, ულვაშს გააცმაცუნებს, ფეხებს გაფარჩხავს — გაიზმორება და ჩუმი, ნებიერი კრუტუნით გააგრძელებს თვლემას. ძალლი ზურგზე გორავს. უცნაურ ხმას გამოსცემს, — ეს არც ყეფაა, არც ღრეუნა, შემდეგ ნამოხტება, შეიბერტყება, უნდილად ამოსვლებს აშმორებულ წყალს, ზანტად შედის ბუნაგში. კარში თავს გამოყოფს, მშვიდად ჩამოდებს თათებზე. ისედაც





ნახევრად მილულული ლიბრგადაკრული თვალები ეხუჭება და უშფოთველ ძილს ეძლევა.

მცენარებს არსად აქვთ გასაქცევი ამინდის ცვლილებისას, არსად იმაღებიან. ისინი თავისებურად გამოხატავენ წვიმის მოლოდინს – ფოთლების კუთხებში, ლეროსთან ცრემლებად ჩაგუბებიათ გამჭვირვალე წვეთები ნამისა.

ქარიშხალი ვერხვის ტოტებს ახეთქებს ერთმანეთს და მოცახცახე ფოთლების მოვერცხლის-ფრო გულისპირს აჩენს.

მოსალამოვდა. ბინდში გახვეულ მინდორში ქარი დაძრნის, ყანის ზედაპირზე აწვენს მომცრო ხეების თამასასავით მოქნილ კენწეროებს.

სიბერელე შეუმჩნევლად მოიპარება, ჰაერი ისეა ჩახუთული, სულის მოთქმა ჭირს. არაბუნებრივი სიჩუმის ტვინის გამბურღავი ხმაური მძაფრად ხვდება ყურთასმენას. დაღამდა. მთვარის ზედაპირზე მიცურავს კიდეებდაფლეთილი ღრუბელი. მისი თხელი, ჰაეროვანი დაბოლოებები დაბინდული ვარდისფერის ნაშენებად იღვრება. ყველა ციცინათელას ზეცის სილრმეში მოუყრია თავი, – მოვერცხლისფრო-ცისფერ შუქს აფრქვევნ წვრილი მნათობები. სწრაფად მიმავალი ღრუბლები ხანდახა ფარავენ და შეუმჩნეველს ხდიან ამ ერთადერთ სილამაზეს ღამის კოშმარისა. თვალისდახამხამებაში ერთდებიან, ძალას იკრებენ და თავიანთ გაუმაძლარ სტომაქში იქცევენ ყველაფერს.

...ღამის გაშლილი ფრთები უფრო და უფრო მუქდება. ზეცას შავი საფარი ჩამოაწვა, მთვარე სადლაც უჩინარდება, უვარსკვლავო ცა, თითქოს, სულ ახლოს, თავს ზემოთაა, დედამინაზე ასრესს ადამიანებს და საგნებს.

სიჩუმეს არღვევს შორეული ქუხილი. დროდადრო ოთხივე მხარეს დატოტვილი ელვა აპობს სივრცეს, ისიც, თითქოს უკან იხევს, ბოლქვა-ბოლქვად მოჩანს ღრუბლების განათებული ზედაპირი.

სიწყნარე დაუფლებია ყველაფერს, მხოლოდ ხის ტოტებში გამაღებული ქარის ჩაქროლების ზუზუნი ესეთქება დახურული ფანჯრის მინებს, ყრუდღა აღწევს ოთახის სიმყუდროვეში. წამდაუწუმ ანათებს ელვის მოლურჯო ალი. მაღალი ხეები და სახლები მოჩვენებებივით გაიღლვებენ ხოლმე სარკმელში და კვლავ წყვდიადში იკარგებიან. შუალამის შემდეგ დაწყნარდა სტიქების მპრძანებელი, ქარიშხალი საღლაც გადაკარგა, მაგრამ მისი ბრაზიანი გამოჩენა უკალოდ როდი ჩაივლის?! მძვინვარება დაგრაგნილ, ბოროტებით დამძიმებულ ღრუბლების სქელ ფენაში ჩამალა. თავს ზემოთ ისევ პირქუში ცაა გადაჭიმული. მისი გამანადგურებელი სუნთქვა შემპარავად შეძვრა ხის ტოტებში, ფოთლებს ამოეფარა, ნაზად მიეფერა, შიში გაუქარწყლა. ისინი კი, – სიმშვიდედაუფლებულები ნაზი შრიალით ელა-

მუნებიან ერთმანეთს... გათენებამდე ბევრი აღარ დარჩა, ძილიც ხომ უნდა მოასწრონ. უდრტვინველი ფშვინვა მალამოსავით ედება მიდამოს...

დღის შუქმა იძალა. მზეს ამოსვლა კი არ დააგვიანდა, ალბათ არც ფიქრობს წყვდიადით შეწუხებულ ქვეყანას სიხარულად დააფრქვიოს თბილი და მბრწყინავი სხივები. ამაოა ლოდინი მისი დიდებული ოქროს ეტლის გამოჩენისა.

ცას ტყვიისფერი გადაკერავს ზოლად. თანდათან მუქდება. პორიზონტის ხაზზე მთაგრეხილს ვინრო თასმად მიჰყება რაღაც ნათელი. ამ გაორებაში იდუმალ შიშს ვგრძნობ, არაბუნებრივად მეჩვენება, სასოწარკვეთა მიპყრობს და ცუდი მოლოდინი მოსვენებას არ მაძლევს – ვგრძნობ, წარლვნა გარდაუვალია. ის კი სეტყვად ან თავაშვებულ გრიგალად შეიძლება დაგვატყდეს. ძრწოლით ვადევნებ თვალყურს უმცირეს ცვლილებასაც, საშველი არსად მეგულება, ლოდინი რჩება მხოლოდ... გონების თვალი უკვე ხედავს განადგურებულ ვენახებს და ყანებს, ძირსდაცემულ, ფესვებდათხრილ ხეებს. თითქოს სეტყვით გადათელილი ქინძლარის სუნიც მიღიტინებს ცხვირში.

ავბედითი სიჩუმეა გამეფებული. მეჩვენება, რომ სამყარომ სუნთქვა შეწყვიტა. ვერხვის მუდამ ხალისან ფოთლებსაც დაუკარგავთ შრიალის სურვილი და უღონოდ ჩამოძონძილან ტოტებიდან. მაღლა კი, ეტყობა ავდარი ბობოქრობს, გულს ასკედება. დაუმცხრალი, ავი ვნებით შეპყრობილს ერთადერთი სურვილი ამოძრავებს, – დიდი ხნის ნაგროვები ბოლმა და ბრაზი დედამინას გადმოანთხიოს.

სწრაფად მიაგელვებს ღრუბლების უზარმაზარ მთებს, რომლებზეც თეთრსაღებავიანი ფუნჯის მონასმი უსწორმასწორო, ანენილ ღაებად გადადლაბნილა. კოშმარი დასწოლია მწვერვალებს, დასავლეთის ცა ჩამოკუნაპეტებულა, მოთეთრო ნაკადები ეშვება ძირს. თუმცა, ჯერ შორია... ჭვარტლიანი ღრუბლები ზანტად მოემართება და სულ მაღალ ღვარცოფად დაატყდება ქვემით დაფუნილ თავისივე ბნელ ჩრდილს.

უკან ცისფრად კამკამებს ცის მოწმენდილი ნაწილი. ირგვლივ მიმოფანტული ოქროსფერი ქულების სიმშვიდე, ჯერ კიდევ ხელშეუხებელია, მაგრამ წინ, – თავს ზემოთ, ჩამოქუფრულია, შეუვალი სიბოროტის მეტი არაფერი ჩანს.

...თანდათან აძლიერებენ იერიშს, თვალშეუვლები სისწრაფით ფარავენ დარჩენილ სილურჯეს. სახურავების თავზე მათი, ისედაც დამძიმებული ფორმები, კიდევ უფრო სივდება, იზრდება, იზრდება... უძირო, ცისფერ უფსკრულში ზვავივით მიექანება, წინ მიისწრაფვის, სასტიკად უსწორდება შემორჩენილ დღის სინათლეს.





შორს, ორმხრივ გაიკლაკნა ელვა. ერთი, გრძელი, გავარვარებული ისარივით ჩაერჭო მთის გადაღმა, მეორე ორად გადატყდა და ტყის შუაგულში მისწვდა ასწლოვანი ხეების კენწეროებს. შავი ცა, თითქოს რაღაცით უკმაყოფილო, უსიამოვნოდ არახარახდა.

ქარიშხალი მოახლოვდა. შუადღის შემდეგ ჰაერი შეიხუთა და სიცხის ბუღი დატრიალდა. განუწყვეტლივ ისმის ქუხილი, ცის ტატონბზე ტყვიის ზენარივით გადაკრული ვეებერთელა საავდრო ღრუბელი ნელ-ნელა გაიზარდა და ხეების კენწეროებს შავი ჩრდილი გადააფარა. ჩახუთული ჰაერი თანდათან გაგრილდა, მოახლოებულმა ქუხილმა სულ უფრო მძლავრად აამოძრავა – ქარი ამოვარდა, გიურად გამოიჭრა, ფოთლები ააშრიალა. ჩადგა, კვლავ უფრო ხანგრძლივი გახდა შრიალი.

პირქუშმა ბინდბუნდმა წამოუარა მიწას. საჩქაროდ აიკრიფა ცის უკანასკნელი სიკამპამე, უცებ გაეკრნენ ღრუბლები. ჩამობნელდა. ირგვლივ წყვდიადი ჩამოწვა. ქარმა დაუბერა და ავდრის პირველი მაცნე – კორიანტელი დაატრიალა.

მშრალი და მძაფრი ჭექა-ქუხილია. ღია სარკმელი კედელს ეხეთქება. ქარს გარედან სითბოშემორჩენილი მტკერი შემოაქვს. თვალები მევსება და მტკივნეულად მეხუჭება. ფანჯარას ვეეტავ ბრმასავით. შავად მოქურუხებული ცა და გრიგალია, რომელსაც მხოლოდ ქარის ნაკადი მოაქს, ბუნება ბობოქრობს და მისი გულიდან ამოხეთქილი სათქმელი ჭექა-ქუხილად და ქარიშხლად ეფინება მიდამოს.

ყურს ვუგდებ როგორ გუგუნებს და გრიალებს ირგვლივ ყველაფერი. ეს ქუხილი იმას არ ჰგავს, რომელიც ნახევარი დღე ჩვენს თავს ზემოთ ქულა ღრუბლებს უყრის თავს, თანდათან საავდროდ აიხორხლება და ნელ-ნელა დაფარავს მზეს, მერე კი ელვა-ქუხილით დასცხებს კოვისპირულ წვიმას. იგი შორიდან მოვიდა, მთელი ღამე მზადებაში გაატარა, გათენებისას, თითქოს, მილულა თვალი, მოჩვენებითი სიმშვიდე გადაიკრა, ახალი ბრძოლისთვის ენერგიამოკრეფილმა ბოროტად გამოიხედა. მოლურჯო-შავი იყო, მკვრივი, ავისმომასწავებელი. შეუპოვრად მოინევდა და გზადაგზა ნთქავდა ცაზე გაფანტულ ქათქათა ღრუბლების ნაფლეთებს.

მერთალი ელვა ღრუბლებში შეძვრა, გააშუქა ნაპრალები, არც დაუქუხია. ჭექა-ქუხილის ასეთი ჩუმი სვლა უფრო საზარელია.

თანდათან ახლოს ჩამოწვა. დაგრაგნილი კვამლის მსგავსად ტრიალ-ტრიალით მოიწევს. ...იგრიალა ცამ. მომეჩვენა, რომ ზევით, ზენიტში თვალისმომჭრელი ვარსკვლავი აბრიალდა და მისგან ჰორიზონტამდე, როგორც ცეცხლოვანი ბზარები, ელვის ნამსხვრევები გაიფანტა. სულ

ახლოს სამჯერ გააშუქა მზისფრად.

ღრუბლის შუა ნაწილი ჩამუქებულა, უფრო და უფრო დაბლა ეშვება, ბოროტად აშუქებს მისი ვერცხლისფერი კიდეები. უცებ, დატოტვილმა, ისფერმა, ბორჯლიანმა ტეხილმა ირიბად გადაჭრა ზეცა, სადღაც, იქვე გაილია და ცივმა ფოლადისებურმა შუქმა თვალი მომჭრა. იმნამსვე, სფეროსმაგვარმა, ძლიერმა სინათლემ დამაბრმავა. უძლიერესი ქუხილის მოლოდინში ყურებზე ხელები ავითარე. სამამდეც ვერ ვასწრებ დათვლას, – ბავშვობაში მასწავლეს, გაელვების შემდეგ თუ შვიდამდე დათვლას მოასწრებ, მეხი აღარ ჩამოვარდება შენს სიახლოვესო. ქვეყანა თავზე მექცევა. ტანში ცივი ქრუშოლა მივლის, ალბათ ასე ემართება ადამიანს, როდესაც დენი არტყამს. დახურული ქუთუთოებიდან ნათლად დავინახე ელექტრონის ბოძი, რომელზეც მძიმედ, სრიალით დაეშვა კაშკაშა ბურთი, მეხამრიდს ჩაჰყება და მიწაში ჩაინთქა. მავთულებიდან ავარდნილი ბლუჯა-ბლუჯა ნაპერწკლების ფეიერვერკი სივრცეში გაიშალა ტკრციალით. მეგონა დავყრულდი, თუმცა, გარკვევით გავიგონე სასოწარკვეთილი კვნესა იქვე მდგარი თელისა, სიმაღლეში რომ უსწორდებოდა მეხდაცემულს. ხასხასა, გადაშლილი ტოტები ძონძებივით ჩამოეკიდა. კარგა ხანს აღარ დაუჭექია. თავისი საქმე ჩინებულად გააკეთა. დაზაფრულმა მოძრაობის უნარი დავკარგე. გაშტერებულ თვალს არ ვაცილებ ტრაგედიის ადგილს. მას შემდეგ ხეს დიდხანს აღარ უცოცხლია, ყოველდღე სიკვდილის ახალი შტრიხი აჩნდებოდა, ბოლოს, სრულიად გახმა, ფესვიც კი არ დარჩა ცოცხალი შთამომავლობისთვის. ახლაც ამეკვიატა მოულოდნელად ტვინში ჩასახლებული მელოდია, შემდეგ ის სხვამ შეცვალა... ასე, მონოტონურად.

...და მაინც, სიმღერა ჩემზე ამინდივით მოქმედებს – ზოგი წვიმას მაგონებს, ზოგი – მზეს, ზოგიც – გრიგალს. საუკეთესოდ კი ის ამინდი მიმართია, უკვალოდ რომ არ ჩაივლის. თუ წვიმაა, დაე, ინვიმოს კოკისპირულად, დატბოროს, გუბეებად აქციოს ნაგუბრები, გააკრიალოს, – ლაქვარდოვანი გახადოს სივრცე. ამ დროს შორეული მთებიც სისუფთავით ბრწყინვას და ხელის განვდენაზე მეჩვენება. თუ ყინავს, დაე, ისე ყინავდეს მინები დაბზაროს, წყლის ყველა ზედაპირი სარკედ აქციოს... გრიგალი დაატყდეს ასწლოვან ხეებს, თავიანთი მომრევი რომ არავინ ჰეგნიათ, – აგრძნობინოს, ბუნება მათზე ძლიერია, – თვალისდახამხამებაში შეუძლია დაანარცხოს მიწაზე... მეტისმეტად მკაცრი დღეა. ყველაფერი შფოთიან ლოდინს მოუცავს...

სახლებს ზემოთ ელვის ვერცხლისფერი ბუჩქი ავარდა, დაიგრუხუნა. შორს რაღაც აშრიალდა, შრიალი მოახლოვდა თანდათან...

...იწყება!...



მარიამ კალგახელიძე

საქართველოს სამართლებრივი უფლის მინისტრი

რაჯ შეიძლება სწრაფად მინდონდა დედამიწაზე ფავშე-
ნულიყავი... გული საშინალად მიფერებული და მძიმედ,
სულმოუთქმელია ვსუნთქავდი... ქალაქის მურსიან გზე-
ზე ვამჩნევდი უამრავ ადამიანის... მოულოდნელად კი
მოხური კარ შევნიშნე... ფრთარა თმით, გამშრალი ცუჩე-
ბით... ხელიში ჭირნდა დამსკაფარი და დაწყლოულებული...
ფარერებულ სახეზე სევდის და ფარდის ნილი გადაპავ-
როდა...

მარიამ კალგახელიძე

49



ანგელოზები უხმოდ ტირიან...

(საშობაო მოთხოვა)

შობის ნინა ღამე იდგა... სასიამოვნოდ იღ-
ვრებოდა სახლის საკვამურებიდან სითბო...
სიცივე სუფევდა გაყინულ ქუჩებში... ყინული
გადაფარვოდა ყავისფერ მინას... თუმცა ღამეს
ასხივოსნებდა სასწაულის ძალით დანთებული
კელაპტარი... მიაბიჯებდა ხალხი ღამის სიჩუ-
მეში... ჯერ არ დამდგარიყო შობა... მე ციდან
დავყურებდი დედამინას, მშვენიერ ქალაქს,
რომლის ქუჩებში ლამპიონებიდან ულევი
სინათლე იკლავნებოდა... ალბათ ყველას წარ-
მოვედგინე იქროსფერ კაბაში გამოწყობილ,
თეთრ ფრთებ შებმულ ახალგაზრდა გოგონად
რომელიც სასწაულებს ახდენდა... მაგრამ მე
ხომ ვიცოდი, რომ უბრალო ანგელოზი ვიყა-
ვი... არავითარი ძვირფასი კაბა არ გამაჩინდა...
მხოლოდ სიკეთე, სათნოება და ზღვისფერი,
ბობიქარი თვალები ძლიერი გამოხედვით...
ბენიერებით და ამავე დროს მწუხარებით
ალსავსე სახე და ქერა, მბზინვარე თმა მქონ-
და... შობის ანგელოზი ვიყავი... ყოველ შობას
დავდიოდი სხვადასხვა ოჯახებში და მათ სურ-
ვილებს ვასრულებდი... სხვა ანგელოზებიც
იყვნენ, მაგრამ რატომლაც ყველას გამორჩეუ-
ლი ვეგონე... ალბათ იმიტომ რომ თითოეულის
გრძნობას ვგრძნობდი, თითოეულის ტკივილს
ვიზიარებდი, ყველას ცრემლზე მეტირებოდა...
ახლა კი გადმოვცექროდი მინას და ვნატრობ-
დი მის სურნელს... რაც შეიძლება სწრაფად
მინდოდა დედამინაზე დავშებულიყავი...
გული საშინალად მიფერებული და მძიმედ,
სულმოუთქმელად ვსუნთქავდი... ქალაქის ბუ-
რუსიან გზებზე ვამჩნევდი უამრავ ადამიანს...
მოულოდნელად კი მოხუცი კაცი შევნიშნე...
ჭალარა თმით, გამშრალი ტუჩებით... ხელები

ჰქონდა დამსკდარი და დაწყლულებული... და-
ბერებულ სახეზე სევდის და დარდის ნილაბი
გადაპკვროდა... მის დანახვაზე სხეული მიბ-
ორგავდა და გული მეწვოდა... საწყლად მია-
ბიჯებდა თავდახრილი... ფრთები მოვიქნიე და
მინასთან ახლოს დავიწყე ფრენა... თმა გამწე-
ნოდა და სხეულს ვეღარ ვგრძნობდი... გაფი-
ტულ ფიქრებში ჩაძირული გემივით ვუშვებდი
იმედის ღუზას, რომ იმ მოხუცს დავწეოდი...
ვერავინ მხედავდა, მე ხომ უჩინარი ვიყავი...
უშიშრად მივყვებოდი უბედურ და ცხოვრე-
ბისგან მწარედ დაჩაგრულ ბერიკაცს... მოუ-
ლოდნელად გაქუცულ კედლებიან სახლთან
გაჩერდა და კარი შეაღლო... ჭრიალით გაიხს-
ნა კარი და ბერიკაცი სახლში შევიდა... ხელთ
ეპყრა ერთადერთი პარკი რომელშიც სანთელი
იღო... მეც შევყევი... რატომლაც სისპეტაკით
ალსავსე ადამიანად მომეჩვენა... იქვე დავეშვი
და გახვითქული ბუხართან მივესვენე... კაცმა
სანთელი ამოიღო და გაცრეცილ და გაპარ-
ტახებულ, ცისფერ-მოთეთრო, სუფრიან მაგი-
დაზე სასანთლეში ჩადო... აანთო და მაგიდას
მიუჯდა, თავი ჩაღუნა და თვალები მოლულა...
უმწეოდ სუნთქავდა... ალბათ ფიქრობდა, რომ
დაბერდა და დედამინაზე ზედმეტი იყო... მა-
გრამ ის არ იცოდა, რომ ძლიერ ცდებოდა... იგი
თავისი სათნოებით ყველას უყვარდა... არავინ
ჩანდა პატარა ოროთახიან სახლში... მოხუცი
მარტო ცხოვრობდა... რამდენი რამ მინახავს,
მაგრამ ასეთი მარტოსული და სულიერად
ძლიერი კაცი არასოდეს შემხვედრია... ცოლი
ალარ ჰყავდა... შევილისგან წლებია არაფერი
იცოდა, მისი ფოტოები თავის ოთახში ელაგა...
რა არ განუცდია ამ საბრალო კაცს... ბედმა





სამუდამოდ ზურგი შეაქცია... ცოლი მაშინ გარდაეცვალა, როდესაც შვილი ავღანეთში საომრად წავიდა... უცებ თვალიდან ცრემლი გადმომმვარდა... ქვითინი დავიწყე... მე ხომ იმვიათად ვტირი, მე ხომ ანგელოზი ვარ... ალბათ რა ძვირფასია ჩემი ცრემლები... როგორ მინდა ჩემი ტირილი სხვებსაც ესმოდეთ... როგორ მინდა ბოლო ხმაზე ვიტირო, მაგრამ არ გამომდის... ალბათ იმიტომ რომ ანგელოზი ვარ... უჩუმრად, მდუმარედ, უხმოდ ვტირი და ჩემი ტკივილი არავის ესმის... ამეტირა მარტოხელა კაცზეც, რომელიც მარტოსულად ხვდებოდა შობას, სანთლით ხელში, სასწაულის იმედათ... ელვარებდა სანთელი, ანათებდა მკაფიოდ და ძლიერად... მხოლოდ რწმენაა საჭირო, როგორც ამბობენ, რწმენა დგამს პირველ ნაბიჯს როცა კიბეს სრულად ვერ ხედავ... გული გამეპო, ტკივილით და სევდით ალიესო... დიდხანს ვფიქრობდი რა შემეძლო, რა იყო მოხუცის ბედნიერებისათვის საჭირო... მინდოდა მისთვის ის ადამიანი დამებრუნებინა რომელიც მას მოუფრთხილდებოდა... ანდა მასთან ერთად შეხვდებოდა შობას... მხოლოდ ერთი საათი ვიყავი ამ კაცთან უჩინრად და რწმენით აღვივსე... ბერიკაცი ძალიან შემიყვარდა... მინდოდა მისთვის მეთქვა, რომ რწმენა ჰქონდა და ყველაფერი კარ-

გად იქნებოდა... ვლუღლუღებდი და ცრემლს ვლვრიდი... მერე ბერიკაცს მივუახლოვდი და თავზე ხელი დავადე... თვალები დავხუჭე და ძალა მოვიკობე... სანთელი ჩაიწვა და კაცი გაფითრებული წამოდგა... გაშეშებულს ლურჯი თვალებიდან ცრემლი ღვარად მდიოდა... ბერიკაცს ნამტირალევი თვალები ჰქონდა... ორ წუთში შობა დგებოდა... კაკუნი გაისმა... კაცი შეშინებული და გაფიტული სახით წავიდა კარისკენ... ამ დროს კარი გაიღო... სახლში დაახლოებით ოცდახუთი წლის ჭაბუკმა შემოაბიჯა წაბლისფერი სევდიანი თვალებით და მსხვილი ტუჩებით... ბერიკაცს სახე გაუშეშდა... ერთი ამიობლავლა: შვილო! და ბიჭს ჩაეკრა... ჩემო ბიჭო! ჩემო იმედო, ჩემო ტკივილო... სწორედ ამ დროს დადგა შობა... და ყველამ ინამა შობის სასწაული... მე ვტიროდი და მამა-შვილს ცრემლიანი თვალებით შევცქეროდი... ძალიან მოვინდომე... ჩემი ანგელოზებიც ტიროდნენ... ბერიკაცმა ეს დაიმსახურა, დაიმსახურა თავისი სიკეთით... ამიერიდან ყოველ შობას დავვეხმარები მარტოხელა მოხუცებს... მათ გავახარებ, ზოგჯერ ვიცინებ, ზოგჯერ კი უხმოდ ვიტირებ... ანგელოზი ვარ, არა მდიდარი და ოქროსფერკაბიანი, არამედ ძლიერი და სასწაულებრივი... მწამს სასწაულების... მე ხომ უხმოდ მოტირალი ანგელოზი ვარ...



თამარ
გელაძე

ს ი უ კ რ უ ლ ი ს

სიყვარულით ფანტურული ფილა,
სიმარტოვით შეერთა დამტებ...
ტყიფილი და სიქრუეთა ხილვა
მერამდენედ, ითვლის სულში ლარებს...
ლირის ფარულობი, დამზინებულ ტყვიას,
კიფე, ერთხელ, შეუშვირო გული?..
...ზამთარია, სულში, ისევ, მოთოვს,
არ მსურის გრძნობად მეტეს დამის რული...

თამარ გელაძე

51



მიყვარხარ...

მე შენ მიყვარხარ... ამოდულდა ძარღვებში თრთოლვა...
მე შენ მიყვარხარ... ვჩურჩულებ და ვაჯერებ ფერებს...
ამოუცნობი ნოსტალგია მიპირებს კვდომას...
მზიდან წამოსულ სხივებს ვაფენ, ნაზად, ჭრილობებს...

სუნთქვა მჭირდება, აკორდებად, რომ ვშობო გრძნობა
და ნაზამთრალი სიყვარული გავაღლო ჩემში...
სუნთქვას მოგპარავ დახამებულ ნაკოცნ ტუჩიდან
და ავყვავდები... იასამნად მეფრქვევა თქეში...

ურცხვად ვიხსენებ მიტოვებულ ფიქრში შეგრძნებებს...
გალუმპულ ტუჩებს ჩაგაყოლებ ყელზე ნათითურს...
მკვდარ არტერიებს გავუბმირებ მოცისფრო ფეთქვას
და გულის ცემას ავაყოლებ მოვარდნილს ველურს...

თვალებს შერჩებათ, ალბათ, მაინც, სევდის ნაფლეთი,
ვერ მოვახერხე, რომ საწუთოს მოვპარო შვება...
მოდი, ჩამჭიდე გაციებულ ხელზე ხელები
და დამავიწყე სასწაული, რომ აღარ ხდება...

ოოჲ, ისე შორს ხარ, ისე ახლოს, რომ მიქირს მოგწვდე...
გაფიქრებაც კი, მზარავს, ხშირად, ამაო განცდის...
თვალებს დავხუჭავ, ტუჩებს ვმალავ, გავყურებ წყვდიადს...
და გაზაფხულის მონატრება სიკვდილს არ მაცდის...

ისევ შემორჩენია

როცა დილა თენდება და შენზე ფიქრს ვიჩემებ,
როცა შენი შეხვედრის წამებს ფიქრში ვითენებ...
სიხარულის მორევი იწყებს გულში ხეტიალს,
ჩემში ჩაკლულ სიყვარულს გაღვიძების ხვედრი აქვს...
შეგრძნებები შეხვედრის სულში მომნატრებია...
შენ ხომ სადღაც სუნთქავ და ის სუნთქვა ხომ ჩემია,
ცაზე ლურჯი ზედამე ჩვენთვის, მხოლოდ, ჩვენია,
და მთის წვერზე მზის სხივი თვალში გამნათებია...
მოარული სენია ჩემში შენი რაობა –
და გვიქრდები, უშენოდ ყოფნა... არარაობა...





ცას დავკიდე, საყურედ, საქანელა გვირილით,
შენსკენ გადმოვეშვები კესანების გვირგვინით...
გულზე ლალი ლილილო დამდაგველი ფერია,
შენი ამოსუნთქვა და ეგ ჩასუნთქვაც ჩემია...
ეს სიზმარი ცხადია? – თუ, ცხადია სიზმარი???

თითქოს, ვერც გავრკვეულვარ, შენთან მოსვლას ვიჩეარი...
ცისფერ მირაჟს ოცნების ფრთები დასჭრელებია,
სიყვარულის ფრინველი გულში ჩამსახლებია...
მიხარია, ალიონს, რომ შევცქერი ხალისით
და ამ გრძნობას, როცა შენ მიათმაგებ ალერსით...
ბაგეს შენი სურნელი, ისევ, შემორჩენია...
სიყვარული, ეს განცდა, ჩემთვის, ყველაფერია...

ჩემში აინთერი

...ჩემში აინთები... ცეცხლად აალდება შენი მონატრება...
მონატრების სურვილს, ზამთრის გარიურაჟი მკლავზე გადაიხვევს,
ისევ გელოდები... ყვითელ მირაჟიდან მოდის მოლანდება,
მოდის და ოქროს თმებს თეთრი მონაბერით გულზე გადაინვენს...

...სუნთქვას შემიჩერებს შენგან გადმომსკდარი კოცნის ქარიშხალი...
შენი ნატურარი ამოყვავებულ მკერდს ხალად დააჩნდება...
თითო ამოსუნთქვა, ბაგეს მოწყვეტილი ტკბილი ლოცვა არის, –
და ცოდვის ბილიკზე მწველი სიყვარულიც – იად ამოჩნდება...

ფიქრთა კვირტებიდან თრთოლვით ამოსკდება შენი მოფერება...
ტუჩებს მოწყვეტილი ჩუმი ჩურჩული და ოხვრის აკორდები...
ჩემში ჩაინთემები, როგორც გაზაფხულის ცხელი გაელვება...
და, ვარდობის ბოლოს, ტრფობით დაჩითული ახლად ავყვავდები...

სიყვარულით

სიყვარულით დაწყებული დილა,
სიმარტოვით შეერია ღამეს...
ტავილი და სიცრუეთა ხილვა
მერამდენედ, ითვლის სულში დარებს...
ღირს ფარულად, დამიზნებულ ტყვიას,
კიდევ, ერთხელ, შეუშვირო გული?..
...ზამთარია, სულში, ისევ, მოთოვს,
არ მსურს გრძნობად მექცეს ღამის რული...
თაფლისფერში აირია სილა...
ოცნებებში გაიგლისა შსამი...
ქალს უყვარხარ, როცა სულზე მეტად,
მეფეც ხარ და მონაც, ტრფობის ხამიც...
გულში ბზარად გაჩენილი ეჭვი...
სულში ეკლად ჩარჩენილი სევდა...
ვერ ვიჯერებ, მაგრამ, თურმე, ქარი
ბედისწერას ნაკუნებად ხევდა...
ერთგულება თუ, „მონობა“ არის,
სიყვარულის ყმობას ვარჩევ ხვედრად...





ნეტავ...

ნეტავ, შენი მქმნა, ვაუაო, გულს ვარდად მოგედებოდე,
ჩამავყვებოდე წიავსა, შენს სასთუმალთან ვჩნდებოდე,
დაგმზერდე ტკბილად მძინარსა, შენის ხილვითა ვთბებოდე,
შენს წანლად გადამაქცია, მაგ გულზემც დაგადნებოდე.
შენის ფერებით გამთბარი, კვეს-აბედ ავენთებოდე,
სუნთქვას გიკრავდეს ალერსი, ვნების დემონად ხდებოდე,
თვალს გიძიმებდეს სურვილი, თვალწინ ველარას ხედავდე,
ბაგით ზომავდე ჩემს ბაგეს, წელს სუროდ შამამხვეოდე.
შენი ალმურით დამწვარი ფერფლადამც გადგექცეოდე,
თვალს გიკოცნიდე ლამაზსა, ტუჩის კუთხეში ვდნებოდე,
გულს გიძერებდეს სურვილი, უბეშიმც ჩამელვრებოდე,
გონდაბინდული, ტრფილით, ერთარსად გადვიქცეოდეთ...
შენი წასუნთქი ჰაერი ყურის ძირს მეფერებოდეს,
იად და ვარდად ქცეული გულზედამც გეფინებოდე,
შენით ვხატავდე სამყაროს, შენშივე ჩავენთქებოდე,
შენით ვიწყებდე ცხოვრებას, შენითვე დასრულდებოდეს...

მომენაჭრები...

...მომენაჭრები და, სუნთქვისთვის, დავითვლი წამებს...
თითს გაფაყოლებ ტუჩებს – შენი ტუჩით წაკოცნებს...
...ფიქრს გამოვყები, ოცნებებში დაკარგულს გეძებ
და შენი კოცნა არტერიებს მითბობს, მაოცებს...
ჩუმი ჩურჩული... ცხელი სუნთქვის მწველი შეგრძნება,
ამათვლევინებსა მონატრებით ანთებულ დილას...
მე შენს თვალებში დავინახავ სიყვარულს წატიფს,
შენ ამ თვალებში გააღვიძებ ჩემს სიზმარს, – მძინარს...
მკერდს დააჩნდება შენი სუნთქვის წათითურები
და სიყვარულის მონატრება წალეკავს წყვდიადს...
მე შენ მოგანდე ჩემი ლოცვის საკეტურები
და სიყვარულის ქარიშხალი ულმობლად გრგვინავს...

მელანქოლია...

რა, თავხედურად შემოიჭრა იმედი გულში...
და, უკითხავად, გაბატონდა, დაიდო ბინა:
– სითბო არ არის, აქ, ძვირფასო, ზამთრისპირია...
– ჩემთვის თბილაო... და ხელები უბეს იფინა...
ბაგეს ღიმილი მიესატა, კუთხე ჩაცურდა
და ირონიამ აყვავება იწყო – წელ-წელა...
– ვერ გაუძლებო... გასრიალდა სიმშვიდე ქვაზე,
– გამიძლიაო... გაიუდერა, ნისლისფრად, ბერამ...
სევდისუერ თვალებს შეეპარა, წამით, სიამე,
მაგრამ, უეცრად, მოგიზგიზე ცეცხლს ემონება...
– შენი გზა ნახე, გაზაფხული გეძახის სხვაში,
– აქ, ჯობიაო, გაზაფხულიც მე მემონება...
...სარკის ნამსხვრევი შეერია ოცნების ცრემლებს,
ლოყას ჩამოჰყვა, ჩამორეცხა, თან, ირონია,
ეს სიგიურა, ან, ოცნების ნახატი – წამი...
სულში ბატონობს, შემზარავი, მელანქოლია...





၁၀၁။

ဒုက္ခနာဂိုလ်

בְּשָׂרֶב וְשִׁבְעָה

მიკას სულ უცვირდა იმისი მასზევლებლობრა. ამა, როდის იყო მასზევლებელი ხელში ფანქანს გაძლევდეს და გეუძნებოდეს, დახატე ან დაწერე რაზ გინდა... არა საშინაო დავღლება, არა მკარი ტონი, არა ნიშნები... სავალდებულო მხოლოდ ფორმის ტრენერა იყო (ყავისფერი გრძელი კაბა, ფიჭი, ჟულონას გამანჯული საყლოოთი და თეთრი პეტარა არშიით).

ეთერ ფირანიშვილი

本院于2019年1月2日向原告送达了《开庭传票》、《举证通知书》、《民事裁定书》及《诉讼权利义务告知书》，并定于2019年1月15日上午9时在本院第五审判庭公开开庭审理此案。

* * *

1995 წლის 1 სექტემბერს, მეფე ერეკლეს სახელობის თელავის №1 საჯარო სკოლის ყოფილი დი-რექტორის ქალბატონ დარევან ჭანკოტაძის და პროფესორ გიორგი ჯავახიშვილის ინიციატივით, სკოლის ერთ-ერთ პირველ კლასს ეწოდა „ნმინდა ნინოს“ სახელობის კლასი, სადაც ოთხი წლის განმავლობაში ისნავლიდნენ მხოლოდ გოგონები, ოდნავ განსხვავებული პროგრამით და განსხვავებული ჩაცმულობით (გრძელი კაბები). კლასის ხელმძღვანელად დაინიშნა დაწყებითი კლასების მასნავლებელი, მორჩმენე ქალბატონი ლია ლეკიშვილი. განსხვავებულ საგნებს ასწავლიდნენ მოწვეული პედაგოგები: მუსიკა – ქალბატონი ირინე ლუდუბეგიძე, ხატვა – ქალბატონი ლეიილა ბაგრატიონი, ქარგვა – ქალბატონი ლია ბადურაშვილი, ქართული ადათ-წესები – ბატონი გიორგი ჯავახიშვილი.

ოთხი წლის განმავლობაში კლასს კურირებდა საქართველოს დამსახურებული მხატვარი ქალბატონი ნანა ბოტკოველი. სსენებული მასწავლებლები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობდნენ პატარებთან.

ნანა ბოტკოველი პერიოდულად ჩამოდიოდა თელავში, სტუმრობდა სკოლას და მოსწავლებს უტარებდა ხელოვნების გავეთილებს. გარდა ამისა, ყოველ ზაფხულს, რიგორიგობით, ერთი კვირით, თბილისში, თავის სახელოსნოში, სტუმრად იწვევდა ორ-ორ გოგონას, ასწავლიდა ხატვას, ძერნვას (მასალა – თიხა), ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე, ესაუბრებოდა რელიგიაზე, ათვალიერებინებდა თბილისის ისტორიულ ადგილებს, აკნობდა თბილისში არსებული კულტურის იტორიას.

2001 წლს, შემოდგომაზე, ქალბატონი ნანა „ცუდ მოსახვევში“, საკუთარ სახლთან ახლოს, მოულოდნელად დაიღუპა აკტორების ტრიუფი.

პატარებმა დაკარგეს ძვირფასი მასწავლებელი, ძვირფასი ადამიანი, რომელმაც თან წაიღო „გულის პირველი ნაწილი“, წაიღო იქ, „სადაც მართალი განისვერწებენ“.

გავიდა წლები და „წმინდა ნინოელები“ ხშირად იხსენებენ და ეძებენ ბედნიერების იმ სახლს, სადაც, ქალბატონმა ნანამ „გააფერადა მათი ბავშვობა“.

ეთერ ფირანაშვილმა „დაკარგული სახლი“ მიუძღვნა საქართველოს დამსახურებულ მხატვარს, საზოგადო მოღვაწეს ქალბატონ ნანა ბოტკოველს.

ეთერ ფირანიშვილი დაიბადა 1989 წელს თელავში. ეთერმა დაამთავრა მეცნე ერეკლეს სახელობის თელავის №1 საჯარო სკოლა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

ეთერ ფირანის მუშაობს თბილისის მერიის აუდიტის სამსახურში, ჰყავს მეუღლევა და ორი შვილი.

ლარეჯან ჭანკოტაძე



დაკარგული სახლი



ნანა ბოტკოველი

1.

მიკას ბავშვობა იმ ბროლის კოშეს ჰგავდა, სა-დაც მხოლოდ ბედნიერება აღწევს, სადაც ოცნებები სრულდება და სადაც ტეკივილის, შიშისა და მსგავსი ემოციების ადგილი არ არის. ამ კოშკის არსებობაზე, მაშინ ბევრი ადამიანი ზრუნავდა, ბევრი იცავდა მის ბავშვობას ყველაფერი უარყოფითისგან... მათ შორის, ერთ-ერთი მისი მასწავლებელი იყო, განსაკუთრებული ადამიანი, რომელიც იმდენ სიყვარულს და ენერგიას ასივებდა, რომ წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა ყველა შემსვედრზე.

ერთმანეთი სკოლაში გაიცნეს, ის მოხალისე მასწავლებლის სტატუსით იყო იქ, მიკა დაწყებითი კლასების მოსწავლე...

მოსწავლის პირველი შთაბეჭდილება: „ნეტავ, არ სტკივა ყურები ამ სიმძიმე საყურეებისგან?“ მას შემდეგ მიკა სულ აკვირდებოდა მის საყურეებს (სხვა სამაულებიც ძნელი იყო თვალში არ მოგხვედროდათ), დღესაც ახსოვს ვერცხლის მასიურ ნაკეთობაში ჩასმული სამი ნარინჯისფერი თვალი და კიდევ რამდენიმე მსგავსი სამაული, რომელიც ასე უყვარდა არც ისე მოდურად და გაპრანჭულად ჩაცმულ მასწავლებელს.

მიკას სულ უკვირდა იმისი მასწავლებლობა. აბა, როდის იყო მასწავლებელი ხელში ფანქარს გაძლევდეს და გეუბნებოდეს, დახატე ან დაწერე რაც გინდა... არც საშინაო დავალება, არც მკაცრი ტონი, არც ნიშნები... სავალდებულო მხოლოდ ფორმის ტარება იყო (ყავისფერი გრძელი კაბა,

დიდი, ყელთან გაბანტული საყელოთი და თეთრი პატარა არშიით). ამ ფორმაში სიარული კი ისე ეა-მაყებოდა, ნამდვილ დღესასწაულს ჰგავდა ყოველი დღე, არც თუ ისე მოსახერხებელი, ყავისფერი გრძელი კაბით.

წელიწადში, სულ, რამოდენიმეჯერ ხვდებოდნენ ერთმანეთს... სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობდნენ და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ახერხებდა მასწავლებლის როლის მორგებას იმ დროისთვის საკმაოდ ცნობილი და პატივსაცემი ქალბატონი დიდი საყურეებით და მოსიყვარულე ხმით. ეს იშვიათი შეხვედრა კი უფრო ამძაფრებდა შემდეგი „გაკვეთილის“ მოლოდინს... მოლოდინი კი მორიგი აღტაცებითა და ბავშვების ბედნიერებისგან გაფართოვებული თვალებით, რომელიმე მონასტრის მშვიდ გარემოში, მშვიდი საუბრებით სრულდებოდა და იწყებოდა ოცნება მომავალ გაკვეთილზე. ეს იყო ბედნიერების გაკვეთილები ბედნიერებაზე. კი, ესეთიც არსებობს თურმე... და მაშინ, თუ სადმე ახლოს ჩაგივლიათ და დაგინახავთ, ფორმებში გამოწყობილ გოგონებს როგორ ესაუბრებოდა ერთი ქალბატონი წითელი თმითა და ფართო, უფორმო ტანსაცმლით, მაშინ თქვენც იგრძნობდით იმ არაამქვეყნიური ბედნიერების ძალას.

2.

წლები გადიოდა, მიკას გონებაში მოგონებები მოგონებებს ემატებოდა, ყოველი შთაბეჭდილება მის ცნობიერებაში იღებებოდა და ბავშვობა კიდევ უფრო შესაძურ ზღაპარს ემსგავსებოდა... შეხვედრა პატრიარქთან, ტრაპეზი მეუფესთან და მონასტრის დედებთან, ერთ დროს შორიდან მომზირალი, მეოცნებე თვალები, ახლა პირადად ხვდებოდა ადამიანებს, რომელთა არსებობაც რეალობაში ძნელი დასაჯერებელი იყო, ავტორის ხელმოწერილი პირველი წიგნი, უდიდესი მადლის მატარებელი სამღვდელოებისგან ნაჩქარი ხატები, პარაკლისები მხოლოდ ფორმაში გამოწყობილი გოგონებისთვის, მათივე „ნამუშევრების“ ორი გამოფენა მოწევული სტუმრებითა და პირველი ინტერვიუ ტელევიზიონით... ეს შთაბეჭდილებების მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია, თუმცა მიკას ყოველი წუთი იმდენად ცხადად ახსოვდა, ხატვა რომ შესძლებოდა, სათითაო მომენტს გააცოცხლებდა, ალბათ.

ერთ ზაფხულს, მიკა და მისი თანაკლასელი ერთი კვირით სახლში მიიწვია ზაფხულის არდა-დეგებზე დასასვენებლად. მშობლები დაამშვიდა, თქვენს შვილებს თვალის ჩინივით გავუფრთხილდებით და სახლში გაისტუმრა...

სამსართულიანი სახლი, ყურძნის ხეივნით შესავლელში, ეზოში ხილი (მუშმალა), რომელიც მაშინ პირველად გასინჯა მიკამ, იქვე პატარა სახელონი, რომელიც მალევე იქცა საყვარელ ადგილად, მაღალი კიბეები და კარი, რომლის მიღმა მოხვედრა





სხვა სამყაროში გადანაცვლებას უდრიდა... დერეფანი და... უზარმაზარი ოთახი, სავსე ნახატებითა და კერამიკით, ძალიან ცოტა ავეჯითა და დიდი სამუშაო ადგილით. ოთახის მარჯვენა კუთხეში რკინის კიბები და ზემოთ პატარა საძინებელი დიდი აივანზე გასასვლელით...

ერთი კვირა არც ერთს უძინია. „ბევრი საქმე და ცოტა დრო“ – სულ ამას იმეორებდა მასპინძელი და ბავშვებს სახალისო დაცვლებით ართობდა. მუშაობა და უძილობა ასეთი სასურველი ალბათ, მხოლოდ ბავშვობაშია... დატვირთული დღის რეჟიმი ხელოვანების, მხატვრობისა და კერამიკის უცნობ სამყაროში და საღამოს „რუტინა“ – შთაბეჭდილებების რეველში ჩანაწერი, სათაურით „დღეს“... შემდეგ, კი თავისუფალი დრო, რომელსაც ძირითადად აივანზე ატარებდნენ საქანელებში ნებივრობითა და სავსე მთვარის ყურებით. ბევრჯერ სცადეს აქედან მთვარისათვის სურათის გადაღება, რაღაც განსაკუთრებულად ლამაზი ეჩვენათ იქიდან შავი ცა, თეთრი მთვარით, თუმცა ვერ აღეჭდეს, ფოტოაპარატმა ვერ „აღიქა“, ალბათ, იმიტომ, რომ მთვარე ასე ლამაზი, ბავშვების ბეღნიერებისგან ანთებულ, დაღლილ თვალებში ჩანს მხოლოდ...

მიკას ახლაც ახსოვს დილის სეიფისკვერები, რომელსაც სამად უყოფედა ორ სტუმარს და საკუთარ შვილს მასნავლებელი, რომელიც მასნავლებელს არ ჰეგვდა, „მალაკოიანი კრეკერების“ უცნაური გემო (რომელიც მაშინ გასინჯა პირველად და მას მერე არსად უჭამია), რის საყიდლადაც ერთად მიდიოდნენ პატარა მაღაზიაში. „იქ, ცუდი მოსახვევია და ხელი არ გამიშვათ, მანქანები გიუჟებივით დადიან“, არ ბეზრდებოდა სახლიდან გასვლის წინ ამ ფრაზის გამეორება. მერე ტილოს მსგავს გრძელ სახელოებიან მოსაცმელს შემოიცვამდა, „მერე რა, რომ ზაფხულია, ეს ძალიან გრილია“, თავს გაიმართლებდა, ბავშვებს შეათვალიერებდა მზრუნველი მზერით, ხომ ფორმაში არიანო და ყველა ერთად მიდიოდნენ საშიში მოსახვევისკენ.

ერთი კვირა თვალის დახამხამებაში დასრულდა. ემოციებითა და შთაბეჭდილებებით სავსე ბავშვები კვლავ მშობლებს ჩააპარა მასპინძელმა და იმდენი კომპლიქტი უთხრა მათ შვილებზე, გზაში მიკამ მადლობაც დაიმსახურა კარგად მოქცევისთვის... ერთმანეთს მომავალ შეხვედრამდე დაემშვიდობნენ, იმ პირობით, რომ მომავალ ზაფხულს უფრო დიდი ხნით ესტუმრებოდნენ საყვარელ მასნავლებელს და უფრო ბევრ საქმეში „დაეხმარებოდნენ“. მიკას მამამ მანქანა დაქოქა, მუშმალათი სავსე ხელებით ძლივს მოახერხსა გულაჩუყებულმა ბავშვმა მიტრიალება და ბეღნიერი მზერით დატოვებული მასნავლებლის დანახვა მანქანის უკანა ფანჯრიდან... ლოყაზე ცრემლები ჩამოგორდა...

– მიკა, კიდევ ჩამოგიყვანთ, თან ხომ იცი, როგორ უყვარსართ და თვითონაც გინახულებთ უახლოეს მომავალში. სექტემბრის ტრადიცია გახსოვს? წელსაც აუცილებლად წაგიყვანთ იყალთოში, არ

იტირო. მალე შეხვდებით ისევ... – და ჩვეული მზრუნველობით მოწმინდა დედამ ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლები.

ამასობაში მანქანა „საშიშ მოსახვევს“ გასცდა და ასე იქცა მომავლის იმედით დამშვიდობება სამუდამო გამომშვიდობებად...

ზაფხული მალე მიიჩურა... 26 სექტემბერს ყავისფერ კაბაში გამოწყობილი და მორიგი დაუვინყარი „თავგადასავლის“ იმედით დაბრუნდა სკოლაში მიკა.

ერთი ჩვეულებრივი სასწავლო დღე გათენდა. მიკას სკოლა შეუძლიას ეწყებოდა და რადგან ყველა ოჯახის წევრი დილით ადრე მიდიოდა სამსახურში, იგი მარტო იყო სახლში და ემზადებოდა გაკეთილებისთვის.

სკოლაში წასვლამდე რამოდენიმევერ დაურეკეს ოჯახის წევრებმა. ცოტა ეუცნაურა ასეთი ყურადღება, ასე წარმარა არასოდეს მოუკითხავთ, მაგრამ ჩათვალა მოვენატრეო და კარი გაიხურა.

ქუაში ყველაფერი ყოველდღიურობას ჰგავდა. მიკამაც სწრაფად აირბინა მეორე სართულზე და როცა პირველი გაკვეთილისთვის, საკლასო ოთახის კარი შეაღო, რაღაც არანორმალურად აურიამულებული კლასელები მოხვდა თვალში. რამე განსაკუთრებულია დღეს? იყითხა გაუგებრობისგან დაბნეულმა მიკამ და სანამ პასუხს მიიღებდა, ვიღაცამ ხელი მოკიდა და კლასიდან გაიყვანა.

– რაღაც უნდა გითხრა, სანამ ამათგან გაიგეს. უაზროდ ცანცარებენ და ყურადღება არ მიაეციო...

ეს სიტყვები რაღაც ცუდის მომასწავებელს ჰგავდა, მაგრამ მიკას ბროლის კოშეში ცუდი რაუნდა მომშდარიყო... და... ცოტა დაფიქრდა, მაგრამ ნათქვამიდან აზრი ვერ გამოიტანა, თუმცა სანამ ხმას ამოიღებდა კლასელმა ტკივილით საესე ხმით რაღაც ჩაილაპარაკა:

– ჩვენი მასნავლებელი, აი, ის შენ რომ იყავი ამ ზაფხულს, ხომ გახსოვს... ის... ვიღაცამ მანქანა დააჯახა... ვერ გადაარჩინეს...

– ოო, რას მეუბნები! რას მეუბნები! წამოდი, კლასში შევიდეთ.

მიკამ საკლასო ოთახის კარი შეაღო და თანაკლასელიც უკან შეჰყვა, ამჯერად სიტყვის უთქმებად...

კლასში მასნავლებელი შემოვიდა... ყველა ჩამშვიდდა და გაკვეთილი დაიწყო. სის ამოკითხვამდე, მასნავლებელი მიკასთან მივიდა და ჰკითხა, კარგად ხარო? მიკა გააკვირვა განსაკუთრებულმა ყურადღებამ და თავი არადამაჯერებლად დაუქნია თანხმობის ნიშნად. ცოტა ხანში, საკლასო ოთახის კარი კლასის ხელმძღვანელმა შემოაღო და მიკას ისევ თავისი სახელი ჩაესმა...

– დათხოვილი ხარ, გადი, გეძხიან... თავზე ხელის გადასმით უთხრა მასნავლებელმა და კარისკენ მიანიშნა...

ახლა თითქოს რაღაც იგრძნო, ადგომა უცნაურად გაუჭირდა... თვალები ცრემლებით აევსო,



წაბორძიკდა, მაგრამ უკეთესის იმედით, მაინც შეძლო გარეთ გასვლა:

მხოლოდ ის დაამახსოვრდა, რომ ვიღაც ჩაეხუტა... მერე ვიღაც მიეფერა, მგონი რაღაცეები ელაპარაკეს, მაგრამ, მას შემდეგ, მოგონებები ბურუშში გაეხვია...

კიდევ ხუთი გაკეთილი გაატარა სკოლაში და მერე დედამ მოაკითხა წასაყვანად... დედის ცრუმლების დანახვაზე ყველაფერი უფრო რეალური გახდა..., პირველი სიცარიელე ბროლის კოშეში, პირველი ტკივილი... უცნაური უჰაერობა მზიან დღეს...

– მთვრალი ყოფილა მძღოლი, ხოდა იქ, სახლთან ცუდი მოსახვევი რომ იყო, ხომ გახსოვს, იქ საჭე ვერ დაუმორჩილებია... ზეგ წაიყვანთ... „გამოსამშვიდობებლად...“

მიკა გონს სახლში მოვიდა...

– სექტემბრის ბოლოს ალარ ჩამოვა? – რომ გაერკვა სწორად მიხვდა თუ არა რას ელაპარაკებოდნენ, ამის კითხვადა მოახერხა და პასუხის ისე შეეშინდა თვითონვე შეცვალა საუბრის თემა, – ზეგ, ფორმას ჩამაცმევთ?

– კი, ყველას ფორმები გეცმებათ... თუ არ გინდა...

– არა, მინდა... მიყვარს ეგ ფორმა...

მეტი სათქმელი არაფერი იყო... მხოლოდ ისლა დაამახსოვრდა, რომ ვიღაცამ შორიდან მიაძახა „დრო ყველაფრის მუურნალია“. ზედმეტად დაიღალა, იმაზე დასაფიქრებლად რა უგულოდ უდერდა ეს ფრაზა, ამიტომ არ შემჩნია და საბანში გაეხვია სამყაროსგან გაქცევის სურვილით

3.

მართლა წაიყვანეს ფორმიანი გოგონები „გამოსამშვიდობებლად“ ეკლესიაში... მერე დიდუბის პანთეონში... მათ დანახვაზე ყველას ერთი ფრაზა ეკერა პირზე: „ეს ის ბავშვები არიან?“ და იმის გაც-

ნობიერება, რომ მათ შესახებ ამდენ ადამიანს უყვებოდა მათი მასწავლებელი, გულს სიამაყით უვსეტდა სიცარიელის შეგრძნებით გაბრუებულ მიკას.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა... დაპირებული „დრო ყველაფრის მუურნალია“ კი ცარიელ სიტყვებად დარჩა. თავიდან სიცარიელე ყოველდღიურობაში ჩაითრია და მორიგი გაკეთილის მოლოდინის ილუზიამ ცრემლი თვალზე შეაშრო... მერე, კიდევ დრო გავიდა და სექტემბერში იყალთოს აკადემიაში მისვლა დამძიმდა... მერე ახალი ავარია და ერთერთ, ერთ დროს ფორმიან გოგონას ყოველთვის მზრუნველი მასწავლებლის იმედით გამოემშვიდობნენ სიცარიელეს შეწვეული გოგონები... მერე მიკას მოგონებებმა შთანთქა იმ სახლის მისამართი სადაც, ბოლოს, ასე ბედნიერი სახითა და მომავლის გეგმებით დატოვა უძირფასესი ადამიანი, რომელმაც გულის პირველი ნაწილი წაიღო თან სხვა სამყაროში, იქ, „სადაც მართალი განისვენებენ“... მერე, მიკა იმ ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც „ის“ სახლი ელოდა, მაგრამ ვეღარ მიაგნო...

დღესაც თვალების ცეცებით, ყველა მოსახვევში, ისევ იმ ადგილს ექვებს, სადაც ხელჩაუიდებული, უცნაური საუზიმის საყიდლად დადიოდნენ წლების წინ, ბედნიერ ზაფხულში... იმ, რკინის კარს, რომლის მიღმაც მისი უდარდელი ბავშვობა იმაღება... იმ დიდ აიგანს, საიდანაც მთვარე ასე უცნაურად ლამაზი ჩანდა...

ნეტავ, თუ იპოვის, ნეტავ თუ დახვდება ის სახელოსნო ისევ, ნეტავ თუ გაუდებს ვინმე კარს, ნეტავ თუ შეძლებს კიდევ ერთხელ შეავლოს თვალი იმ ჩანახერებს, რომელსაც მთელი დღის „შრომის“ შემდეგ იღლმორეული, მთელი პასუხისმგებლიბით წერდა ცხოვრების უბედინიერეს კვირაზე?.. ნეტავ, კიდევ თუ გამოძერნავს თიხისგან ანგელოზს და მიიტანს „მის“ საფლავთან ბავშვობის გაფერადებისთვის მადლობის ნიშნად...



ნანა ბოტკოველის ნამუშევრების
გამოფენა თელავში. 2018 წელი





ଓଡ଼ିଆ

ପ୍ରକଟିକ୍ଳାଶାଳାକାମାଳୋ

תְּלִימָדָה וְתַּבְּרָא

ମିଳକେ ମର୍ଯ୍ୟାନରୁଗ୍ରାହୀୟ ରାଜୀ ଅପ୍ରକାଶିତ,
ଯୁଦ୍ଧ ମନୋବିଦ୍ୟାଲୋକ ମଧ୍ୟରୁଥିବ,
କୃତ୍ୟତା ଶୁଣୁଥିବି ଫାର୍ମିଲ୍ଯାନ୍ତ୍ରିକ -
ଲ୍ୟାପର୍ଟ୍ସବି ଫାର୍ମ ମିଳିବି ମେଲ୍ଲାକାନ୍ତିକ.

გათენდა, მზე ამოვიდა,
სხივი გიყოწის სახესა,
ჩემი სარ, ვერავინ წამართმევა,
ვერა, ვინ, დამიგებს – მახესა...
რა, გაიხარებ – თვალებმა, –
გალომერული გნახესა...

ଓইନ୍ଦ୍ରିୟ ପ୍ରକାଶନକର୍ତ୍ତାଙ୍କୁ ପ୍ରଦାନ

جذب وسائل الاعلام والجمهور الى انتخابات مجلس الشورى

ორფეოსის ჩანგოსანი...

ჩვენს პლანეტაზე, მსოფლიოს ხალხებს შორის, თავისი, საქაუყნოდ, თავმოსაწონებელი კულტურა შექმნა ქართველმა ერმაც. კალმოსანი გენიოსებიდან, დღესაც იგავმოუწვდომელია რუსთაველის გენია, რომელსაც კვალში მიჰყვებიან: დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერ-ეთელი, ვაჟა-ფშაველა, XX და XXI საუკუნეების შემოქმედებითი კოქიორტა.

კლასიკურ შემოქმედებას გვერდს უმშვენებდა ხალხური შემოქმედებაც, ისეთი შედევრებით, როგორიცაა: „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“, „ბინდისფერია სოფელი“, „მუმლი მუხასაო“, „ხვარამზეს ლექსი“ და მრავალი, მრავალი სხვა. XXI საუკუნეში აქა-იქლა კიაფობენ ხალხური მთქმელები, რომლებიც თავისებურ ეცვალდებას აძლევენ და ამდიდრებენ სახელოვან ქართულ პოეზიას.

სასიხარულოა, რომ დღეს, ქართველი მკითხველის წინაშე წარმოსდგება – ერთ-ერთი უდავოდ, ნიჭიერი ხალხური მთქმელი – ფირუზ კოჭლამაზაშვილი. იგი 1935 წელს დაიბადა თუშეთში, სოფელ უველურთაში. 1954 წელს დაამთავრა თუშეთის ომალოს რვანლინი სკოლა, ხოლო 1959 წელს ხონის სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის ტექნიკუმი. წლების მანძილზე მუშაობდა, როგორც სპეციალობის მიხედვით, აგრეთვე, პერიოდულად, ბავშვობიდანვე და... სიჭაბუებიდანვე გამოცდილი აქვს – თუში მეცხვარის ვაჟკაცური და საინტერესო ცხოვრება. სადაც უნდა იყოს, მისი, მუდმივი, სულიერი თანამგზავრია – პოეზია, – ბავშობიდანვე წერდა ლექსებს და... საკმაო, საინტერესო სატრაქიალო ლექსებს ციკლი შექმნა, განსაკუთრებით კი – ფავნურული მანძილზე, მეცხვარეობის ჯვარის ზიდვისას...

დღეისათვის, 85 წლის, უაღრესად მოკრძალებული, ორფეოსის ჩანგოსანი მგოსანი ერთ-ერთ ფერმერთან მუშაობს, ქვემო ალვანში, – ახალენა ხელილის ბალის მცველად.

ვფიქრობთ, მცითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა ფირუზ კოჭლამაზაშვილის ალალი გულიდან ამონათებულ სტრიქონებს.

რა, დიდი, ღვთის მადლი იქნება, თუ, უნიჭიერესი ხალხური მთქმელის პოეტურ მარგალიტებს, ვინმე, კრეპულად გამოსცემს...

თვარნა რაინა

ବ୍ୟାକାନ୍ୟର୍କର୍ଜି ବ୍ୟାକାନ୍ୟ

მოგბიდან ჩარგალს ჩაეცედავ,
ვესაუბრები ვაჟასა,
აყვავებული ბუნება
თითქოს, მეძახის ვაშასა.

მთებიდან სალამსა გიძლვნი,
მე სტუმარი ვარ გვიანა,
რადამ არ ამკობს შენს საფლავს
მთისა დეკა და ლვიანა?!..

ამოდი ჩარგლის მთაზედა,
ხარივით დაიბუძებე, -
ჩამოჰკარ მჭვარტლიან ჩონგურს, -
სიძლერა დააგუაზებე.

ჩაჩენიან მწვერვალზე ადი,
იღლაპარაკე ღმერთითანა,
ქუჩი, ყოილი, მთის წყარო,
ყველა დადგება შენთანა.

გაუხარდება ბუნებას
შენი სამარით აოგომა.



აგერ, ხომ ერგო ლუსუმსაც
ლაშარის გორზე შადგომა.

არაგვის გალმა გახედე,
ლელა მიყურებს მღიმარე,
ხიდი არ გიდევს წყალზედა
ფიქრი გკლავს მოუთმინარე.

ყვარლის მთებიდან ილიაშ
გამოგიგზავნა სალამი,
მონატრებია მოხუცსა
შენი ნაკურთხი კალამი...

მაგრამ... გაკოც შორიდან...

თუნგი შეგედგა წყაროსთვის,
წყალს კი გაჰქონდა ჩხრიალი,
ნავზე დამჯდარსა გიცქერდი,
ჩემ გულს გაჰქონდა ფრიალი.

გაცინებული მიცქერდი,
ლოყუბზე გეკრა ვარდები,
ვის გაახარებ, ქალაო,
ვის გულში ჩაუკარდები.

ვერაფერ გითხარ, გაგცილდი,
გამოყვა შენზე დარდები,
ან, რატომ, დაბვალ ეულად,
რატომ, არავის ლბარდები?!

მშვიდობით იყავ, მშვიდობით, –
მე მოგაძახე, – გორიდან,
ახლოდან, ვერ გაგიბედე,
მაგრამ... გაკოცე შორიდან.

სიმღერა გამოვაყოლე...

თუშეთში, ცხენით შემომხვდა –
ქალი, – ლამაზი, თალალი,
ცხენის გავაზე ეყარა –
ოთხი, – დაწნული დალალი,
ვერ გავუზედე სათქმელი,
რადგან გული მაქვს ალალი,
სიმღერა გამოვაყოლე, –
თალი, თალალი... თალალი...

აიმ, ლამაზის ლიმილი

მზე ამოცურდა მთებიდან,
სხივები სტყორცნა დილისა,
მწვერვალებ გაალაზაზა,
ხევდა ლამაზის ლიმილა.

აიმ, ლამაზის ლიმილი
დღედალამ, ფიქრად დამყვება,
მასზე – ნატგრა და ოცნება
სამარისკარამდ გამყვება...

თუშეთ...

თუშეთ, ხატობას ვცეკვავდით, –
თუშურ გარმონის ხმაზედა,
თურსას მძივებ გშვენოდის,
ყელზე და გიშრის თმაზედა,
ჩემი ნანდობი იქნები,
ნუკი გასთხოვდებ სხვაზედა.

59



ჩემი ხარ, ვერვინ ნამართმევს...

რა კარგი სიზმარი ვნახე, –
გაცხადდებოდეს, ნეტავი,
მიგვაქროლებდა ორივეს
ლურჯა, – ლაგამის მკვნეტავი.

უკუნით ლამეს მივქროდით,
ნალი კლდეებზე წიოდა,
უკან მოგვედევდა მდევარი,
თოფის ქუხილით კიოდა...

მთის მწვერვალზე რომ ავფრინდით,
ვერ მოგვაკვლია მდევარმა,
კლდეთა ჭიუხში დაგმალეთ –
ლურჯამ და მისმა მხედარმა.

გათენდა, მზე ამოვიდა,
სხივი გიკოცნის სახესა,
ჩემი ხარ, ვერვინ ნამართმევს,
ვერც, ვინ, დამიგებს – მახესა...
რა, გაიხარეს – თვალებმა, –
გალიმებული გნახესა...


შენი ლამაზი თვალები...

ფიჭვების ჩრდილში იჯექი,
ცაში უცქერდი წეროსა,
ვისიც იქნები, ქალაო,
პირს ჯვარი დაიწეროსა.

არა გყავს, ნეტავ, ნანდობი?
გაკოცოს, დაგიჭიროსა,
შენი ლამაზი თვალები
გულს ლილად დაიკეროსა.

ოლქ, №4, 2020





* * *

ოთხმოცი წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი გიორგი ბერძნიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია.

ბატონო გიორგი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან მხცოვან, ჭაღარა შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

თქვენი პოეტური ნათლობა 1997 წელს შედგა, როდესაც პირველი ლექსიბი გამოაქვეყნეთ. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პოეტური და პროზაული კრებულები: „მეათათვის მზე“, „სიცოცხლის ყვავილები“, „ხმა გულისა“, „საუბრება გულთან“, „ჩემი წყალ-ჭალის ჩიტბატონები“, „ალალულა“, „ვაჟი, სოფელი“, „ბოლო ეტოუდი“, „სიცოცხლის სიყვარული“, „სანამ, გული გულობს“ ქართველი მკითხველის ინტერესით სარგებლობს. ამ კრებულებით ესაუბრებით თანამედროვეთ, მათი ჭირისა თუ ლხინის თანაზიარი ხართ. მშობელი ქვეყნის ძნელებელობა თქვენი ძნელებელობაცაა და ალბათ ამიტომაცაა თქვენი ნაწარმოებები ასე გასაგები და მისაღები ყველასთვის ვისთვისაც ძვირფასია ისეთი ცნებები როგორიცაა: სამშობლო, სიყვარული, ერთგულება, თავდადება, პატიოსნება, სიკეთე და სათნოება.

ამავე დროს მართლაც რომ ჩინებული მხატვარი ბრძანდებით, არაერთი საერთაშორისო თუ რესპუბლიკური გამოცენების მონაწილე. 1964 წლიდან 2007 წლამდე მუშაობდით თელავის საბავშვო სამსატვრო სკოლის პედაგოგად, სასწავლო ნაწილის გამგედ და თქვენი წვლილი შეგქონდათ მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

თელავის მუნიციპალიტეტის მერიაშ 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით მადლობის სიგელი გადმოგცათ თელავის კულტურული ცხოვრების განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

ბატონო გიორგი!

კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას თანამოკალმეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და შემოქმედებით წარმატებებს.

საქართველოს მთავრობა კავშირი



ორი მუზის მსახური

გიორგი ბერძნიშვილი 1940 წლის 8 ოქტომბერს მოეცლინა სამზეოს და... მას შემდეგ, მზიანი გულით დააბიჯებს ქართულ მინაზე, – დიდი ერეკლეს სატახტო ქალაქში.

მისი – მოთხრობების, ნოველების, ჩანახატების, თუ – პოეტური ნაქარგის, ნაგვირისტალის გმირები, მასავით, უბრალოები, მაგრამ... ეგზომ, მომხიბვლელნი, – სხივმოსილნი და... ანდამატურნი არიან... მთელ, მის შემოქმედებას ლეიტმოტივად გასდევს: სიკეთე, სიყვარული, სიქველე, თანადგომა, ჰუმანიზმი, რწმენა, პატრიოტიზმი და სწრაფვა – უკეთესი მომაცლისაკენ...

იგი – ორი მუზის მსახურია, – ფუნჯისა და კალმის, ორივესთან პირნათელია; საკმაოდ, საყურადღებოა მისი, როგოც – ფერწერული ტილოები, ასევე – ნაკალმარი, – პროზაულიც და პოეტურიც.

მკითხველი მოხიბლულია მისი წიგნებით: „მკათათვის მზე“, „სიცოცხლის ყვავილები“, „ხმა – გულისა“, „საუბრები გულთან“, „ჩემი წყალ-ჭალის ჩიტბატონები“, „ალალგულა“, „ვაჳ, სოფელო“, „ბოლო ეტიუდი“, „სიცოცხლის სიყვარული“, „სანამ, გული გულობს“.

საქართველოს მწერალთა კავშირმა ჯეროვნად შეაფასა გიორგი ბერძნიშვილის სამწერლო ღვანილი და... ნიჭიერი შემოქმედი მიიღო კავშირის რიგებში – წევრად, რაც სასიხარულო და მისალოცია.

იუბილარი მწერალი კახეთის კალმისანთა კოპორტამ დააჯილდოვა ჩვენი სასიქადულო პოეტისა და საზოგადო მოღვაწის – რაფიელ ერისთავის სახელობის ლიტერატურული პრემიითა და საპატიო დიპლომით.

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ სახელით, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავთ ჩვენს იუბილარ თანამოკალმეს დაბადებიდან 80 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლესა და ახალ-ახალ წარმატებებს.

ვარნა რაინა

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე

გიორგი ბერძნიშვილის დაპადების 80 წლისთავისთვის

ეს წლები გარჯით გასულა,
თუმცა, მრავალიც წინ არი.
ამ, იუბილეს – გილოცავს:
ია და ვარდი, – მცინარი.

ხელს გართმევს მინდვრის გვირილა
და გესალმება ჩინარიც,
ვერავინ იტყვის, ამ ქვეყნად,
ნეტავ, ეს კაცი, ვინ არი?!..

წიგნები, – მახარობლები,
შრომა-გარჯაა, რა კარგი...

ნახატებს შვენით თილისმა, –
მშვენიერებით, ნაქარგი.

პატარებს გულს რომ უხარებ,
გულს რომ უხარებ – დიდებსაც,
ხალისობს შენი კალმი,
მრავალ სიხარულს გვპირდება.

ხარ: ორი მუზის მსახური, –
პიეზის და ხატვისა,
აგსრულებოდეს ოცნება –
მაგ, შენი გულის – ნატვრისა.

ცეც ქამუკაშვილი





გოლო ეტიუდი

(ავტობიოგრაფიული მოთხოვა)

გიობიჭი მერხზე უძრავად იჯდა, თავი ხელისგულებში ჰქონდა ჩარგული და საკლასო დაფას უაზროდ მისჩერებოდა. მუდამ ვერცხლისწყალივით მოძრავი ბავშვის ეს უჩვეულო გაყუჩება მხედველობიდან არ გამოჰქორვია მაგული მასწავლებელს, დაფაზე ხატვა შენყვიტა, ცარცი მაგიდაზე დადო და გიორგისთან მივიდა:

— რაო, გიორგი, გტკივა რამე? სიცხე ხომ არ გაქვს? — ჰკითხა მასწავლებელმა და ხელი შუბლზე მიადო, — სიცხე არ გიჩანს, ეს კარგია, — გაამხნევა მშობლიური მზრუნველობით. გიორგიმ თავი აწია და მასწავლებელს შეხედა. მასწავლებელმა ცრემლიანი თვალები რომ დაინახა, უფრო მეტად შეწუხდა, — გიორგი, გაკვეთილი ათ წუთში გამოვა, ნუ დაუცდი, შეგიძლია სახლში წახვიდე.

მასწავლებელმა, სახატავი რვეული და ფანჯრები ჩანთაში ჩაულაგა. გიორგი ისე დაემშვიდობა კლასს, ბავშვებისაკენ არ მიუხედავს, ცრემლიანი თვალები რომ არ დაენახათ. მასწავლებელმა გადაწყვიტა სკოლის ეზოს ჭიშკრამდე მიეცილებინა, რათა უკეთ გამოეკითხა საყვარელი პედაგოგის, ბატონ გიორგის შესახებ. რატომდაც მასწავლებელს ეგონა, რომ გიობიჭის ტირილის მიზეზი პაპის ავადმყოფობა იქნებოდა. სინამდვილეში კი ბიჭი აპეზარ კოლექციონერებზე ბრაზობდა, პაპის სურათებს რომ ყიდულობდნენ წახევარ ფასად. პაპა ძალიან განიცდიდა. ეს იგივეა ჩემთვის, რაც მშობლისთვის შეიღის დაკარგვაო, — იტყოდა ხოლმე ამაგდარი მხატვარი და მწარედ ამოიხრებდა.

მასწავლებელმა სკოლის ეზოს ჭიკრამდე მიაცილა გიობიჭი და კლასში დაბრუნდა. გიობიჭმა სწრაფად გაირბინა ქვაფენილიანი ქუჩა და ფართო, ასფალტიან გზას გაუყვა სახლისაკენ. მალე მათ ეზოსთან მდგარი, სურათების კოლექციონერების ავტომანქანა გამოჩნდა. სახლამდე ასიოდე წაბიჯილა იყო დარჩენილი, რომ ავტომანქანა სწრაფად დაიძრა. გამოკიდებას აზრი არ ჰქონდა.

— მოხვედი შვილო? ცუდად ხომ არ ხარ? იქნებ, ვინმემ გაწყენინა? — მიაყარა კითხვები

სოფო ბებიამ ეზოში შესულ გიობიჭს.

— ისევ იყვნენ?!.. მე რომ გამიგულეს, მაშინ მოვიდნენ, არა?! — გულნატყენმა თქვა გიობიჭმა და პაპის სახელოსნოსაკენ წასვლა დაპირა, — რაო, ბებო? „გრემის მთავარანგელოზი“ წაიღეს?!.. ის ეტიუდი ხომ ჩემი თანდასწრებით დახატა პაპამ. სამწუხაროდ, ის იყო ბოლო ეტიუდი. ეხლა, ხომ ვეღარ დახატავს ფაქტიურად უსინათლო პაპა? — იყვირა გიობიჭმა და ხმამალლა ატირდა. სხვა სურათების წალებაც აღიზიანებდა, მაგრამ იმ ბოლო ეტიუდის გაყიდვამ უფრო დაანალვლიანა მომავალი მხატვარი. ბებიამ, როგორც იქნა, დააწყნარა განერვიულებული ბავშვი.

გიობიჭმა ფრთხილად შეაღო პაპის სახელოსნოს კარი და ფეხაკრეფით შევიდა. იმ ადგილზე, სკოლაში წასვლამდე, „გრემის მთავარანგელოზის“ ეტიუდი რომ ეკიდა, ახლა, ლურსმანზე დახვეული ტყავის თასმალა შენიშნა. ეს ის ტყავის თასმა იყო, სამი წლის წინ, თავის აკვნის არტახს ჩუმად რომ შეაჭრა პაპის ახალი სურათის საიმედოდ დასაკიდად.

— გიორგი, მოხვედი, შვილო? მომიახლოვდი მოგეფერო, რომ ჯავრი გავიქარვო. თუ ეზოში გასვლაშიც დამეხმარები... — ვეღარ დაასრულა სათქმელი, ბოლმის ბურთი ყელში გაეჩირა განერვიულებულ მოხუცს.

— პაპი, როდის უნდა დავიწყო ზეთოვანი სალებავებით მუშაობა? — იკითხა გიობიჭმა.

პაპა მიხვდა, რომ კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა გიობიჭი და პასუხი შეგნებულად დაუგვიანა.

— პაპი, ეს ადგილი ასე დავტოვოთ რა. მე მალე ვისწავლი ზეთოვანი სალებავებით მუშაობას. კარგად მახსოვს ის ადგილი საიდანაც ის ეტიუდი დახატე. სწორედ იმ ადგილიდან დავხატავ ზუსტად იმნაირ ეტიუდს და იმას დავკიდებ. ხოთანახმა ხარ? — იკითხა გიობიჭმა.

— კარგი, ბალლო, პირობა პირობა, — თქვა პაპამ და გულში ჩაიკრა მეოცნებე პატარა მხატვარი.



„მრავალი თარგატეპა და იუბილე გეზეიმოთ!“

შემოდგომის ერთ
შვეიცარ მზიან დღეს,
ხორნაბუჯის ციხის ძირში,
თავი მოიყარეს ქართული
სიტყვის მესვეურებმა,
მისმა ერთგულმა მკითხ-
ველებმა და საზეიმოდ
ალნიშნეს ლიტერატურულ
ალმანახ „ხორნაბუჯის“
5 წლის იუბილე. სიმ-
ბოლურია, რომ სწორედ
აქ, ორი სახელდების შერ-
წყმის ადგილზე, გაიმარ-
თა ეს იუბილე. ცისკენ
ხელაპყრობილი ციხე სია-
მაყით გაესებს და გაოც-
ებულს წამოგაძახებინებს:
ღმერთო, რა ხელმა აზი-
და და ააგო ეს სასწაული!
იქვე ამავე სახელწოდების
ჟურნალს გადაშლი და
რამდენი სულის მაღამოა,

რომ გამშვიდებს, გათბობს და იმედით გავსებს, ტან-
ში ურუანტელს რომ მოგვრის მისი სტრიქონები.

ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ გა-
მოსვლას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში
და არა მხოლოდ აქ, მწერლობისა და პოეზიის მოყ-
ვარული ადამიანები მოუთმენლად ელიან, რადგან
მასში გემოვნებით შერჩეული შემოქმედების არაერ-
თო საინტერესო ნამუშევრის წაკითხვას შეძლებთ,
სარჩევის ჩათვალიერებაც კი საკმარისია იმისათ-
ვის, რომ მიხვდეთ, რამდენად მრავალფეროვანია
აქ წარმოდგენილი პუბლიკაციები, ძველი და ახ-
ალი თაობის შემოქმედება; ერთმანეთს ენაცვლება
პროზა და პოეზია, დრამატურგია და თარგმანები,
გამოჩენილ ადამიანთა გახსენებები, მათი ნაღვანის
შეფასება-დაფასება და სხვა.

2015 წელს დედოფლისწყაროს მწერალთა ასო-
ციაციის ამჟამინდელმა თავმჯდომარემ, ცნობილმა
პოეტმა, გიორგი ნატროშვილმა დააარსა ლიტერა-
ტურული ალმანახი „ხორნაბუჯი“. „მოხარული ვარ,
რომ მერგო პატივი, ჩემი გულწრფელი დამოკ-
იდებულება გამომეხატა თითოეული იმ ადამიანის
მიმართ, ვინც ენერგიას არ იშურებთ და ერთგულად
ემსახურებით ქართული ლიტერატურული გამოცე-
მების საქმეს. „ხორნაბუჯელები“, გილოცავთ საი-
უბილეო თარიღს! მეამაყებით და გისურვებთ მრავა-
ლი საინტერესო ინიციატივის განხორციელებას
შემოქმედებით საქმიანობაში“, – ეს სიტყვები კახე-
თის ყოფილ გუბერნატორს და დღეს უკვე მაჟორი-



ტარ დეპუტატს – ირაკლი ქადაგიშვილს ეკუთვნის.

„ლიტერატურული სივრცე წლების განმავ-
ლობაში ვაკუუმს განიცდიდა დედოფლისწყაროში,
მიუხედავად იმისა, რომ რაიონს ბევრი ნიჭიერი
შემოქმედი ჰყავდა, მათ არ შეეძლოთ თავიან-
თი ნანარმოებები მკითხველისათვის გაეცნოთ. ამ
ფაქტორის გამო, ბევრი მათგანი ჩრდილში ჩრებო-
და. შექმნილ სიტუაციაში სინათლის სხივის ტოლ-
ფასი იყო გიორგი ნატროშვილის ინიციატივა ლიტ-
ერატურული ჟურნალის დაარსების თაობაზე. ბევრი
ახალგაზრდა ავტორი სწორედ „ხორნაბუჯის“ ფურ-
ცლებიდან გაიცნო ფართო აუდიტორიამ და შეიყ-
ვარა. მრავალი ნარმატება და იუბილე გეზეიმოთ!“
– ამ სტრიქონების ავტორი გახლავთ ჩვენი რაიონის
მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი.

ამ ჟურნალის გამოცემა ადგილობრივი ხელი-
სუფლების, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის
მერის ნიკოლოზ ჯანიაშვილის და საკრებულოს
თავმჯდომარის ნუგზარ პაპაშვილის, ხელშეწყო-
ბით ხორციელდება. „ხორნაბუჯი“ იქცა არაერთი
კონკრეტული მუნიციპალიტეტის ან კუთხის, არ-
ამედ მთელი საქართველოს საყვარელ ჟურნალად.

„სიტყვა „ხორნაბუჯი“ ჩემთვის განსაკუთრებით
მნიშვნელოვანია, ის ბავშვობის ზმანებიდან მომყვე-
ბა. მასსოვს ის განცდა, როცა პირველად, 3-4 წლის
გოგონა ამიყვანა მამამ მაღალ მთაზე, ხორნაბუჯის
ციხეზე. მაშინ პირველად დამეუფლა ფრენის სურ-
ვილი.





ციხე-ქალაქი ხორნაბუჯი სიმტკიცის, სიმაღლეს, ქართული სულის უკვდავების სიმბოლოა. მინდა შურნალ „ხორნაბუჯს“ და მის შემოქმედებით კოლექტივსაც იგივე ვუსურვო: სიმაღლე, სიმტკიცე, ქართული სულის ერთგულება.“ ეს ემოციური გზა-ვნილი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ჩვენს თანამემამულეს, პოეტ მაყვალა გონაშვილს ეკუთვნის.

მწერალთა კავშირიდან მონვეული სტუმრების დიდმა ნანილმა სამწუხაროდ ჩამოსვლა ვერ მოახერხა; გული დამწყდა, რომ რევაზ მიშველაძე, თემურ ჩალაბაშვილი, ბალათერ არაბული, ჯუბა ლებელი, მარინე ცხვედიაშვილი და სხვები ვერ ესწრებოდნენ ღია ცის ქვეშ გამართულ ღონისძიებას, რომელიც გახსნა კულტურის სახლის დირექტორმა ცარო მარტიაშვილმა და სიტყვა აღმანას „ხორნაბუჯის“ რედაქტორს, გიორგი ნატროშვილს, გადასცა. ბატონმა გიორგიმ გულთბილი მადლობა გადაუხადა მობრძანებულ სტუმრებს, მან აღნიშნა, რომ ოუბილებზე დაპატიჟული იყვნენ: თსუ-ს რექტორი გიორგი შერვაშიძე და რექტორის კონსულტანტი მერაბ ტომარაძე, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქობულია და პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვამშაკიძე, ასევე საქართველოს მასშტაბით ნომინაციაში „საუკუნის ადამიანი“ გამოვლენილი ცნობილი პიროვნებები: ლანა ლოლობერიძე, მერაბ კოკიშვილი, ვაჟა აზარაშვილი, ლერი კვაჭანტირაძე, და გურამ ქაძაკაშვილი. სამუშაო დღის გამო ისინი ვერ ესწრებოდნენ, მაგრამ მათ მობილური ტელეფონის საშუალებით მიულოცეს გიორგის „ხორნაბუჯის“ ხუთი წლის იუბილე.

გიორგიმ დეკანოზ ნიკოლოზს (ლომისაძე) დალოცეა სთხოვა. მამა ნიკოლოზმა შურნალის ყველა გულშემატკიცარი და მკითხველი დალოცა და აღმანას კვლავაც მრავალი წლის წინსვლა და გამარჯვება უსურვა. ხორნაბუჯის ციხის ისტორიულ მნიშვნელობაზე და წარსულ დიდებაზე საუბრით დაიწყო თავისი გამოსვლა გიორგი ნატროშვილმა და დედოფლის სწაროს მწერალთა ასოციაციის მიერ განვლილი გზაც გაიხსენა, რომელსაც თავის დროზე კვალი დამჩნიეს ზაქრო სესხიაშვილმა, ჯუმბერ უთრუთაშვილმა, ნატო ყატაშვილმა. დამსწრეთ ისიც განუმარტა რომ აღმანახის გამოცემიდან, 2015 წლიდან, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის ბაზაზე არსებობს ყოველი ნომრის ელექტრონული ვერსია და ის ნებისმიერი ადამიანისთვის, მათ შორის ემიგრანტებისთვისაც, ხელმისაწვდომია.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა, შურნალს და მის რედაქტორს იუბილე მიულოცა დედოფლის სწაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ილია მარტყოფლიშვილმა: „დღეს, როდესაც საკუთარი ბეჭდური პროდუქციის გამოცემა იაფი სიამოვნება არ გახლავთ, ჩვენი ლიტერატურული აღმანახი ავტორე-



ბისათვის შესანიშნავი ასპარეზია დღის სინათლეზე გამოიტანონ საკუთარი შემოქმედება, გზა მისცენ ახალ სახეებს. ვამაყობ, რომ დედოფლის სწაროს მუნიციპალიტეტი იმ იშვიათ გამონაკლისთა შორისაა, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან აფინანსებს აღმანას და მხარს უჭერს მწერალთა ასოციაციას; წარმატებებს გისურვებთ! ჩვენი ცენტრი, კვლავაც, თანადგომას გიცხადებთ და სამომავლოდაც ეცდება შურნალის განვითარებას ხელი კიდევ უფრო შეუწყოს“ – თქვა ბატონმა ილიამ და „მადლიერების სიგელით“ დაჯილდოვა ღვაწლმოსალი პოეტები: ჯუმბერ უთრუთაშვილი, თამაზ წიკლაური, ლევან ალავერდაშვილი და ლიტერატურულ აღმანას „ხორნაბუჯის“ რედაქტორ-გამომცემელი გიორგი ნატროშვილი. საკუთარი ლექსები წაიკითხეს: ქეთევან დოლიძემ, თენგიზ ბეჟაშვილმა, თამაზ წიკლაურმა, ლევან ალავერდაშვილმა, ჯუმბერ უთრუთაშვილმა...

შურნალს იუბილე მიულოცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს: ქიზიუ-ჰერეთის მწერალთა გაერთიანების ხელმძღვანელმა თამაზ ხმალაძემ, აღმანას „ლიტერატურული სილნალის“ რედაქტორმა ანზორ სიფრაშვილმა, არხილოსკალოს „კოდნის სახლის“ დირექტორმა მარინე წიკლაურმა, გაზეთ „შირაქის“ რედაქტორმა ნაირა გორაშვილმა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების სფეროს ხელმძღვანელებმა და თქვენმა მონა-მორჩილმა, დედოფლის სწაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარემ ნანა ჭიჭინაძემ.

საოუბოლებრივ შეხვედრას ფონად გასდევდა სოფელ სამრეკლოს კულტურის სახლის ტრიოს: გაიოზ ხუცაშვილის, ნანა უძილაურის და ნატო ჩიბურაშვილის მიერ გიტარაზე და ჩონგურზე შესრულებული ქართული სიმღერები.

ნანა ჭიჭინაძე

დედოფლის სწაროს საპატიო მოქალაქე, საქართველოს დამსახურებული შურნალისტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი



ითარ გაპილაშვილისა და კარლო ქართველიშვილის ვარსკვლავი

7 ნოემბერს, ერეკლე მეორის 300 წლის საიუბილეო დღეს, ერეკლეს სახელობის თელავის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის მსახიობების ეთერ ბაბილაშვილისა და კარლო ქართველიშვილის სასცენო მოღვანეობის 60 წლის აღსანიშნავად, თეატრის ნინ, მათი ვარსკვლავები გაიხსნა.

თელავის თეატრის გარე სივრცეში გამართულ საღამოზე ეთერ ბაბილაშვილმა და კარლო ქართველიშვილმა ცნობილი სპექტაკელებიდან ეპიზოდური როლები შეასრულეს.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მსახიობ ეთერ ბაბილაშვილს მედეა ჩამავას, კარლო ქართველიშვილს კარლო საკანდელიძის სახელობის პრემია მიანიჭა, ხოლო თელავის თეატრის სამხატვრო ხელმიძღვანელს პატა გულიაშვილს „თეატრის ქომაგის“ ჯილდო გადაეცა.

ეთერ ბაბილაშვილს და კარლო ქართველიშვილს სიმბოლური საწუქრები გადაეცათ ასევე თელავის მუნიციპალიტეტის მერიისგან.

ღონისძიების დასასრულს, გაიმართა საიუბილეო ბუკლეტის „თელავის თეატრი 260“ პრეზენტაცია, რომელიც მოიცავს თელავის თეატრის თანამედროვეობასა და საზოგადო მოღვაწეების, პოლიტიკოსების და თეატრალური სამყაროს წარმომადგენელთა მიღოცვებს.



ითარ გაპილაშვილი



კარლო ქართველიშვილი

